

## ჯანმრთელობის დაცვის პროგრამა

(ქვეპროგრამის კოდი 06 02 01)

ჯანმრთელობის დაცვის პროგრამა (შემდეგში „პროგრამა“) განსაზღვრავს გარდაბნის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან, გარდაბნის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოსახლეობისთვის, ასევე, „ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამის“ ბენეფიციარებისთვის საოპერაციო, სამკურნალო და სხვა სამედიცინო მომსახურების დაფინანსების პირობებსა და პროცედურებს, მათ მიერ გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიაში (შემდეგში „მერია“) წარსადგენი დოკუმენტაციის ნუსხას და გასაცემი თანხის ოდენობებს.

### მუხლი 1. პროგრამის მიზანი

სამედიცინო მომსახურების მიღების ხელშეწყობით მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება.

### მუხლი 2. დაფინანსების წყარო

გარდაბნის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.

### მუხლი 3. პროგრამის ხანგრძლივობა

პროგრამა ძალაშია 2025 წლის 1 იანვრიდან 2025 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

### მუხლი 4. პროგრამით მოსარგებლე

პროგრამით მოსარგებლეები არიან საოპერაციო, სამკურნალო და სხვა სამედიცინო მომსახურების დაფინანსების საჭიროების მქონე ბენეფიციართა ის კატეგორია, რომელიც არ იმყოფება სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში, მაგრამ გარდაბნის მუნიციპალიტეტის შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლის (შემდეგში „მერის წარმომადგენელი“) შუამდგომლობით, ან გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის, სოციალური, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების (შემდეგში „ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება“) წერილით დასაბუთებული იქნება ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა.

### მუხლი 5. პროგრამით მოსარგებლეთა დაფინანსების ზოგადი წესი და პროცედურები

1. სამედიცინო დაფინანსების მისაღებად ბენეფიციარი წერილობითი განცხადებით მიმართავს და სრულყოფილ დოკუმენტაციას წარუდგენს გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერს (შემდეგში „მერი“) ან მერის წარმომადგენელს. მიღებული დოკუმენტაცია შესასწავლად იგზავნება მერიის ჯანმრთელობის, სოციალური, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურში (შემდეგში „სამსახური“). „ბავშვის უფლებების დაცვისა და

მხარდაჭერის პროგრამის“ ბენეფიციარის შემთხვევაში, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება წერილობით მიმართავს სამსახურს. სრულყოფილი დოკუმენტაცია სამსახურის მიერ შემდგომი განხილვისთვის გადაეცემა „სამედიცინო და სოციალური დახმარების კომისიას“ (შემდეგში „კომისია“).

2. პროგრამა ითვალისწინებს წელიწადში ერთხელ (ოჯახის მდგომარეობის გათვალისწინებით შესაძლებელია ორჯერ) საოპერაციო, სამკურნალო და სხვა სამედიცინო მომსახურების დაფინანსებას, გარდა სტომატოლოგიური მომსახურებისა, მშობიარობისა, ესთეტიკური ქირურგიისა, კოსმეტიკური მიზნით ჩატარებული მკურნალობისა, ლაზერული კორექციისა, არჩეული ექიმის ჰონორარისა (მათ შორის დავალიანების არსებობის შემთხვევაში) და მოქალაქის მიერ საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამით მომსახურებაზე უარის თქმის შემთხვევისა.

3. კერძო დაზღვევის, საყოველთაო ჯანდაცვის ან/და სხვა სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში დაფინანსების (ან/და დაფინანსებაზე უარის თქმის) გათვალისწინებით, საოპერაციო, სამკურნალო და სხვა სამედიცინო მომსახურების მოქალაქეთა დახმარების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მერი, კომისიის ოქმის საფუძველზე, არაუმეტეს 2500 (ორი ათას ხუთასი) ლარისა; მედიკამენტების შეძენასთან დაკავშირებით - არაუმეტეს 500 (ხუთასი) ლარისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის შემთხვევაში - არაუმეტეს 800 (რვაასი) ლარისა; რეაბილიტაციასთან დაკავშირებით - არაუმეტეს 800 (რვაასი) ლარისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის შემთხვევაში - არაუმეტეს 1200 (ათას ორასი) ლარისა; თვალის ინექციასთან დაკავშირებით - არაუმეტეს 1000 (ათასი) ლარისა.

4. მერიის მიერ გაცემული ადმინისტრაციული დაპირება ძალაშია, თუ მის საფუძველზე მომსახურების გაწევა დაიწყება, მისი გაცემიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში. ადმინისტრაციული დაპირების ვადის გაგრძელება (გამოუყენებლობის შემთხვევაში) შესაძლებელია ერთჯერადად, 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით. ადმინისტრაციული დაპირების გაცემამდე ჩატარებულ მომსახურებაზე მერია არ იღებს ფინანსურ ვალდებულებას.

5. სამედიცინო დაწესებულების მიერ ადმინისტრაციული დაპირების საფუძველზე შესრულებული სამუშაოს მერიაში დაფინანსების მოთხოვნით წარდგენის ვადაა პაციენტის გაწერიდან/კვლევის დასრულებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღე. ფარმაცევტული კომპანიის მიერ მიღება-ჩაბარების აქტის მერიაში დაფინანსების მოთხოვნით წარდგენის ვადაა მედიკამენტების გაცემიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღე.

## **მუხლი 6. დაფინანსების მისაღებად მერიაში წარსადგენი დოკუმენტები**

დაფინანსების მისაღებად მერიაში წარსადგენი დოკუმენტებია:

ა) განცხადება;

ბ) განმცხადებლის ან/და პაციენტის პირადობის მოწმობის ასლი, არასრულწლოვანის შემთხვევაში დაბადების მოწმობის ასლი;

გ) სსე აქტისამონაწერი ან/და ცნობა სოციალური მომსახურების სააგენტოდან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსის შესახებ (შშპ პირის მომართვის შემთხვევაში);

- დ) იძულებით გადაადგილებული პირის/დევნილის მოწმობის ასლი (იძულებით გადაადგილებული პირის/დევნილის მიერ მომართვის შემთხვევაში);
- ე) ანგარიშ-ფაქტურა (ინვოისი) ამ პროგრამით განსაზღვრული მომსახურების ფინანსური დოკუმენტი;
- ვ) ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა №IV-100/ა);
- ზ) ცნობა კერძო დაზღვევის ან/და საყოველთაო ჯანდაცვის ან/და რეფერალური და სხვა სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში დაფინანსების ოდენობის, ან დაფინანსებაზე უარის თქმის შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- თ) აქტი, სადაც დასაბუთებული იქნება ოჯახის მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა (აქტს ხელს აწერს მერის წარმომადგენელი; ასევე, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი წევრი იმ შემთხვევაში, თუ მერის წარმომადგენელთან ერთად შეისწავლის ოჯახის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას);
- ი) ხელშეკრულება (შეთანხმება) დავალიანების შესახებ (მოქალაქის სამედიცინო დაწესებულებასთან დავალიანების არსებობის შემთხვევაში);
- კ) იძულებით გადაადგილებული პირის/დევნილის სტატუსის მქონე ბენეფიციარი ვალდებულია წარმოადგინოს ცნობა, სადაც მითითებული იქნება, რომ ის არ არის ამ პროგრამით გათვალისწინებული ანალოგიური დახმარების მიმღები იმ თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან, სადაც არის რეგისტრირებული;
- ლ) ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების წერილი „ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამის“ ბენეფიციარის შესახებ;
- მ) ცნობა გამოუყენებელი ადმინისტრაციული დაპირების შესახებ (ადმინისტრაციული დაპირების გამოუყენებლობის შემთხვევაში);
- ნ) დავალიანების არსებობის შემთხვევაში, თუ შეთანხმება ან/და ხელშეკრულება გაფორმებულია ოჯახის წევრთან, ნათესაური კავშირის დამადასტურებელი დოკუმენტი - ქორწინების მოწმობის ასლი (მეუღლეების შემთხვევაში); დაბადების მოწმობის ასლი (მშობლის, შვილის, დედმამიშვილის შემთხვევაში).

**მუხლი 7. ჯანმრთელობის, სოციალური, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის უფლებამოსილება**

1. სამსახური ამოწმებს შემოსულ განცხადებებს და სრულყოფილ დოკუმენტაციას განსახილველად გადასცემს კომისიას.
2. კომისიის ოქმის საფუძველზე, ამზადებს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (ბრძანების) პროექტს ან/და ადმინისტრაციულ დაპირებას მერთან წარსადგენად.
3. განცხადებაში ან მომსახურების გამწევი დაწესებულებიდან წარმოდგენილი შესრულებული სამუშაოს დამადასტურებელ დოკუმენტაციაში აღმოჩენილი ხარვეზის შემთხვევაში, მიმართავს განმცხადებელს ან სამუშაოს შემსრულებელს ხარვეზის აღმოსაფხვრელად.

**მუხლი 8. კომისიის მუშაობის წესი**

1. ამ პროგრამის თანახმად შემოსულ განცხადებებს განიხილავს კომისია, რომელსაც ქმნის და მის შემადგენლობას განსაზღვრავს მერი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით (ბრძანებით).
2. კომისია იკრიბება საჭიროებისამებრ, მაგრამ არანაკლებ თვეში 2-ჯერ.
3. კომისიის სხდომის შემდეგ ყველა გადაწყვეტილება აისახება ოქმში, რომელსაც ხელს აწერს კომისიის თავმჯდომარე, სხდომაზე დამსწრე ყველა წევრი და კომისიის მდივანი.
4. კომისიის ოქმის სათანადო წესით შეკერვასა და შენახვას უზრუნველყოფს კომისიის მდივანი.

### **მუხლი 9. საბოლოო გადაწყვეტილების მიღება და დაფინანსება**

1. მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილება უზრუნველყოფს სამსახურის მიერ წარმოდგენილი, მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (ბრძანების) პროექტის სამართლებრივ ექსპერტიზას და ვიზირებას.
2. დაფინანსების გაცემის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს მერი და გამოსცემს შესაბამის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს (ბრძანებას).
3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული სამართლებრივი აქტის საფუძველზე, თანხის გადარიცხვას უზრუნველყოფს მერიის საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახური, უნაღდო ანგარიშსწორებით, ბრძანებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

### **მუხლი 10. პროგრამის შედეგის ინდიკატორი**

პროგრამაში ჩართულ მოსარგებლეთა რაოდენობა.

### **მუხლი 11. პროგრამის შედეგი**

მოსახლეობისათვის სამედიცინო სერვისებზე ხელმისაწვდომობა და ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება.

დანართი №2

### **სადღესასწაულო საჩუქრების პროგრამა**

(ქვეპროგრამის კოდი 06 02 03)

სადღესასწაულო საჩუქრების პროგრამა (შემდეგში-„პროგრამა“) განსაზღვრავს გარდაბნის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან, გარდაბნის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული და მცხოვრები სოციალური ჯგუფებისთვის, „ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამის“ ბენეფიციარებისთვის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (სკოლის) ინკლუზიურ განათლებაში ჩართული მოსწავლეებისთვის და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბავშვთა მცირე საოჯახო ტიპის სახლებისთვის, სადღესასწაულო

დღეებში ნობათის (ტკბილეული, სურსათი, სასკოლო ნივთები და სხვა) გადაცემის პირობებსა და პროცედურებს.

### **მუხლი 1. პროგრამის მიზანი**

პროგრამაში მონაწილე მიზნობრივი ჯგუფების მორალური მხარდაჭერა.

### **მუხლი 2. დაფინანსების წყარო**

გარდაბნის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.

### **მუხლი 3. პროგრამის ხანგრძლივობა**

პროგრამა ძალაშია 2025 წლის 1 იანვრიდან 2025 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

### **მუხლი 4. პროგრამით მოსარგებლე**

პროგრამით მოსარგებლეები არიან:

1. მრავალშვილიანი ოჯახები (რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 120 000-ს და ჰყავთ 4 და მეტი 18 წლამდე ასაკის ბავშვი);
2. სოციალურად დაუცველი მარტოხელა პენსიონერები (რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 65 000-ს);
3. დიდი სამამულო ომის ვეტერანები და მათთან გათანაბრებული პირები;
4. ტერიტორიული მთლიანობისთვის მებრძოლი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ვეტერანები;
5. შშმ სტატუსის მქონე 18 წლამდე ასაკის ბავშვები (მათ შორის ეტლით მოსარგებლეები, ცერებრალური დამბლის, დაუნის სინდრომის, აუტიზმის, ან მხედველობის დაქვეითების მქონენი);
6. სახელმწიფო მზრუნველობიდან ბიოლოგიურ ოჯახში რეინტეგრირებული ბავშვები;
7. ა(ა)იპ „თერაპიული ცენტრი განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვებისთვის“ ცენტრის ბავშვები;
8. სოციალურად დაუცველი ოჯახები (რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 5 000-ს);
9. „ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამის“ ბენეფიციარები;
10. მხედველობით შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირები (მკვეთრი-მნიშვნელოვანი);
11. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ბავშვთა მცირე საოჯახო ტიპის სახლების ბენეფიციარები;
12. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (სკოლის) ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების სტატუსის მქონე დაწყებითი საფეხურის (მე-6 კლასის ჩათვლით) მოსწავლეები;

13. სოციალურად დაუცველი (120 000 ჟულის ჩათვლით) მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე პირები, რომელთაც ჰყავთ სკოლის მოსწავლე (6-12 წლის ჩათვლით) შვილები;
14. დედ-მამით ობოლი ბავშვები (6-12 წლის ჩათვლით).

### **მუხლი 5. პროგრამით მოსარგებლეთათვის სასაჩუქრე ნობათის გაცემის ზოგადი წესი**

პროგრამა ითვალისწინებს მოსარგებლეთათვის სასაჩუქრე ნობათის გადაცემას სადღესასწაულო დღეებში, ქვემოთ მითითებული განრიგის შესაბამისად:

1. 3 მარტი (დედის დღე) - მრავალშვილიანი ოჯახები;
2. აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული - სოციალურად დაუცველი მარტოხელა პენსიონერები და მხედველობით შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირები;
3. 9 მაისი - დიდი სამამულო ომის ვეტერანები და მათთან გათანაბრებულ პირები;
4. 26 მაისი (საქართველოს დამოუკიდებლობის დღე) - ტერიტორიული მთლიანობისთვის მებრძოლი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ვეტერანები;
5. 1 ივნისი (ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე) :
  - ა) შშმ სტატუსის მქონე 18 წლამდე ასაკის ბავშვები (მათ შორის ეტლით მოსარგებლები, ცერებრალური დამბლის, დაუნის სინდრომის, აუტიზმის ან მხედველობის დაქვეითების მქონენი);
  - ბ) სახელმწიფო მზრუნველობიდან ბიოლოგიურ ოჯახში რეინტეგრირებული ბავშვები;
  - გ) ა(ა)იპ „თერაპიული ცენტრი განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვებისთვის“ ცენტრის ბენეფიციარი ბავშვები;
  - დ) „ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამის“ ბენეფიციარები;
  - ე) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბავშვთა მცირე საოჯახო ტიპის სახლების ბენეფიციარები;
6. სასწავლო წლის დაწყება სკოლებში:
  - ა) სოციალურად დაუცველი (120 000 ჟულის ჩათვლით) მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე პირები, რომელთაც ჰყავთ სკოლის მოსწავლე (6-12 წლის ჩათვლით) შვილები;
  - ბ) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (სკოლის) ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების სტატუსის მქონე დაწყებითი საფეხურის (მე-6 კლასის ჩათვლით) მოსწავლეები;
  - გ) სახელმწიფო მზრუნველობიდან ბიოლოგიურ ოჯახში რეინტეგრირებული ბავშვები (6-12 წლის ჩათვლით);
  - დ) „ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამის“ ბენეფიციარები (6-12 წლის ჩათვლით);
  - ე) დედ-მამით ობოლი ბავშვები (6-12 წლის ჩათვლით);
7. ახალი წელი:
  - ა) სოციალურად დაუცველი ოჯახები (რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 5 000-ს);

- ბ) შშმ სტატუსის მქონე 18 წლამდე ასაკის ბავშვები (მათ შორის ეტლით მოსარგებლები, ცერებრალური დამბლის, დაუნის სინდრომის, აუტიზმის, ან მხედველობის დაქვეითების მქონენი);
- გ) სახელმწიფო მზრუნველობიდან ბიოლოგიურ ოჯახში რეინტეგრირებული ბავშვები;
- დ) ა(ა)იპ „თერაპიული ცენტრი განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვებისთვის“ ცენტრის ბენეფიციარი ბავშვები;
- ე) „ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამის“ ბენეფიციარები;
- ვ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბავშვთა მცირე საოჯახო ტიპის სახლების ბენეფიციარები.

## **მუხლი 6. დახმარების მისაღებად მერიაში წარსადგენი დოკუმენტები**

მერიაში წარსადგენი დოკუმენტებია:

1. ბენეფიციარების რაოდენობის შესახებ, გარდაბნის მუნიციპალიტეტის შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლის (შემდეგში „მერის წარმომადგენელი“) წერილი, პროგრამის დასახელების მითითებით (გარდა მე-4 მუხლის მე-7, მე-9, მე-11 და მე-12 პუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა);
2. ა(ა)იპ „თერაპიული ცენტრი განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვებისთვის“ ცენტრის წერილი, პროგრამის დასახელების მითითებით (მე-4 მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში);
3. ბენეფიციარების რაოდენობის შესახებ, გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის, სოციალური, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების (შემდეგში „ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება“) შუამდგომლობა, პროგრამის დასახელების მითითებით (მე-4 მუხლის მე-9 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში);
4. ბენეფიციარების რაოდენობის შესახებ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბავშვთა მცირე საოჯახო ტიპის სახლის ადმინისტრაციიდან წერილი, პროგრამის დასახელების მითითებით (მე-4 მუხლის მე-11 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში);
5. რესურს-ცენტრიდან ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების სტატუსის მქონე დაწყებითი საფეხურის (მე-6 კლასის ჩათვლით) მოსწავლეების რაოდენობის შესახებ წერილი, პროგრამის დასახელების მითითებით (სკოლების მიხედვით) (მე-4 მუხლის მე-12 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში).

## **მუხლი 7. სასაჩუქრე ნობათის გაცემის ორგანიზება**

1. გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერია (შემდეგში „მერია“) პროგრამით მოსარგებლე პირებისთვის საჩუქრების შესყიდვას ახორციელებს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად.

2. მერიის ჯანმრთელობის, სოციალური, ბავშვის უფლებების დაცვის და მხარდაჭერის სამსახური, დანართი №2-ის მე-4 მუხლის 1-ელი, მე-2, მე-3, მე-4, მე-5, მე-6, მე-7, მე-8, მე-9, მე-10, მე-12, მე-13 და მე-14 პუნქტებით განსაზღვრული პროგრამით მოსარგებლეებისთვის განკუთვნილ სასაჩუქრე ნობათს, მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, გადასცემს მერის წარმომადგენელს, რომელიც პასუხისმგებელია აღნიშნული სასაჩუქრე ნობათის ამ პუნქტით განსაზღვრული ბენეფიციარებისთვის მიწოდებაზე.

3. მერიის ჯანმრთელობის, სოციალური, ბავშვის უფლებების დაცვის და მხარდაჭერის სამსახური, დანართი №2-ის მე-4 მუხლის მე-11 პუნქტით განსაზღვრული პროგრამით მოსარგებლეებისთვის განკუთვნილ სასაჩუქრე ნობათს, მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, გადასცემს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ბავშვთა მცირე საოჯახო ტიპის სახლის ადმინისტრაციას, რომელიც პასუხისმგებელია აღნიშნული სასაჩუქრე ნობათის ამ პუნქტით განსაზღვრული ბენეფიციარებისთვის მიწოდებაზე.

### **მუხლი 8. პროგრამის შედეგის ინდიკატორი**

ბენეფიციართა რაოდენობა, რომელთაც გადაეცათ ნობათები.

### **მუხლი 9. პროგრამის შედეგი**

პროგრამის მოსარგებლეთა მორალური მხარდაჭერა.

**დანართი №3**

### **ერთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრამა**

**(ქვეპროგრამის კოდი 06 02 05)**

ერთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრამა (შემდგომში „პროგრამა“) განსაზღვრავს გარდაბნის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან, გარდაბნის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული და მცხოვრები ოჯახების, ფენილკეტონურიით/ცელიაკით დაავადებული და სახელმწიფო მზრუნველობიდან გამოსული პირების, ასევე „ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამის“ ბენეფიციარებისთვის სოციალური დახმარების გაცემის პირობებსა და პროცედურებს, მათ მიერ გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიაში (შემდგომში „მერია“) წარსადგენი დოკუმენტაციის ნუსხას და დახმარების სახით გასაცემი თანხის ოდენობებს.

### **მუხლი 1. პროგრამის მიზანი**

დახმარების საჭიროების მქონე ოჯახების, „ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამის“ ბენეფიციარების, ფენილკეტონურიით/ცელიაკით დაავადებული პირების და სახელმწიფო მზრუნველობიდან გამოსული ბენეფიციარების მატერიალური მხარდაჭერა.

## **მუხლი 2. დაფინანსების წყარო**

გარდაბნის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.

## **მუხლი 3. პროგრამის ხანგრძლივობა**

პროგრამა ძალაშია 2025 წლის 1 იანვრიდან 2025 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

## **მუხლი 4. პროგრამით მოსარგებლე**

პროგრამით მოსარგებლეები არიან:

1. ოჯახი, რომელიც არ იმყოფება სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში, მაგრამ გარდაბნის მუნიციპალიტეტის შესაბამისი ადმინისტრაციული ერთეულის მერის წარმომადგენლის (შემდეგში „მერის წარმომადგენელი“) შუამდგომლობით, ან გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის, სოციალური, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების (შემდეგში „ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება“) წერილის საფუძველზე საჭიროებს მატერიალურ დახმარებას.
2. სახელმწიფო მზრუნველობიდან გამოსული პირი (18+), რომელმაც ზრუნვის ორგანო დატოვა არაუმეტეს 6 თვის ვადისა (სოციალურად დაუცველის სტატუსის მიუხედავად).
3. ფენილკეტონურიით/ცელიაკით დაავადებული პირი (სოციალურად დაუცველის სტატუსის მიუხედავად).

## **მუხლი 5. პროგრამით მოსარგებლეთა დაფინანსების ზოგადი წესი**

1. პროგრამის ფარგლებში მატერიალური დახმარების მისაღებად ბენეფიციარი წერილობითი განცხადებით მიმართავს და სრულყოფილ დოკუმენტაციას წარუდგენს გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერს (შემდეგში „მერი“) ან მერის წარმომადგენელს. მიღებული დოკუმენტაცია შესასწავლად იგზავნება მერიის ჯანმრთელობის, სოციალური, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურში (შემდეგში „სამსახური“). „ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამის“ ბენეფიციარების შემთხვევაში, სამსახურს წერილობით მიმართავს ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება; სრულყოფილი დოკუმენტაცია სამსახურის მიერ შემდგომი განხილვისთვის გადაეცემა სამედიცინო და სოციალური დახმარების კომისიას (შემდეგში „კომისია“), რომელიც კენჭისყრის საფუძველზე იღებს კომისიის გადაწყვეტილებას და ასახავს შესაბამის ოქმში.
2. პროგრამა ითვალისწინებს წელიწადში ერთხელ (ოჯახის მდგომარეობის გათვალისწინებით, მერის გადაწყვეტილებით შესაძლებელია ორჯერ) ერთჯერად მატერიალურ დახმარებას. დახმარების შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს მერი კომისიის ოქმის საფუძველზე და გასცემს მას არა უმეტეს 300 (სამასი) ლარისა, ხოლო სახელმწიფო მზრუნველობიდან გამოსულ და ფენილკეტონურიით/ცელიაკით დაავადებულ პირებზე არა უმეტეს 1000 (ათასი) ლარისა.

## **მუხლი 6. დახმარების მისაღებად მერიაში წარსადგენი დოკუმენტები**

დახმარების მისაღებად მერიაში წარსადგენი დოკუმენტებია:

ა) განცხადება;

ბ) განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი;

გ) ოჯახის მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების აქტი, რომელსაც ხელს აწერს მერის წარმომადგენელი; ასევე, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი წევრი, იმ შემთხვევაში, თუ მერის წარმომადგენელთან ერთად შეისწავლის ოჯახის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას;

დ) იძულებით გადაადგილებული პირის/დევნილის მოწმობის ასლი (იძულებით გადაადგილებული პირის/დევნილის მიერ მომართვის შემთხვევაში);

ე) იძულებით გადაადგილებული პირის/დევნილის სტატუსის მქონე ბენეფიციარი ვალდებულია წარმოადგინოს ცნობა, სადაც მითითებული იქნება, რომ არ არის ამ პროგრამით გათვალისწინებული ანალოგიური დახმარების მიმღები იმ თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან, სადაც არის რეგისტრირებული;

ვ) ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების წერილი „ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამის“ ბენეფიციარის შესახებ;

ზ) საოქმო გადაწყვეტილება სახელმწიფო მზრუნველობიდან ამორიცხვის შესახებ (მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში);

თ) ფორმა №IV-100/ა (ფენილკეტონურიით/ცელიაკით დაავადებულ პირების შემთხვევაში);

ი) განმცხადებლის საბანკო რეკვიზიტები.

## **მუხლი 7. ჯანმრთელობის, სოციალური, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის უფლებამოსილება**

1. სამსახური ამოწმებს შემოსულ განცხადებებს და სრულყოფილ დოკუმენტაციას განსახილველად გადასცემს კომისიას.

2. კომისიის ოქმის საფუძველზე, ამზადებს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (ბრძანების) პროექტს და/ან ადმინისტრაციულ დაპირებას მერთან წარსადგენად.

3. განცხადებაში აღმოჩენილი ხარვეზის შემთხვევაში მიმართავს განმცხადებელს ან/და მერის წარმომადგენელს ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით.

3. ახორციელებს პროგრამის ფარგლებში კომისიის მუშაობისთვის საჭირო სხვა ორგანიზაციულ საქმიანობას.

## **მუხლი 8. კომისიის მუშაობის წესი**

1. ამ პროგრამის თანახმად შემოსულ განცხადებებს განიხილავს კომისია, რომელსაც ქმნის მერი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტით (ბრძანებით).
2. კომისია იკრიბება საჭიროებისამებრ, მაგრამ არანაკლებ თვეში 2-ჯერ.
3. კომისიის სხდომის შემდეგ ყველა გადაწყვეტილება აისახება ოქმში, რომელსაც ხელს აწერს კომისიის თავმჯდომარე, სხდომაზე დამსწრე ყველა წევრი და კომისიის მდივანი.
4. კომისიის ოქმის სათანადო წესით შეკერვასა და შენახვას უზრუნველყოფს კომისიის მდივანი.

### **მუხლი 9. საბოლოო გადაწყვეტილების მიღება და დაფინანსება**

1. მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილება უზრუნველყოფს სამსახურის მიერ წარმოდგენილი, მერიის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (ბრძანების) პროექტის სამართლებრივ ექსპერტიზას და ვიზირებას.
2. დახმარების გაცემის შესახებ, კომისიის ოქმის საფუძველზე, საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს მერი და გამოსცემს შესაბამის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს (ბრძანებას).
3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული სამართლებრივი აქტის საფუძველზე, თანხის გადარიცხვას უზრუნველყოფს მერიის საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახური, უნაღდო ანგარიშსწორებით, ბრძანებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

### **მუხლი 10. პროგრამის შედეგის ინდიკატორი**

პროგრამაში ჩართული ოჯახების რაოდენობა. სახელმწიფო მზრუნველობიდან გამოსული პირის რაოდენობა. ფენილკეტონურიით/ცელიაკით დაავადებულ პირების რაოდენობა. „ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამის“ ბენეფიციართა რაოდენობა.

### **მუხლი 11. პროგრამის შედეგი**

დახმარების საჭიროების მქონე ოჯახების, პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარების მატერიალური დახმარება.

**დანართი №4**

**მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურების პროგრამა**

**(ქვეპროგრამის კოდი 06 02 06)**

მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურების პროგრამა (შემდგომში “პროგრამა”) განსაზღვრავს გარდაბნის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან მიცვალებულების დაკრძალვასთან

დაკავშირებული სარიტუალო ხარჯების ანაზღაურების გაცემის პირობებსა და პროცედურებს, გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიაში (შემდეგში „მერია“) წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხას და გასაცემი თანხის ოდენობას.

### **მუხლი 1. პროგრამის მიზანი**

გარდაბნის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული და მცხოვრები ვეტერანების, იძულებით გადაადგილებული პირების/დევნილების, ასევე „ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამის“ ბენეფიციარების და უპატრონო მიცვალებულების დაკრძალვასთან დაკავშირებული სარიტუალო ხარჯების ანაზღაურების უზრუნველყოფა.

### **მუხლი 2. დაფინანსების წყარო**

გარდაბნის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.

### **მუხლი 3. პროგრამის ხანგრძლივობა**

პროგრამა ძალაშია 2025 წლის 1 იანვრიდან 2025 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

### **მუხლი 4. პროგრამით მოსარგებლე**

პროგრამით მოსარგებლეები არიან:

1. გარდაბნის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული და მცხოვრები გარდაცვლილი ვეტერანების ოჯახის წევრები;
2. გარდაბნის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული და მცხოვრები იძულებით გადაადგილებული პირების/დევნილების ოჯახის წევრები, თუ ოჯახის სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100 000-ს;
3. „ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამის“ ბენეფიციარები;
4. დამკრძალავი ბიურო (გარდაბნის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უპატრონო მიცვალებულის აღმოჩენის შემთხვევაში).

### **მუხლი 5. პროგრამით მოსარგებლეთა დაფინანსების ზოგადი წესი და პროცედურები**

1. პროგრამის ფარგლებში ანაზღაურების მისაღებად მოქალაქე წერილობითი განცხადებით მიმართავს და სრულყოფილ დოკუმენტაციას წარუდგენს გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერს (შემდეგში „მერი“) ან გარდაბნის მუნიციპალიტეტის შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენელს (შემდეგში „მერის წარმომადგენელი“). მიღებული დოკუმენტაცია შესასწავლად იგზავნება მერიის ჯანმრთელობის, სოციალური, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურში (შემდეგში „სამსახური“). „ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამის“ ბენეფიციარების შემთხვევაში, სამსახურს წერილობით მიმართავს მერიის ჯანმრთელობის, სოციალური, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება (შემდეგში „ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება“). უპატრონო მიცვალებულის აღმოჩენის

შემთხვევაში, დაფინანსება განხორციელდება შინაგან საქმეთა სამინისტროს ან სხვა უფლებამოსილი დაწესებულების მიერ მერისთვის წერილობითი მიმართვის საფუძველზე.

2. პროგრამა ითვალისწინებს:

ა) მიცვალებულის ოჯახის წევრებზე სარიტუალო დახმარებას 350 (სამას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით;

ბ) უპატრონო მიცვალებულების სარიტუალო მომსახურების ანაზღაურებას 800 (რვაასი) ლარის ფარგლებში.

3. მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში, მოსარგებლეთა მიერ განცხადების წარდგენის ვადაა - გარდაცვალებიდან არაუგვიანეს 120 (ას ოცი) კალენდარული დღე.

4. მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში, ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, დამკრძალავ ბიუროსთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.

### **მუხლი 6. დახმარების მისაღებად მერიაში წარსადგენი დოკუმენტები**

დახმარების მისაღებად მერიაში წარსადგენი დოკუმენტებია:

ა) დაკრძალვის ხარჯის მიმღები პირის განცხადება მერის სახელზე;

ბ) განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი;

გ) გარდაცვალების მოწმობის ასლი;

დ) გარდაცვლილი იძულებით გადაადგილებული პირის/დევენილის მოწმობის ასლი (იძულებით გადაადგილებული პირის/დევენილის გარდაცვალების შემთხვევაში);

ე) ცნობა ან/და ამონაწერი სოციალური მომსახურების სააგენტოდან სარეიტინგო ქულების შესახებ (იძულებით გადაადგილებული პირის/დევენილის გარდაცვალების შემთხვევაში);

ვ) ინფორმაცია/წერილი მერის წარმომადგენლისაგან, შინაგან საქმეთა სამინისტროდან ან სხვა დაწესებულებიდან (უპატრონო მიცვალებულის შემთხვევაში);

ზ) გარდაცვლილი ვეტერანის მოწმობის ასლი;

თ) ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების წერილი „ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამის“ ბენეფიციარის გარდაცვალების შესახებ;

ი) განმცხადებლის საბანკო რეკვიზიტები;

კ) დამკრძალავი ბიუროს ხარჯთაღრიცხვა გაწეული მომსახურების შესახებ (უპატრონო მიცვალებულის შემთხვევაში).

### **მუხლი 7. ჯანმრთელობის, სოციალური, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის უფლებამოსილება**

სამსახური შემოსულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით ამზადებს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (ბრძანების) პროექტს მერთან წარსადგენად, ხოლო განცხადებაში/წერილში აღმოჩენილი ხარვეზის შემთხვევაში, მიმართავს განმცხადებელს/დაწესებულებას, ან/და მერის წარმომადგენელს ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით.

## **მუხლი 8. სოციალური დახმარების გაცემის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების მიღება და დაფინანსება**

1. მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილება უზრუნველყოფს სამსახურის მიერ წარმოდგენილი, მერიის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (ბრძანების) პროექტის სამართლებრივ ექსპერტიზას და ვიზირებას.
2. დაფინანსების გაცემის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს მერი და გამოსცემს შესაბამის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს (ბრძანებას).
3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული სამართლებრივი აქტის საფუძველზე, თანხის გადარიცხვას უზრუნველყოფს მერიის საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახური, უნაღდო ანგარიშსწორებით, ბრძანებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

## **მუხლი 9. პროგრამის შედეგის ინდიკატორები**

სარიტუალო ხარჯის დასაფარად გაწეული დახმარების შემთხვევების რაოდენობა. უპატრონო მიცვალებულის დაკრძალვის შემთხვევების რაოდენობა.

## **მუხლი 10. პროგრამის შედეგი**

გარდაცვლილი ვეტერანების, იძულებით გადაადგილებული პირების/დევნილების, „ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამის“ ბენეფიციარების დაკრძალვის/სარიტუალო ხარჯების დაფარვის მიზნით, მათი ოჯახის წევრებისთვის მატერიალური დახმარების გაწევა. უპატრონო მიცვალებულების დაკრძალვის ხარჯების დაფარვა.

დანართი №5

### **დიალიზზე დამოკიდებულ მოქალაქეთა დახმარების პროგრამა**

(ქვეპროგრამის კოდი 06 02 07)

დიალიზზე დამოკიდებულ მოქალაქეთა დახმარების პროგრამა (შემდეგში „პროგრამა“) განსაზღვრავს გარდაბნის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გარდაბნის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული და მცხოვრები დიალიზზე დამოკიდებული მოქალაქეებისთვის დახმარების გაცემის პირობებსა და პროცედურებს, მათ მიერ გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიაში (შემდეგში „მერია“) წარსადგენი დოკუმენტაციის ნუსხას და დახმარების სახით გასაცემი თანხის ოდენობებს.

## **მუხლი 1. პროგრამის მიზანი**

დიალიზზე დამოკიდებული მოქალაქეებისთვის დიალიზის მომსახურების მიღების ხელშეწყობა.

## **მუხლი 2. დაფინანსების წყარო**

გარდაბნის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.

## **მუხლი 3. პროგრამის ხანგრძლივობა**

პროგრამა ძალაშია 2025 წლის 1 იანვრიდან 2025 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

## **მუხლი 4. პროგრამით მოსარგებლე**

პროგრამით მოსარგებლე არის დიალიზზე დამოკიდებული, დიალიზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული მოქალაქე.

## **მუხლი 5. პროგრამით მოსარგებლეთა დაფინანსების ზოგადი წესი**

1. სოციალური დახმარების მისაღებად ბენეფიციარი წერილობითი განცხადებით მიმართავს და სრულყოფილ დოკუმენტაციას წარუდგენს გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერს (შემდეგში „მერი“) ან გარდაბნის მუნიციპალიტეტის შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენელს (შემდეგში „მერის წარმომადგენელი“). მიღებული დოკუმენტაცია შესასწავლად იგზავნება მერიის ჯანმრთელობის, სოციალური, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურში (შემდეგში „სამსახური“).
2. პროგრამა ითვალისწინებს დიალიზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული მოქალაქეების სატრანსპორტო ხარჯების ანაზღაურებას დიალიზის მომსახურების მისაღებად. თანხა გაცივმა ყოველთვიურად 200 (ორასი) ლარის ოდენობით.

## **მუხლი 6. დახმარების მისაღებად მერიაში წარსადგენი დოკუმენტები**

დახმარების მისაღებად მერიაში წარსადგენი დოკუმენტებია:

- ა) განცხადება;
- ბ) განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი;
- გ) იძულებით გადაადგილებული პირის/დევენილის მოწმობის ასლი (იძულებით გადაადგილებული პირის/დევენილის მომართვის შემთხვევაში);
- დ) ცნობა, სადაც მითითებული იქნება, რომ ისინი არ არიან ამ წესით გათვალისწინებული ანალოგიური დახმარების მიმღები იმ თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან სადაც არიან რეგისტრირებული (იძულებით გადაადგილებული პირის/დევენილის მომართვის შემთხვევაში);
- ე) ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა №IV – 100/ა);
- ვ) განმცხადებლის საბანკო რეკვიზიტები (ყოველთვიურად).

## **მუხლი 7. ჯანმრთელობის, სოციალური, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის უფლებამოსილება**

სამსახური შემოსულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით ამზადებს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (ბრძანების) პროექტს მერთან წარსადგენად, ხოლო განცხადებაში აღმოჩენილი ხარვეზის შემთხვევაში, მიმართავს განმცხადებელს ან/და მერის წარმომადგენელს ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით.

## **მუხლი 8. სოციალური დახმარების გაცემის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების მიღება და დაფინანსება**

1. მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილება უზრუნველყოფს სამსახურის მიერ წარმოდგენილი, მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (ბრძანების) პროექტის სამართლებრივ ექსპერტიზას და ვიზირებას.
2. დახმარების გაცემის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს მერი და გამოსცემს შესაბამის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს (ბრძანებას).
3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული სამართლებრივი აქტის საფუძველზე, თანხის გადარიცხვას უზრუნველყოფს მერიის საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახური, უნაღდო ანგარიშსწორებით, ბრძანებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

## **მუხლი 9. პროგრამის შედეგის ინდიკატორი**

სატრანსპორტო დახმარების მიმღები დიალიზზე დამოკიდებული მოქალაქეების რაოდენობა.

## **მუხლი პროგრამის შედეგი**

დიალიზზე დამოკიდებული მოქალაქეებისთვის ტრანსპორტირების ხარჯების დაფარვა; დიალიზის სახელმწიფო პროგრამის სერვისის ხელმისაწვდომობა.

**დანართი №6**

### **დედ-მამით ობოლი ბავშვების სოციალური დაცვის პროგრამა**

**(ქვეპროგრამის კოდი 06 02 09)**

დედ-მამით ობოლი ბავშვების სოციალური დაცვის პროგრამა (შემდგომში „პროგრამა“) განსაზღვრავს გარდაბნის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან დედ-მამით ობოლი ბავშვების სოციალური დახმარების გაცემის პირობებსა და პროცედურებს, გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიაში (შემდეგში „მერია“) წარსადგენი დოკუმენტაციის ნუსხას და დახმარების სახით გასაცემი თანხის ოდენობებს.

## **მუხლი 1. პროგრამის მიზანი**

დედ-მამით ობოლი 18 წლამდე ასაკის ბავშვების მატერიალური მხარდაჭერა.

## **მუხლი 2. დაფინანსების წყარო**

გარდაბნის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.

## **მუხლი 3. პროგრამის ხანგრძლივობა**

პროგრამა ძალაშია 2025 წლის 1 იანვრიდან 2025 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

#### **მუხლი 4. პროგრამით მოსარგებლე**

პროგრამის მოსარგებლე პირები არიან:

- ა) გარდაბნის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული და მცხოვრები 18 წლამდე ასაკის დედ-მამით ობოლი ბავშვები;
- ბ) „ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამის“ ბენეფიციარი, 18 წლამდე ასაკის დედ-მამით ობოლი ბავშვები.

#### **მუხლი 5. პროგრამით მოსარგებლეთა დაფინანსების ზოგადი წესი**

1. პროგრამის ფარგლებში დახმარების მისაღებად ბენეფიციარის კანონიერი წარმომადგენელი წერილობითი განცხადებით მიმართავს და სრულყოფილ დოკუმენტაციას წარუდგენს გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერს (შემდეგში „მერი“) ან გარდაბნის მუნიციპალიტეტის შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენელს (შემდეგში „მერის წარმომადგენელი“). მიღებული დოკუმენტაცია შესასწავლად იგზავნება მერიის ჯანმრთელობის, სოციალური, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურში (შემდეგში „სამსახური“). „ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამის“ ბენეფიციარების შემთხვევაში, სამსახურს წერილობით მიმართავს მერიის ჯანმრთელობის, სოციალური, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება (შემდეგში „ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება“).

2. პროგრამა ითვალისწინებს დედ-მამით ობოლი ბავშვების ფინანსურ მხარდაჭერას, კერძოდ, დედ-მამით ობოლ თითოეულ ბავშვზე, რომელსაც არ შესრულებია 18 წელი, დახმარება გაიცემა 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით წელიწადში ორჯერ (1 ივნისს და ახალ წელს).

#### **მუხლი 6. მერიაში წარსადგენი დოკუმენტები**

მერიაში წარსადგენი დოკუმენტებია:

- ა) განცხადება;
- ბ) მეურვის/მზრუნველის/კანონიერი წარმომადგენლის პირადობის მოწმობის ასლი;
- გ) მეურვეობის/მზრუნველობის/კანონიერი წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- დ) იძულებით გადაადგილებული პირის/დევნილის (ბავშვის) მოწმობის ასლი (იძულებით გადაადგილებული პირის/დევნილის მომართვის შემთხვევაში);
- ე) მშობლების გარდაცვალების დამადასტურებელი დოკუმენტი;
- ვ) ბავშვის (ბავშვების) დაბადების მოწმობის ასლი;
- ზ) ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების წერილი „ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამის“ ბენეფიციარების შესახებ;
- თ) განმცხადებლის საბანკო რეკვიზიტები.

## **მუხლი 7. ჯანმრთელობის, სოციალური, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის უფლებამოსილება**

სამსახური შემოსულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით ამზადებს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (ბრძანების) პროექტს მერთან წარსადგენად, ხოლო განცხადებაში აღმოჩენილი ხარვეზის შემთხვევაში, მიმართავს განმცხადებელს ან/და მერის წარმომადგენელს ადმინისტრაციულ ერთეულში ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით.

## **მუხლი 8. სოციალური დახმარების გაცემის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების მიღება და დაფინანსება**

1. მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილება უზრუნველყოფს სამსახურის მიერ წარმოდგენილი, მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (ბრძანების) პროექტის სამართლებრივ ექსპერტიზას და ვიზირებას.
2. დახმარების გაცემის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს მერი და გამოსცემს შესაბამის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს (ბრძანებას).
3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული სამართლებრივი აქტის საფუძველზე, თანხის გადარიცხვას უზრუნველყოფს მერიის საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახური, უნაღდო ანგარიშსწორებით, ბრძანებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

## **მუხლი 9. პროგრამის შედეგის ინდიკატორი**

პროგრამაში ჩართული დედ-მამით ობოლი ბავშვების რაოდენობა.

## **მუხლი 10. პროგრამის შედეგი**

დედ-მამით ობოლი ბავშვების მატერიალური უზრუნველყოფა.

დანართი №7

**უსახლკაროდ დარჩენილთა და დაზარალებულთა დახმარების პროგრამა**

**(ქვეპროგრამის კოდი 06 02 10)**

უსახლკაროდ დარჩენილთა და დაზარალებულთა დახმარების პროგრამა (შემდგომში „პროგრამა“) განსაზღვრავს გარდაბნის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გარდაბნის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული და მცხოვრები სოციალურად დაუცველი უსახლკარო ოჯახებისთვის, ხანძრის/სტიქიის შედეგად დაზარალებული უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახებისთვის და „ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამის“ ბენეფიციარებისთვის ბინის ქირის გაცემის პირობებსა და პროცედურებს, მათ მიერ გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიაში (შემდეგში „მერია“) წარსადგენი დოკუმენტაციის ნუსხას და დახმარების სახით გასაცემი თანხის ოდენობებს.

## **მუხლი 1. პროგრამის მიზანი**

უსახლკაროდ დარჩენილი, დაზარალებული ოჯახების და „ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამის“ ბენეფიციარებისთვის ბინის ქირის დაფარვაზე მატერიალური დახმარება.

## **მუხლი 2. დაფინანსების წყარო**

გარდაბნის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.

## **მუხლი 3. პროგრამის ხანგრძლივობა**

პროგრამა ძალაშია 2025 წლის 1 იანვრიდან 2025 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

## **მუხლი 4. პროგრამით მოსარგებლე**

პროგრამით მოსარგებლეები არიან:

1. სოციალურად დაუცველი უსახლკარო ოჯახები (რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 75 000-ს);
2. ხანძრის ან სტიქიის შედეგად დაზარალებული უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახები;
3. „ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამის“ ბენეფიციარები.

## **მუხლი 5. პროგრამით მოსარგებლეთა დაფინანსების ზოგადი წესი**

1. პროგრამის ფარგლებში სოციალური დახმარების მისაღებად ბენეფიციარი წერილობითი განცხადებით მიმართავს და სრულყოფილ დოკუმენტაციას წარუდგენს გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერს (შემდგომში „მერი“) ან გარდაბნის მუნიციპალიტეტის შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენელს (შემდგომში „მერის წარმომადგენელი“). მიღებული დოკუმენტაცია შესასწავლად იგზავნება მერიის ჯანმრთელობის, სოციალური, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურში (შემდგომში „სამსახური“). „ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამის“ ბენეფიციარის შემთხვევაში, სამსახურს წერილობით მიმართავს მერიის ჯანმრთელობის, სოციალური, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება (შემდგომში „ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება“).

2. პროგრამა ითვალისწინებს ბინის ქირისთვის ყოველთვიურ დახმარებას 250 (ორას ორმოცდაათი) ლარის ფარგლებში:

- ა) სოციალურად დაუცველ უსახლკარო ოჯახებზე;
- ბ) ხანძრის (ან სტიქიის) შედეგად დაზარალებულ უსახლკაროდ დარჩენილ ოჯახებზე;
- გ) „ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამის“ ბენეფიციარებზე.

## **მუხლი 6. მერიაში წარსადგენი დოკუმენტები**

მერიაში წარსადგენი დოკუმენტებია:

- ა) განცხადება;
- ბ) განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი;
- გ) იძულებით გადაადგილებული პირის/დევენილის მოწმობის ასლი (იძულებით გადაადგილებული პირის/დევენილის მომართვის შემთხვევაში);
- დ) ცნობა, სადაც მითითებული იქნება, რომ ისინი არ არიან ამ წესით გათვალისწინებული ანალოგიური დახმარების მიმღები იმ თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან სადაც არიან რეგისტრირებული (იძულებით გადაადგილებული პირის/დევენილის მომართვის შემთხვევაში);
- ე) ხელშეკრულების ასლი ქირავნობის შესახებ (ნოტარიული წესით დამოწმებული) სადაც მითითებული იქნება ქირავნობის თანხის ოდენობა;
- ვ) შუამდგომლობა მერის წარმომადგენლისაგან, რომელშიც დადასტურებული იქნება, რომ განმცხადებელს ნამდვილად არ აქვს საცხოვრებელი;
- ზ) საჯარო რეესტრის ამონაწერი, რომლითაც დასტურდება გამქირავებლის მიერ საკუთრების უფლება ბინაზე;
- თ) ცნობა საჯარო რეესტრიდან, რომელიც ადასტურებს, რომ განმცხადებლის სახელზე არ არის რეგისტრირებული სხვა უძრავი ქონება;
- ი) მერის მიერ შექმნილი ხანძრის ან სტიქიის შედეგად დაზიანებული საცხოვრებელი სახლის მდგომარეობის შემსწავლელი სამუშაო ჯგუფის დასკვნა;
- კ) ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების წერილი „ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამის“ ბენეფიციარის შესახებ;
- ლ) განმცხადებლის საბანკო რეკვიზიტები.

## **მუხლი 7. ჯანმრთელობის, სოციალური, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის უფლებამოსილება**

სამსახური შემოსულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით ამზადებს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (ბრძანების) პროექტს მერთან წარსადგენად, ხოლო განცხადებაში აღმოჩენილი ხარვეზის შემთხვევაში, მიმართავს განმცხადებელს ან/და მერის წარმომადგენელს ხარვეზის აღმომგზავრის მიზნით.

## **მუხლი 8. სოციალური დახმარების გაცემის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების მიღება და დაფინანსება**

1. მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილება უზრუნველყოფს სამსახურის მიერ წარმოდგენილი მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (ბრძანების) პროექტის სამართლებრივ ექსპერტიზას და ვიზირებას.
2. დახმარების გაცემის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს მერი და გამოსცემს შესაბამის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს (ბრძანებას).

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული სამართლებრივი აქტის საფუძველზე, თანხის გადარიცხვას უზრუნველყოფს მერიის საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახური, უნაღდო ანგარიშსწორებით, ბრძანებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

### **მუხლი 9. პროგრამის შედეგის ინდიკატორი**

პროგრამაში ჩართული ოჯახების რაოდენობა.

### **მუხლი 10. პროგრამის შედეგი**

უსახლკაროდ დარჩენილი, ხანძრის/სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახების, „ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამის“ ბენეფიციარების ბინის ქირით უზრუნველყოფა.

დანართი №8

**ვეტერანთა და ომში დაღუპულ მეომართა ოჯახების სოციალური დახმარების პროგრამა**

(ქვეპროგრამის კოდი 06 02 11)

ვეტერანთა და ომში დაღუპულ მეომართა ოჯახების სოციალური დახმარების პროგრამა (შემდგომში „პროგრამა“) განსაზღვრავს გარდაბნის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გარდაბნის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული და მცხოვრები ომის ვეტერანების, მათთან გათანაბრებული პირების და ომში დაღუპულ მეომართა ოჯახების დახმარების გაცემის პირობებსა და პროცედურებს, მათ მიერ გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიაში (შემდგომში „მერია“) წარსადგენი დოკუმენტაციის ნუსხას და დახმარების სახით გასაცემი თანხის ოდენობას.

### **მუხლი 1. პროგრამის მიზანი**

ომის ვეტერანების, მათთან გათანაბრებული პირების და ომში დაღუპულ მეომართა ოჯახების მატერიალური დახმარება.

### **მუხლი 2. დაფინანსების წყარო**

გარდაბნის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.

### **მუხლი 3. პროგრამის ხანგრძლივობა**

პროგრამა ძალაშია 2025 წლის 1 იანვრიდან 2025 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

### **მუხლი 4. პროგრამით მოსარგებლე**

პროგრამით მოსარგებლები არიან: ომის ვეტერანები, მათთან გათანაბრებული პირები და ომში დაღუპულ მეომართა ოჯახები.

## **მუხლი 5. პროგრამით მოსარგებლეთა დაფინანსების ზოგადი წესი**

1. პროგრამის ფარგლებში სოციალური დახმარების მისაღებად ბენეფიციარი წერილობითი განცხადებით მიმართავს და სრულყოფილ დოკუმენტაციას წარუდგენს გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერს (შემდეგში „მერი“) ან გარდაბნის მუნიციპალიტეტის შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენელს (შემდეგში „მერის წარმომადგენელი“). მიღებული დოკუმენტაცია შესასწავლად იგზავნება მერიის ჯანმრთელობის, სოციალური, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურში (შემდეგში „სამსახური“).

2. პროგრამა ითვალისწინებს დახმარების გაცემას:

ა) დიდი სამამულო ომის მონაწილეებზე - 1000 (ათასი) ლარის და მათთან გათანაბრებულ პირებზე 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით - 9 მაისის დღესასწაულთან დაკავშირებით;

ბ) საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლის შშმ ვეტერანებზე და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ომში დაღუპულ მეომართა ოჯახებზე (მშობელი, შვილი, ქორწინებაში მყოფი მეუღლე) 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით - 17 ოქტომბერს ვეტერანთა დღის აღსანიშნავად;

გ) სოციალურად დაუცველ (1000-დან 65 000 ქულის ჩათვლით) საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საბრძოლო მოქმედებების მონაწილე ვეტერანებზე და მათთან გათანაბრებულ პირებზე წელიწადში ერთხელ 400 (ოთხასი) ლარის ოდენობით;

დ) სოციალურად დაუცველ (65 001-დან 100 000 ქულის ჩათვლით) საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საბრძოლო მოქმედებების მონაწილე ვეტერანებზე და მათთან გათანაბრებულ პირებზე წელიწადში ერთხელ 300 (სამასი) ლარის ოდენობით.

## **მუხლი 6. დახმარების მისაღებად მერიაში წარსადგენი დოკუმენტები**

დახმარების მისაღებად მერიაში წარსადგენი დოკუმენტებია:

ა) განცხადება;

ბ) განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი;

გ) ქორწინების მოწმობის ასლი ან/და ნათესაური კავშირის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტი (ომში დაღუპულთა ოჯახის წევრის დახმარების შემთხვევაში);

დ) ვეტერანის მოწმობის ასლი;

ე) იძულებით გადაადგილებული პირის/დევნილის მოწმობის ასლი (იძულებით გადაადგილებული პირის/დევნილის მომართვის შემთხვევაში);

ვ) იძულებით გადაადგილებული პირის/დევნილის სტატუსის მქონე ბენეფიციარი ვალდებულია წარმოადგინოს ცნობა, სადაც მითითებული იქნება, რომ ის არ არის ამ პროგრამით გათვალისწინებული ანალოგიური დახმარების მიმღები იმ თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან, სადაც არის რეგისტრირებული;

ზ) განმცხადებლის საბანკო რეკვიზიტები.

## **მუხლი 7. ჯანმრთელობის, სოციალური, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის უფლებამოსილება**

სამსახური შემოსულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით ამზადებს ამზადებს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (ბრძანების) პროექტს მერთან წარსადგენად, ხოლო განცხადებაში აღმოჩენილი ხარვეზის შემთხვევაში, მიმართავს განმცხადებელს ან/და მერის წარმომადგენელს ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით.

## **მუხლი 8. სოციალური დახმარების გაცემის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების მიღება და დაფინანსება**

1. მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილება უზრუნველყოფს სამსახურის მიერ წარმოდგენილი მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (ბრძანების) პროექტის სამართლებრივ ექსპერტიზას და ვიზირებას.
2. დახმარების გაცემის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს მერი და გამოსცემს შესაბამის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს (ბრძანებას).
3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული სამართლებრივი აქტის საფუძველზე, თანხის გადარიცხვას უზრუნველყოფს მერიის საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახური, უნაღდო ანგარიშსწორებით, ბრძანებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

## **მუხლი 9. პროგრამის შედეგის ინდიკატორი**

პროგრამაში ჩართული ომის ვეტერანების, მათთან გათანაბრებული პირების და ომში დაღუპულ მეომართა ოჯახების რაოდენობა.

## **მუხლი 10. პროგრამის შედეგი**

ომის ვეტერანების, მათთან გათანაბრებული პირების და ომში დაღუპულ მეომართა ოჯახების მატერიალური უზრუნველყოფა.

**დანართი №9**

### **უხუცეს პირთა სოციალური დაცვის პროგრამა**

**(ქვეპროგრამის კოდი - 06 02 12)**

უხუცეს პირთა სოციალური დაცვის პროგრამა (შემდგომში „პროგრამა“) განსაზღვრავს გარდაბნის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გარდაბნის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული და მცხოვრები ასი და ას წელს გადაცილებული უხუცესების სოციალური დახმარების გაცემის პირობებსა და პროცედურებს, მათ მიერ გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიაში (შემდეგში „მერია“) წარსადგენი დოკუმენტების ნუსხას და დახმარების სახით გასაცემი თანხის ოდენობებს.

## **მუხლი 1. პროგრამის მიზანი**

ასი და ას წელს გადაცილებული უხუცესების მატერიალური მხარდაჭერა.

## **მუხლი 2. დაფინანსების წყარო**

გარდაბნის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.

## **მუხლი 3. პროგრამის ხანგრძლივობა**

პროგრამა ძალაშია 2025 წლის 1 იანვრიდან 2025 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

## **მუხლი 4. პროგრამით მოსარგებლე**

პროგრამით მოსარგებლენი არიან 100 (ასი) და ას წელს გადაცილებული უხუცესები.

## **მუხლი 5. პროგრამით მოსარგებლების დაფინანსების ზოგადი წესი**

1. სოციალური დახმარების მისაღებად ბენეფიციარი/განმცხადებელი განცხადებით მიმართავს და სრულყოფილ დოკუმენტაციას წარუდგენს გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერს (შემდეგში „მერი“) ან გარდაბნის მუნიციპალიტეტის შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენელს (შემდეგში „მერის წარმომადგენელი“). მიღებული დოკუმენტაცია შესასწავლად იგზავნება მერიის ჯანმრთელობის, სოციალური, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურში (შემდეგში „სამსახური“).

2. პროგრამა ითვალისწინებს ასი და ას წელს გადაცილებული უხუცესების მატერიალურ დახმარებას:

ა) 1 ოქტომბერი, უხუცესთა საერთაშორისო დღის ღონისძიებასთან დაკავშირებით - 400 (ოთხასი) ლარის ოდენობით;

ბ) 100 წლის იუბილესთან დაკავშირებით - 600 (ექვსასი) ლარის ოდენობით.

## **მუხლი 6. მერიაში წარსადგენი დოკუმენტები**

მერიაში წარსადგენი დოკუმენტებია:

ა) განცხადება;

ბ) განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი;

გ) იძულებით გადაადგილებული პირის/დევენილის მოწმობის ასლი (იძულებით გადაადგილებული პირის/დევენილის მომართვის შემთხვევაში);

დ) განმცხადებლის საბანკო რეკვიზიტები.

## **მუხლი 7. ჯანმრთელობის, სოციალური, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის უფლებამოსილება**

სამსახური შემოსულ დოკუმენტებზე დაყრდნობით ამზადებს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (ბრძანების) პროექტს მერთან წარსადგენად, ხოლო განცხადებაში აღმოჩენილი ხარვეზის შემთხვევაში, მიმართავს განმცხადებელს ან/და მერის წარმომადგენელს ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით.

## **მუხლი 8. სოციალური დახმარების გაცემის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების მიღება და დაფინანსება**

1. მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილება უზრუნველყოფს სამსახურის მიერ წარმოდგენილი მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (ბრძანების) პროექტის სამართლებრივ ექსპერტიზას და ვიზირებას.
2. დახმარების გაცემის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს მერი და გამოსცემს შესაბამის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს (ბრძანებას).
3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული სამართლებრივი აქტის საფუძველზე, თანხის გადარიცხვას უზრუნველყოფს მერიის საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახური, უნაღდო ანგარიშსწორებით, ბრძანებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

## **მუხლი 9. პროგრამის შედეგის ინდიკატორი**

პროგრამაში ჩართული ასი და ას წელს გადაცილებული უხუცესების რაოდენობა.

## **მუხლი 10. პროგრამის შედეგი**

ასი და ას წელს გადაცილებული უხუცესების მატერიალური უზრუნველყოფა.

დანართი №10

### **შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის პროგრამა**

(ქვეპროგრამის კოდი 06 02 13)

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის პროგრამა (შემდეგში „პროგრამა“) განსაზღვრავს გარდაბნის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გარდაბნის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული და მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბენეფიციარების სოციალური დახმარების გაცემის პირობებსა და პროცედურებს, მათ მიერ გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიაში (შემდეგში „მერია“) წარსადგენი დოკუმენტაციის ნუსხას და დახმარების სახით გასაცემი თანხის ოდენობებს.

### **მუხლი 1. პროგრამის მიზანი**

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების, ასევე „ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამის“ ბენეფიციარების მატერიალური მხარდაჭერა.

### **მუხლი 2. დაფინანსების წყარო**

გარდაბნის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.

### **მუხლი 3. პროგრამის ხანგრძლივობა**

პროგრამა ძალაშია 2025 წლის 1 იანვრიდან 2025 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

#### **მუხლი 4. პროგრამით მოსარგებლე**

პროგრამით მოსარგებლები არიან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე შემდეგი პირები:

1. 18 წლამდე ასაკის ბავშვები, რომელთაც აღნიშნებით შემდეგი დაავადებებიდან ერთ-ერთი მაინც: დაუნის სინდრომი, ცერებრალური დამბლა, აუტიზმი, ლეიკემია, დიაბეტი, მხედველობის შეზღუდვა, მეტყველების შეზღუდვა, სმენის დაქვეითება და/ან არიან ეტლით მოსარგებლე;
2. „ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამის“ ბენეფიციარი შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე 18 წლამდე ასაკის ბავშვი (განურჩევლად დიაგნოზისა);
3. ეტლით მოსარგებლე, მხედველობაშეზღუდული, მეტყველებაშეზღუდული, ან სმენადაქვეითებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები;
4. „ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამის“ ბენეფიციარი შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირი, რომელსაც ჰყავს შვილი.

#### **მუხლი 5. პროგრამით მოსარგებლეთა დაფინანსების ზოგადი წესი**

1. პროგრამის ფარგლებში სოციალური დახმარების მისაღებად ბენეფიციარი წერილობითი განცხადებით მიმართავს და სრულყოფილ დოკუმენტაციას წარუდგენს გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერს (შემდეგში „მერი“) ან გარდაბნის მუნიციპალიტეტის შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენელს (შემდეგში „მერის წარმომადგენელი“). მიღებული დოკუმენტაცია შესასწავლად იგზავნება მერიის ჯანმრთელობის, სოციალური, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურში (შემდეგში „სამსახური“). „ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამის“ ბენეფიციარის შემთხვევაში, სამსახურს წერილობით მიმართავს მერიის ჯანმრთელობის, სოციალური, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება (შემდეგში „ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება“).
2. პროგრამა ითვალისწინებს წელიწადში ერთხელ შემდეგი შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვების (18 წლამდე) მატერიალურ დახმარებას 300 (სამასი) ლარის ოდენობით:
  - ა) შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვები (დიაგნოზით: დაუნის სინდრომი, ცერებრალური დამბლა) - 21 მარტი;
  - ბ) შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვები (დიაგნოზით: აუტიზმი) - 2 აპრილი;
  - გ) შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვები (დიაგნოზით: ლეიკემია, ეტლით მოსარგებლე, მხედველობაშეზღუდული, მეტყველებადაქვეითებული და/ან სმენადაქვეითებული) და „ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამის“ ბენეფიციარი - შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვები (18 წლამდე) - 1 ივნისი;
  - დ) შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვები (დიაგნოზით: დიაბეტი) - 14 ნოემბერი.

3. პროგრამა ითვალისწინებს წელიწადში ერთხელ (3 დეკემბერი) შემდეგი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების (18 წლის ზემოთ) მატერიალურ დახმარებას 300 (სამასი) ლარის ოდენობით:

- ა) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები (ეტლით მოსარგებლე, მხედველობაშეზღუდული, მეტყველებადაქვეითებული და სმენადაქვეითებული);
- ბ) „ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამის“ ბენეფიციარი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მშობელი.

## **მუხლი 6. მერიაში წარსადგენი დოკუმენტები**

მერიაში წარსადგენი დოკუმენტებია:

- ა) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბენეფიციარის ან მისი კანონიერი წარმომადგენლის (მეურვე/მზრუნველი/ მხარდამჭერი) განცხადება;
- ბ) განმცხადებლის (შშმ პირის) პირადობის მოწმობის ასლი;
- გ) ბავშვის დაბადების მოწმობის ასლი;
- დ) იძულებით გადაადგილებული პირის/დევნილის მოწმობის ასლი (იძულებით გადაადგილებული პირის/დევნილის მომართვის შემთხვევაში);
- ე) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბენეფიციარის კანონიერი წარმომადგენლის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) პირადობის მოწმობის ასლი;
- ვ) სსე აქტის ამონაწერი ან/და ცნობა სოციალური მომსახურების სააგენტოდან შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის შესახებ;
- ზ) ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა №IV-100/ა);
- თ) ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების წერილი „ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამის“ ბენეფიციარების შესახებ;
- ი) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბენეფიციარის ან მისი კანონიერი წარმომადგენლის საბანკო რეკვიზიტები.

## **მუხლი 7. ჯანმრთელობის, სოციალური, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის უფლებამოსილება**

სამსახური შემოსულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით ამზადებს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (ბრძანების) პროექტს მერთან წარსადგენად, ხოლო განცხადებაში აღმოჩენილი ხარვეზის შემთხვევაში, მიმართავს განმცხადებელს ან/და მერის წარმომადგენელს ხარვეზის აღმომგზავრის მიზნით.

## **მუხლი 8. სოციალური დახმარების გაცემის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების მიღება და დაფინანსება**

1. მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილება უზრუნველყოფს სამსახურის მიერ წარმოდგენილი მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (ბრძანების) პროექტის სამართლებრივ ექსპერტიზას და ვიზირებას.

2. დახმარების გაცემის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს მერი და გამოსცემს შესაბამის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს (ბრძანებას).

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული სამართლებრივი აქტის საფუძველზე, თანხის გადარიცხვას უზრუნველყოფს მერიის საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახური, უნაღდო ანგარიშსწორებით, ბრძანებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

### **მუხლი 9. პროგრამის შედეგის ინდიკატორი**

პროგრამაში ჩართული შეზღუდული შესაძლებლობის პირთა რაოდენობა.

### **მუხლი 10. პროგრამის შედეგი**

შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბენეფიციარის მატერიალური უზრუნველყოფა.

დანართი №11

## **სახელმწიფო მზრუნველობიდან ბიოლოგიურ ოჯახში რეინტეგრირებული ბავშვების დახმარების პროგრამა**

(ქვეპროგრამის კოდი 06 02 14)

სახელმწიფო მზრუნველობიდან ბიოლოგიურ ოჯახში რეინტეგრირებული ბავშვების დახმარების პროგრამა (შემდეგში „პროგრამა“) განსაზღვრავს გარდაბნის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან, სახელმწიფო მზრუნველობიდან ბიოლოგიურ ოჯახში რეინტეგრირებული ბავშვების მატერიალური დახმარების გაცემის პირობებსა და პროცედურებს, მათ მიერ გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიაში (შემდეგში „მერია“) წარსადგენი დოკუმენტების ნუსხას და დახმარების სახით გასაცემი თანხის ოდენობებს.

### **მუხლი 1. პროგრამის მიზანი**

სახელმწიფო მზრუნველობიდან ბიოლოგიურ ოჯახში რეინტეგრირებული ბავშვების მატერიალური მხარდაჭერა ოჯახური გარემოს შენარჩუნებისათვის.

### **მუხლი 2. დაფინანსების წყარო**

გარდაბნის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.

### **მუხლი 3. პროგრამის ხანგრძლივობა**

პროგრამა ძალაშია 2025 წლის 1 იანვრიდან 2025 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

### **მუხლი 4. პროგრამით მოსარგებლე**

პროგრამით მოსარგებლები არიან გარდაბნის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული და მცხოვრები სახელმწიფო მზრუნველობიდან ბიოლოგიურ ოჯახში რეინტეგრირებული ბავშვები.

## **მუხლი 5. პროგრამით მოსარგებლეთა დაფინანსების ზოგადი წესი**

1. პროგრამის ფარგლებში სოციალური დახმარების მისაღებად ბენეფიციარი წერილობითი განცხადებით მიმართავს და სრულყოფილ დოკუმენტაციას წარუდგენს გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერს (შემდეგში „მერი“) ან გარდაბნის მუნიციპალიტეტის შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენელს (შემდეგში „მერის წარმომადგენელი“). მიღებული დოკუმენტაცია შესასწავლად იგზავნება მერიის ჯანმრთელობის, სოციალური, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურში (შემდეგში „სამსახური“). „ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამის“ ბენეფიციარის შემთხვევაში, სამსახურს წერილობით მიმართავს გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის, სოციალური, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება (შემდეგში „ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება“).

2. პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული და მცხოვრები, სახელმწიფო მზრუნველობიდან ბიოლოგიურ ოჯახში რეინტეგრირებული ბავშვების ყოველთვიურ დახმარებას თითოეულ ბავშვზე 200 (ორასი) ლარის ოდენობით.

## **მუხლი 6. დახმარების მისაღებად მერიაში წარსადგენი დოკუმენტები**

მერიაში წარსადგენი დოკუმენტებია:

- ა) განცხადება;
- ბ) დახმარების მიმღების პირადობის მოწმობის ასლი;
- გ) იძულებით გადაადგილებული პირის/დევნილის მოწმობის ასლი (იძულებით გადაადგილებული პირის/დევნილის მომართვის შემთხვევაში);
- დ) ბენეფიციარის დაბადების მოწმობის ასლი;
- ე) ცნობა ან/და ხელშეკრულება ბავშვის რეინტეგრაციის პროგრამაში ჩართვის შესახებ;
- ვ) ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების წერილი „ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამის“ ბენეფიციარების შესახებ;
- ზ) განმცხადებლის საბანკო რეკვიზიტები.

## **მუხლი 7. ჯანმრთელობის, სოციალური, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის უფლებამოსილება**

სამსახური შემოსულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით ამზადებს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (ბრძანების) პროექტს მერთან წარსადგენად, ხოლო განცხადებაში აღმოჩენილი ხარვეზის შემთხვევაში, მიმართავს განმცხადებელს, ან მერის წარმომადგენელს ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით.

## **მუხლი 8. სოციალური დახმარების გაცემის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების მიღება და დაფინანსება**

1. მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილება უზრუნველყოფს სამსახურის მიერ წარმოდგენილი მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (ბრძანების) პროექტის სამართლებრივ ექსპერტიზას და ვიზირებას.
2. დახმარების გაცემის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს მერი და გამოსცემს შესაბამის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს (ბრძანებას).
3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული სამართლებრივი აქტის საფუძველზე, თანხის გადარიცხვას უზრუნველყოფს მერიის საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახური, უნაღდო ანგარიშსწორებით, ბრძანებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

## **მუხლი 9. პროგრამის შედეგის ინდიკატორი**

პროგრამაში ჩართული რეინტეგრირებული ბავშვების რაოდენობა.

## **მუხლი 10. პროგრამის შედეგი**

სახელმწიფო მზრუნველობიდან ბიოლოგიურ ოჯახში რეინტეგრირებული ბავშვების ოჯახურ გარემოში შენარჩუნება.

**დანართი №12**

### **სტუდენტების მატერიალური დახმარების პროგრამა**

(ქვეპროგრამის კოდი 06 02 15)

სტუდენტების მატერიალური დახმარების პროგრამა (შემდეგში „პროგრამა“) განსაზღვრავს გარდაბნის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სტუდენტების სწავლის საფასურის, მატერიალური დახმარების გაცემის პირობებსა და პროცედურებს, მათ მიერ გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიაში (შემდეგში „მერია“) წარსადგენი დოკუმენტაციის ნუსხას და დახმარების სახით გასაცემი თანხის ოდენობებს.

### **მუხლი 1. პროგრამის მიზანი**

წარჩინებული, დედ-მამით ობოლი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე, მრავალშვილიანი და სოციალურად დაუცველი სტუდენტებისთვის უმაღლესი განათლების მიღების ხელშეწყობა და მოტივაციის ამაღლება.

### **მუხლი 2. დაფინანსების წყარო**

გარდაბნის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.

### მუხლი 3. პროგრამის ხანგრძლივობა

პროგრამა ძალაშია 2025 წლის 1 იანვრიდან 2025 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

### მუხლი 4. პროგრამით მოსარგებლე

პროგრამით მოსარგებლეა გარდაბნის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 25 წლამდე აკრედიტებული უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტი, რომელიც:

- ა) სწავლობს საბაკალავრო ან სამაგისტრო საგანმანათლებლო საფეხურზე, არის დედ-მამით თბოლი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე, მრავალშვილიანი (4 და მეტი შვილი) ან/და სოციალურად დაუცველი (100 000 ჟღერის ჩათვლით) ოჯახიდან;
- ბ) სწავლობს საბაკალავრო ან სამაგისტრო საგანმანათლებლო საფეხურზე და აქვს მაღალი აკადემიური მოსწრება (წინა სემესტრის საშუალო მონაცემით 90 ქულიდან 100 ქულამდე შეფასების ჩათვლით);
- გ) სწავლობს სოციალური მუშაობის ან ოკუპაციური თერაპიის საბაკალავრო საგანმანათლებლო საფეხურზე და აქვს მაღალი აკადემიური მოსწრება (წინა სემესტრის საშუალო მონაცემით 90 ქულიდან 100 ქულის ჩათვლით).

### მუხლი 5. პროგრამით მოსარგებლეთა დაფინანსების ზოგადი წესი

1. პროგრამის ფარგლებში სოციალური დახმარების მისაღებად ბენეფიციარი წერილობითი განცხადებით მიმართავს და სრულყოფილ დოკუმენტაციას წარუდგენს გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერს (შემდეგში „მერი“) ან გარდაბნის მუნიციპალიტეტის შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენელს (შემდეგში „მერის წარმომადგენელი“). მიღებული დოკუმენტაცია შესასწავლად იგზავნება მერიის ჯანმრთელობის, სოციალური, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურში (შემდეგში „სამსახური“).

2. პროგრამა ითვალისწინებს:

- ა) მე-4 მუხლის „ა“ პუნქტით გათვალისწინებული სტუდენტებისთვის სოციალურ დახმარებას, აკადემიური სასწავლო წლის განმავლობაში ყოველთვიურად 100 (ასი) ლარის ოდენობით;
- ბ) მე-4 მუხლის „ბ“ პუნქტით გათვალისწინებული, წინა სემესტრის განმავლობაში მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტებისთვის, სწავლის სემესტრული თანხის თანადაფინანსებას 500 (ხუთასი) ლარის ფარგლებში, ხოლო თუ წარჩინებული სტუდენტი ამავდროულად ფლობს შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსს - 700 (შვიდასი) ლარის ფარგლებში; პროგრამა ითვალისწინებს ერთი წლის განმავლობაში პირველი 70 (სამოცდაათი) განცხადების დაკმაყოფილებას.
- გ) მე-4 მუხლის „გ“ პუნქტით გათვალისწინებული წინა სემესტრის განმავლობაში მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტებისთვის, სწავლის სემესტრული თანხის სრულ დაფინანსებას 1125 (ათას ას ოცდახუთი) ლარის ოდენობით; პროგრამა ითვალისწინებს ერთი წლის განმავლობაში პირველი 12 (თორმეტი) განცხადების დაკმაყოფილებას.
- დ) მე-4 მუხლის „ბ“ და „გ“ პუნქტებით გათვალისწინებული სტუდენტები შეიძლება დაფინანსდნენ წელიწადში ორჯერ. დაფინანსების მისაღებად განცხადება წარდგენილი უნდა

იყოს: შემოდგომის სემესტრისთვის - არაუგვიანეს 15 სექტემბრისა, ხოლო გაზაფხულის სემესტრისთვის - არაუგვიანეს 15 მარტისა; განცხადებაში აუცილებელია მიეთითოს გადასახადის დაფარვის საბოლოო ვადა;

ე) სწავლის საფასურის თანადაფინანსების მიღება არ ეწინააღმდეგება სტუდენტისთვის ყოველთვიური სოციალური დახმარების მიღების შესაძლებლობას.

## **მუხლი 6. დახმარების მისაღებად მერიაში წარსადგენი დოკუმენტები**

დახმარების მისაღებად მერიაში წარსადგენი დოკუმენტებია:

ა) განცხადება;

ბ) განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი;

გ) იძულებით გადაადგილებული პირის/დევნილის მოწმობის ასლი (იძულებით გადაადგილებული პირის/დევნილის მომართვის შემთხვევაში);

დ) ცნობა, სადაც მითითებული იქნება, რომ ისინი არ არიან ამ წესით გათვალისწინებული ანალოგიური დახმარების მიმღები იმ თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან სადაც არიან რეგისტრირებულნი (იძულებით გადაადგილებული პირის/დევნილის მიერ მომართვის შემთხვევაში);

ე) ცნობა საქართველოს იუსტიციის სამინისტროდან „მრავალშვილიანი მშობლის სტატუსის დადგენის შესახებ“ ან განმცხადებლის და მისი დედმამიშვილების დაბადების მოწმობების ასლები (მრავალშვილიანი ოჯახის შემთხვევაში);

ვ) მშობლების გარდაცვალების დამადასტურებელი დოკუმენტი (დედ-მამით ობოლი სტუდენტის შემთხვევაში);

ზ) სსე აქტის ამონაწერი ან/და ცნობა სოციალური მომსახურების სააგენტოდან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსის შესახებ (შშმპ შემთხვევაში);

თ) ცნობა სტუდენტის აქტიური სტატუსის დადასტურების შესახებ (ცნობა საჭიროა წარმოდგენილ იქნას ყოველი თვის 10-დან 25 რიცხვამდე მე-4 მუხლის „ა“ პუნქტის შემთხვევაში);

ი) განმცხადებლის

საბანკო რეკვიზიტები (მე-4 მუხლის „ა“ პუნქტის შემთხვევაში);

კ) ცნობა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ფაკულტეტის/სპეციალობის, აქტიური სტუდენტის აკადემიური მოსწრების (ქულების შეფასების), გადასახადის რაოდენობისა და მისი დაფარვის ვადის შესახებ (მე-4 მუხლის „ბ“ და „გ“ პუნქტის შემთხვევაში);

ლ) ანგარიშ-ფაქტურა (ინვოისი) საბანკო რეკვიზიტების მითითებით აკრედიტებული უმაღლესი სასწავლებლიდან (მე-4 მუხლის „ბ“ და „გ“ პუნქტის შემთხვევაში).

## **მუხლი 7. ჯანმრთელობის, სოციალური, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის უფლებამოსილება**

სამსახური შემოსულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით ამზადებს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (ბრძანების) პროექტს მერთან წარსადგენად, ხოლო

განცხადებაში აღმოჩენილი ხარვეზის შემთხვევაში, მიმართავს განმცხადებელს ან/და მერის წარმომადგენელს ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით.

### **მუხლი 8. სოციალური დახმარების გაცემის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების მიღება და დაფინანსება**

1. მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილება უზრუნველყოფს სამსახურის მიერ წარმოდგენილი მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (ბრძანების) პროექტის სამართლებრივ ექსპერტიზას და ვიზირებას.
2. დახმარების გაცემის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს მერი და გამოსცემს შესაბამის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს (ბრძანებას).
3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული სამართლებრივი აქტის საფუძველზე, თანხის გადარიცხვას უზრუნველყოფს მერიის საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახური, უნაღდო ანგარიშსწორებით, ბრძანებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

### **მუხლი 9. პროგრამის შედეგის ინდიკატორი**

პროგრამაში ჩართული სტუდენტების რაოდენობა. მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტების სემესტრული დაფინანსებული განაცხადთა რაოდენობა.

### **მუხლი 10. პროგრამის შედეგი**

დედ-მამით ობოლი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე, მრავალშვილიანი და სოციალურად დაუცველი სტუდენტებისათვის უმაღლესი განათლების მიღების ხელშეწყობა. წარჩინებული სტუდენტების მოტივაცია.

**დანართი №13**

### **სოციალურად დაუცველთა სამედიცინო მომსახურების პროგრამა**

**(ქვეპროგრამის კოდი 06 02 16)**

სოციალურად დაუცველთა სამედიცინო მომსახურების პროგრამა (შემდეგში „პროგრამა“) განსაზღვრავს გარდაბნის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის სამედიცინო, სამკურნალო და სხვა სამედიცინო მომსახურების დაფინანსების პირობებს, მათ მიერ გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიაში (შემდეგში „მერია“) წარსადგენი დოკუმენტაციის ნუსხას და დახმარების სახით გასაცემი თანხის ოდენობებს.

### **მუხლი 1. პროგრამის მიზანი**

სამედიცინო მომსახურების მიღების ხელშეწყობით მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება.

## **მუხლი 2. დაფინანსების წყარო**

გარდაბნის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.

## **მუხლი 3. პროგრამის ხანგრძლივობა**

პროგრამა ძალაშია 2025 წლის 1 იანვრიდან 2025 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

## **მუხლი 4. პროგრამით მოსარგებლე**

პროგრამით მოსარგებლეები არიან გარდაბნის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული საოპერაციო, სამკურნალო და სხვა სამედიცინო მომსახურების დაფინანსების საჭიროების მქონე სოციალურად დაუცველი პირები და „ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამის“ ბენეფიციარები, რომელთა ოჯახის სარეიტინგო ქულა არ აღემატება 150 000-ს.

## **მუხლი 5. პროგრამით მოსარგებლეთა დაფინანსების ზოგადი წესი და პროცედურები**

1. პროგრამის ფარგლებში სამედიცინო დაფინანსების მისაღებად ბენეფიციარი წერილობითი განცხადებით მიმართავს და სრულყოფილ დოკუმენტაციას წარუდგენს გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერს (შემდეგში „მერი“) ან გარდაბნის მუნიციპალიტეტის შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენელს (შემდეგში „მერის წარმომადგენელი“). მიღებული დოკუმენტაცია შესასწავლად იგზავნება მერიის ჯანმრთელობის, სოციალური, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურში (შემდეგში „სამსახური“). „ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამის“ ბენეფიციარის შემთხვევაში, სამსახურს წერილობით მიმართავს გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის, სოციალური, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება (შემდეგში „ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება“).

2. პროგრამა ითვალისწინებს წელიწადში ერთხელ (ოჯახის მდგომარეობის გათვალისწინებით შესაძლებელია ორჯერ) საოპერაციო, სამკურნალო და სხვა სამედიცინო მომსახურების დაფინანსებას (გარდა სტომატოლოგიური მომსახურებისა, ესთეტიკური ქირურგიისა, კოსმეტიკური მიზნით ჩატარებული მკურნალობისა, ლაზერული კორექციისა, არჩეული ექიმის ჰონორარისა (მათ შორის, დავალიანების არსებობის შემთხვევაში) და მოქალაქის მიერ საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამით მომსახურებაზე უარის თქმის შემთხვევისა), თუ:

ა) მომსახურება არ ფინანსდება კერძო დაზღვევის ან/და საყოველთაო ჯანდაცვის ან/და სხვა სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, დაფინანსება მუნიციპალიტეტის მხრიდან განისაზღვრება:

ა.ა. ბენეფიციარის მიერ გადასახდელი თანხის 100%-ით (1000 დან -70 000 ქულის ჩათვლით);

ა.ბ. ბენეფიციარის მიერ გადასახდელი თანხის 80%-ით (70 001 დან -150 000 ქულის ჩათვლით);

ბ) მომსახურება ნაწილობრივ ფინანსდება კერძო დაზღვევის ან/და საყოველთაო ჯანდაცვის ან/და სხვა სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, თანადაფინანსება მუნიციპალიტეტის მხრიდან განისაზღვრება:

ბ.ა. ბენეფიციარის მიერ გადასახდელი თანხის 100%-ით (1000 დან -70 000 ქულის ჩათვლით);

ბ.ბ. ბენეფიციარის მიერ გადასახდელი თანხის 50%-ით (70 001 დან -150 000 ქულის ჩათვლით).

3. მომსახურება ფინანსდება:

ა) არაუმეტეს 2500 (ორი ათას ხუთასი) ლარისა;

ბ) მედიკამენტების შემენის შემთხვევაში - არაუმეტეს 600 (ექვსასი) ლარისა და შშმ პირის შემთხვევაში არაუმეტეს 1000 (ათასი) ლარისა;

გ) რეაბილიტაციის შემთხვევაში - არაუმეტეს 1000 (ათასი) ლარისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის შემთხვევაში არაუმეტეს 1500 (ათას ხუთასი) ლარისა;

დ) თვალის ინექციის შემთხვევაში - არაუმეტეს 1000 (ათასი) ლარისა.

4. მერიის მიერ გაცემული ადმინისტრაციული დაპირება ძალაშია, თუ მის საფუძველზე მომსახურების გაწევა დაიწყება მისი გაცემიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში. ადმინისტრაციული დაპირების ვადის გაგრძელება (გამოყენებლობის შემთხვევაში) შესაძლებელია ერთჯერადად, 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით. ადმინისტრაციული დაპირების გაცემამდე ჩატარებულ მომსახურებაზე მერია არ იღებს ფინანსურ ვალდებულებას.

5. სამედიცინო დაწესებულების მიერ ადმინისტრაციული დაპირების საფუძველზე შესრულებული სამუშაოს დამადასტურებელი დოკუმენტის მერიაში დაფინანსების მოთხოვნით წარდგენის ვადაა პაციენტის გაწერიდან/კვლევის დასრულებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღე. ფარმაცევტული კომპანიის მიერ მიღება-ჩაბარების აქტის მერიაში დაფინანსების მოთხოვნით წარდგენის ვადაა მედიკამენტების გაცემიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღე.

## **მუხლი 6. დახმარების მისაღებად მერიაში წარსადგენი დოკუმენტები**

დახმარების მისაღებად მერიაში წარსადგენი დოკუმენტებია:

ა) განცხადება;

ბ) განმცხადებლის ან/და პაციენტის პირადობის/დაბადების მოწმობის ასლი;

გ) იძულებით გადაადგილებული პირის/დევნილის მოწმობის ასლი (იძულებით გადაადგილებული პირის/დევნილის მომართვის შემთხვევაში);

დ) ცნობა, სადაც მითითებული იქნება, რომ ისინი არ არიან ამ წესით გათვალისწინებული ანალოგიური დახმარების მიმღები იმ თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან სადაც არიან რეგისტრირებული (იძულებით გადაადგილებული პირის/დევნილის მიერ მომართვის შემთხვევაში);

- ე) ანგარიშ-ფაქტურა (ინვოისი) ან ამ პროგრამით განსაზღვრული მომსახურების ფინანსური დოკუმენტი;
- ვ) ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა №IV-100/ა);
- ზ) ცნობა კერძო დაზღვევით ან/და საყოველთაო ჯანდაცვის ან/და რეფერალური ან/და სხვა სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში დაფინანსების ოდენობის ან დაფინანსებაზე უარის თქმის შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- თ) ხელშეკრულება (შეთანხმება) დავალიანების შესახებ (მოქალაქის სამედიცინო დაწესებულებასთან დავალიანების არსებობის შემთხვევაში);
- ი) აქტი (განმეორებით მომართვის შემთხვევაში), სადაც დასაბუთებული იქნება ოჯახის მძიმე სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობა (აქტს ხელს აწერს შესაბამის ტერიტორიულ ერთეულში მერის წარმომადგენელი);
- კ) სსე აქტის ამონაწერი ან/და ცნობა სოციალური მომსახურების სააგენტოდან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსის შესახებ (მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შემთხვევაში);
- ლ) ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების წერილი „ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამის“ ბენეფიციარის შესახებ;
- მ) ცნობა გამოუყენებელი ადმინისტრაციული დაპირების შესახებ (საგარანტიო წერილის გამოუყენებლობის შემთხვევაში);
- ნ) დავალიანების არსებობის შემთხვევაში, თუ შეთანხმება ან/და ხელშეკრულება გაფორმებულია ოჯახის წევრთან, ნათესაური კავშირის დამადასტურებელი დოკუმენტი - ქორწინების მოწმობის ასლი (მეუღლეების შემთხვევაში); დაბადების მოწმობის ასლი (მშობლის, შვილის, დედამამიშვილის შემთხვევაში).

## **მუხლი 7. ჯანმრთელობის, სოციალური, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის უფლებამოსილება**

1. სამსახური ამოწმებს შემოსულ განცხადებებს თანდართულ დოკუმენტებთან ერთად და სრულყოფილი დოკუმენტაციის შემთხვევაში ამზადებს ადმინისტრაციულ დაპირებას ან/და ბრძანების პროექტს მუნიციპალიტეტის მერთან წარსადგენად.
2. განცხადებაში ან დაწესებულებიდან შემოსული შესრულებული სამუშაოს დამადასტურებელ დოკუმენტაციაში აღმოჩენილი ხარვეზის შემთხვევაში, მიმართავს განმცხადებელს ან სამუშაოს შემსრულებელს ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით.

## **მუხლი 8. სოციალური დახმარების გაცემის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების მიღება და დაფინანსება**

1. მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილება უზრუნველყოფს სამსახურის მიერ წარმოდგენილი, მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (ბრძანების) პროექტის სამართლებრივ ექსპერტიზას და ვიზირებას.
2. დახმარების გაცემის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს მერი და გამოსცემს შესაბამის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს (ბრძანებას).

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული სამართლებრივი აქტის საფუძველზე, თანხის გადარიცხვას უზრუნველყოფს მერიის საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახური, უნაღდო ანგარიშსწორებით, ბრძანებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

#### **მუხლი 9. პროგრამის შედეგის ინდიკატორი**

პროგრამაში ჩართული სოციალურად დაუცველ მოქალაქეთა რაოდენობა.

#### **მუხლი 10. პროგრამის შედეგი**

მოსახლეობისათვის სამედიცინო სერვისებზე ხელმისაწვდომობა და ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება.

დანართი №14

### **ონკოლოგიური დაავადების მქონე პირთა სამედიცინო მომსახურების დაფინანსების პროგრამა**

(ქვეპროგრამის კოდი 06 02 17)

ონკოლოგიური დაავადების მქონე პირთა სამედიცინო მომსახურების დაფინანსების პროგრამა (შემდგომი „პროგრამა“) განსაზღვრავს გარდაბნის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ონკოლოგიურ დაავადების მქონე პირთა სამედიცინო, სამკურნალო მომსახურების დაფინანსების პირობებსა და პროცედურებს, მათ მიერ გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიაში (შემდგომი „მერია“) წარსადგენი დოკუმენტაციის ნუსხას და დახმარების სახით გასაცემი თანხის ოდენობებს.

#### **მუხლი 1. პროგრამის მიზანი**

სამედიცინო მომსახურების მიღების ხელშეწყობით ონკოლოგიური დაავადების მქონე პირთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება და შენარჩუნება.

#### **მუხლი 2. დაფინანსების წყარო**

გარდაბნის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.

#### **მუხლი 3. პროგრამის ხანგრძლივობა**

პროგრამა ძალაშია 2025 წლის 1 იანვრიდან 2025 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

#### **მუხლი 4. პროგრამით მოსარგებლე**

პროგრამით მოსარგებლენი არიან გარდაბნის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ონკოლოგიური დაავადების მქონე პირები (დაავადებების საერთაშორისო კლასიფიკაციის

(ICD) კოდით - C, D00-დან D09-ის ჩათვლით), ასევე „ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამის“ ბენეფიციარი ონკოლოგიური დაავადების მქონე პირები.

## მუხლი 5. მოსარგებლის დაფინანსების ზოგადი წესი

1. სამედიცინო დაფინანსების მისაღებად ბენეფიციარი წერილობითი განცხადებით მიმართავს და სრულყოფილ დოკუმენტაციას წარუდგენს გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერს (შემდეგში „მერი“) ან გარდაბნის მუნიციპალიტეტის შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენელს „შემდეგში „მერის წარმომადგენელი“). მიღებული დოკუმენტაცია შესასწავლად იგზავნება მერიის ჯანმრთელობის, სოციალური, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურში (შემდეგში „მერი“). „ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამის“ ბენეფიციარის შემთხვევაში, სამსახურს წერილობით მიმართავს გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის, სოციალური, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება (შემდეგში „ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება“).

2. პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის მხრიდან წელიწადში ერთხელ (ოჯახის მდგომარეობის გათვალისწინებით შესაძლებელია ორჯერ):

ა) ონკოლოგიური დიაგნოსტიკის დაფინანსებას არაუმეტეს 2000 (ორი ათასი) ლარისა;

ბ) საოპერაციო, სამკურნალო და სხვა სამედიცინო მომსახურების დაფინანსებას არაუმეტეს 4000 (ოთხი ათასი) ლარისა (კერძო დაზღვევის ან/და საყოველთაო ჯანდაცვის ან/და სხვა სახელმწიფო პროგრამის გათვალისწინებით):

ბ.ა. ბენეფიციარის მიერ გადასახდელი ღირებულების 80%-ით;

ბ.ბ. სოციალურად დაუცველი (150 000 ქულის ჩათვლით) ბენეფიციარის მიერ გადასახდელი ღირებულების 100%-ით.

გ) მედიკამენტების დაფინანსებას (კერძო დაზღვევის ან/და საყოველთაო ჯანდაცვის ან/და სხვა სახელმწიფო პროგრამის გათვალისწინებით), ონკოლოგიური მედიკამენტების შემთხვევაში არაუმეტეს 4000 (ოთხი ათასი) ლარისა, ხოლო არაონკოლოგიური მედიკამენტების შემთხვევაში არაუმეტეს 800 (რვაასი) ლარისა:

გ.ა. ბენეფიციარის მიერ გადასახდელი ღირებულების 80%-ით;

გ.ბ. სოციალურად დაუცველი (150 000 ქულის ჩათვლით) ბენეფიციარის მიერ გადასახდელი ღირებულების 100%-ით.

3. პროგრამის ფარგლებში არ ფინანსდება არჩეული ექიმის ჰონორარი (მათ შორის დავალიანების არსებობის შემთხვევაში) და მოქალაქის მიერ საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამით მომსახურებაზე უარის თქმის შემთხვევა.

4. მერიის მიერ გაცემული ადმინისტრაციული დაპირება ძალაშია, თუ მის საფუძველზე მომსახურების გაწევა დაიწყება მისი გაცემიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში. ადმინისტრაციული დაპირების ვადის გაგრძელება (გამოყენებლობის შემთხვევაში) შესაძლებელია ერთჯერადად, 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით. ადმინისტრაციული დაპირების გაცემამდე ჩატარებულ მომსახურებაზე მერია არ იღებს ფინანსურ ვალდებულებას.

5. სამედიცინო დაწესებულების მიერ საგარანტიო წერილის საფუძველზე შესრულებული სამუშაოს დამადასტურებელი დოკუმენტის მერიაში დაფინანსების მოთხოვნით წარდგენის ვადაა პაციენტის გაწერიდან/კვლევის დასრულებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღე. ფარმაცევტული კომპანიის მიერ მიღება-ჩაბარების აქტის მერიაში დაფინანსების მოთხოვნით წარდგენის ვადაა მედიკამენტების გაცემიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღე.

## **მუხლი 6. დახმარების მისაღებად მერიაში წარსადგენი დოკუმენტები**

დახმარების მისაღებად მერიაში წარსადგენი დოკუმენტებია:

- ა) განცხადება;
- ბ) განმცხადებლის ან/და პაციენტის პირადობის მოწმობის ასლი, არასრულწლოვანის შემთხვევაში დაბადების მოწმობის ასლი;
- გ) იძულებით გადაადგილებული პირის/დევილიის მოწმობის ასლი (იძულებით გადაადგილებული პირის/დევილიის მომართვის შემთხვევაში);
- დ) ცნობა, სადაც მითითებული იქნება, რომ ისინი არ არიან ამ წესით გათვალისწინებული ანალოგიური დახმარების მიმღები იმ თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან სადაც არიან რეგისტრირებული (იძულებით გადაადგილებული პირის/დევილიის მომართვის შემთხვევაში);
- ე) ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა №IV-100/ა);
- ვ) ანგარიშ-ფაქტურა (ინვოისი) ან ამ პროგრამით განსაზღვრული მომსახურების ფინანსური დოკუმენტი;
- ზ) ცნობა კერძო დაზღვევით ან/და საყოველთაო ჯანდაცვის ან/და სხვა სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში დაფინანსების ოდენობის ან დაფინანსებაზე უარის თქმის შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- თ) ხელშეკრულება (შეთანხმება) დავალიანების შესახებ (მოქალაქის სამედიცინო დაწესებულებასთან დავალიანების არსებობის შემთხვევაში);
- ი) ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების წერილი „ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამის“ ბენეფიციარის შესახებ;
- კ) ცნობა გამოუყენებელი ადმინისტრაციული დაპირების შესახებ (ადმინისტრაციული დაპირების გამოუყენებლობის შემთხვევაში);
- ლ) დავალიანების არსებობის შემთხვევაში, თუ შეთანხმება ან/და ხელშეკრულება გაფორმებულია ოჯახის წევრთან, ნათესაური კავშირის დამადასტურებელი დოკუმენტი - ქორწინების მოწმობის ასლი (მეუღლეების შემთხვევაში); დაბადების მოწმობის ასლი (მშობლის, შვილის, და-მმის შემთხვევაში).

## **მუხლი 7. ჯანმრთელობის, სოციალური, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის უფლებამოსილება**

1. სამსახური ამოწმებს შემოსულ განცხადებებს თანდართულ დოკუმენტებთან ერთად და სრულყოფილი დოკუმენტაციის შემთხვევაში ამზადებს ადმინისტრაციული დაპირების ან/და ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (ბრძანების) პროექტს მერთან წარსადგენად.

2. განცხადებაში ან დაწესებულებიდან შემოსული შესრულებული სამუშაოს დამადასტურებელ დოკუმენტაციაში აღმოჩენილი ხარვეზის შემთხვევაში, მიმართავს განმცხადებელს ან სამუშაოს შემსრულებელს ხარვეზის აღმომგზავრის მიზნით.

## **მუხლი 8. სოციალური დახმარების გაცემის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების მიღება და დაფინანსება**

1. მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილება უზრუნველყოფს სამსახურის მიერ წარმოდგენილი მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (ბრძანების) პროექტის სამართლებრივ ექსპერტიზას და ვიზირებას.

2. დახმარების გაცემის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს მერი და გამოსცემს შესაბამის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს (ბრძანებას).

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული სამართლებრივი აქტის საფუძველზე, თანხის გადარიცხვას უზრუნველყოფს მერიის საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახური, უნაღდო ანგარიშსწორებით, ბრძანებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

## **მუხლი 9. პროგრამის შედეგის ინდიკატორი**

პროგრამაში ჩართული ონკოლოგიური დაავადების მქონე პირთა რაოდენობა.

## **მუხლი 10. პროგრამის შედეგი**

ონკოლოგიური დაავადების მქონე პირთა სამედიცინო სერვისებზე ხელმისაწვდომობა და ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება/შენარჩუნება.

დანართი №15

## **მრავალშვილიანი ოჯახების სოციალური დაცვის პროგრამა**

(ქვეპროგრამის კოდი 06 02 18)

მრავალშვილიანი ოჯახების სოციალური დაცვის პროგრამა (შემდეგში „პროგრამა“) განსაზღვრავს გარდაბნის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან მრავალშვილიანი ოჯახებისთვის სოციალური დახმარების გაცემის პირობებსა და პროცედურებს, მათ მიერ გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიაში (შემდეგში „მერია“) წარსადგენი დოკუმენტაციის ნუსხას და დახმარების სახით გასაცემი თანხის ოდენობებს.

## **მუხლი 1. პროგრამის მიზანი**

სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახების მატერიალური დახმარება.

## **მუხლი 2. დაფინანსების წყარო**

გარდაბნის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.

### **მუხლი 3. პროგრამის ხანგრძლივობა**

პროგრამა ძალაშია 2025 წლის 1 იანვრიდან 2025 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

### **მუხლი 4. პროგრამით მოსარგებლე**

პროგრამით მოსარგებლეები არიან:

- ა) გარდაბნის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული და მცხოვრები სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახები, რომელთაც ჰყავთ 4 ან მეტი 18 წლამდე ასაკის შვილი და ოჯახის სარეიტინგო ქულა არ აღემატება 120 000-ს;
- ბ) „ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამის“ ბენეფიციარები, რომელთაც ჰყავთ 3 ან მეტი 18 წლამდე ასაკის შვილი.

### **მუხლი 5. პროგრამით მოსარგებლის დაფინანსების ზოგადი წესი**

1. პროგრამის ფარგლებში დახმარების მისაღებად ბენეფიციარი წერილობითი განცხადებით მიმართავს და სრულყოფილ დოკუმენტაციას წარუდგენს გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერს (შემდეგში „მერი“) ან გარდაბნის მუნიციპალიტეტის შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენელს (შემდეგში „მერის წარმომადგენელი“). მიღებული დოკუმენტაცია შესასწავლად იგზავნება მერიის ჯანმრთელობის, სოციალური, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურში (შემდეგში „სამსახური“). „ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამის“ ბენეფიციარის შემთხვევაში, სამსახურს წერილობით მიმართავს გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის, სოციალური, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება (შემდეგში „ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება“).
2. პროგრამა ითვალისწინებს წელიწადში ერთხელ ერთჯერად მატერიალური დახმარების გაწევას მრავალშვილიან ოჯახებზე, თითოეულ არასრულწლოვან ბავშვზე 100 (ასი) ლარის ოდენობით.

### **მუხლი 6. მერიაში წარსადგენი დოკუმენტები**

მერიაში წარსადგენი დოკუმენტებია:

- ა) განცხადება;
- ბ) განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი;
- გ) იძულებით გადაადგილებული პირის/დევნილის მოწმობის ასლი (იძულებით გადაადგილებული პირის/დევნილის მიერ მომართვის შემთხვევაში);
- დ) ცნობა, სადაც მითითებული იქნება, რომ ისინი არ არიან ამ წესით გათვალისწინებული ანალოგიური დახმარების მიმღები იმ თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან სადაც არიან რეგისტრირებული (იძულებით გადაადგილებული პირის/დევნილის მიერ მომართვის შემთხვევაში);
- ე) ცნობა იუსტიციის სამინისტროდან „მრავალშვილიანი მშობლის სტატუსის დადგენის შესახებ“ ან ბავშვების დაბადების მოწმობების ასლები;

- ვ) ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების წერილი „ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამის“ ბენეფიციარის შესახებ;
- ზ) საბანკო რეკვიზიტები.

**მუხლი 7. ჯანმრთელობის, სოციალური, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის უფლებამოსილება**

სამსახური ამოწმებს შემოსულ განცხადებებს თანდართულ დოკუმენტებთან ერთად და სრულყოფილი დოკუმენტაციის შემთხვევაში ამზადებს ან/და ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (ბრძანების) პროექტს მერთან წარსადგენად. განცხადებაში აღმოჩენილი ხარვეზის შემთხვევაში, მიმართავს განმცხადებელს ან/და მერის წარმომადგენელს ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით.

**მუხლი 8. სოციალური დახმარების გაცემის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების მიღება და დაფინანსება**

1. მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილება უზრუნველყოფს სამსახურის მიერ წარმოდგენილი მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (ბრძანების) პროექტის სამართლებრივ ექსპერტიზას და ვიზირებას.
2. დახმარების გაცემის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს მერი და გამოსცემს შესაბამის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს (ბრძანებას).
3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული სამართლებრივი აქტის საფუძველზე, თანხის გადარიცხვას უზრუნველყოფს მერიის საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახური, უნაღდო ანგარიშსწორებით, ბრძანებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

**მუხლი 9. პროგრამის შედეგის ინდიკატორი**

პროგრამაში ჩართული მრავალშვილიანი ოჯახების რაოდენობა.

**მუხლი 10. პროგრამის შედეგი**

მრავალშვილიანი ოჯახების მატერიალური უზრუნველყოფა.

დანართი №16

სოციალურად დაუცველი მარტოხელა პენსიონერების დახმარების პროგრამა

(ქვეპროგრამის კოდი 06 02 19)

სოციალურად დაუცველი მარტოხელა პენსიონერების დახმარების პროგრამა (შემდეგში „პროგრამა“) განსაზღვრავს გარდაბნის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სოციალურად დაუცველი მარტოხელა პენსიონერებისთვის დახმარების გაცემის პირობებსა და

პროცედურებს, მათ მიერ გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიაში (შემდეგში „მერია“) წარსადგენი დოკუმენტაციის ნუსხას და დახმარების სახით გასაცემი თანხის ოდენობას.

### **მუხლი 1. პროგრამის მიზანი**

სოციალურად დაუცველი მარტოხელა პენსიონერების მატერიალური დახმარება.

### **მუხლი 2. დაფინანსების წყარო**

გარდაბნის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.

### **მუხლი 3. პროგრამის ხანგრძლივობა**

პროგრამა ძალაშია 2025 წლის 1 იანვრიდან 2025 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

### **მუხლი 4. პროგრამით მოსარგებლე**

პროგრამით მოსარგებლენი არიან გარდაბნის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული და მცხოვრები სოციალურად დაუცველი მარტოხელა პენსიონერები, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100 000-ს.

### **მუხლი 5. პროგრამით მოსარგებლის დაფინანსების ზოგადი წესი**

1. პროგრამის ფარგლებში დახმარების მისაღებად ბენეფიციარი წერილობითი განცხადებით მიმართავს და სრულყოფილ დოკუმენტაციას წარუდგენს გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერს (შემდეგში „მერი“) ან გარდაბნის მუნიციპალიტეტის შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენელს (შემდეგში „მერის წარმომადგენელი“). მიღებული დოკუმენტაცია შესასწავლად იგზავნება მერიის ჯანმრთელობის, სოციალური, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურში (შემდეგში „სამსახური“).

2. პროგრამა ითვალისწინებს წელიწადში ერთხელ მატერიალურ დახმარებას სოციალურად დაუცველ მარტოხელა პენსიონერებზე:

- ა) 1000-დან 65 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულის შემთხვევაში - 300 (სამასი) ლარის ოდენობით;
- ბ) 65 001-დან 100 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულის შემთხვევაში - 250 (ორას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით.

### **მუხლი 6. დახმარების მისაღებად მერიაში წარსადგენი დოკუმენტები**

დახმარების მისაღებად მერიაში წარსადგენი დოკუმენტებია:

- ა) განცხადება;
- ბ) განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი;
- გ) აქტი, სადაც დასაბუთებული იქნება, რომ განმცხადებელი არის მარტოხელა, შვილებისა და მარჩენლის გარეშე (აქტს ხელს აწერს მერის წარმომადგენელი);
- დ) განმცხადებლის საბანკო რეკვიზიტები.

## **მუხლი 7. ჯანმრთელობის, სოციალური, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის უფლებამოსილება**

სამსახური შემოსულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით ამზადებს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (ბრძანების) პროექტს მერთან წარსადგენად, ხოლო განცხადებაში აღმოჩენილი ხარვეზის შემთხვევაში, მიმართავს განმცხადებელს ან/და მერის წარმომადგენელს ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით.

## **მუხლი 8. სოციალური დახმარების გაცემის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების მიღება და დაფინანსება**

1. მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილება უზრუნველყოფს სამსახურის მიერ წარმოდგენილი მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (ბრძანების) პროექტის სამართლებრივ ექსპერტიზას და ვიზირებას.
2. დახმარების გაცემის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს მერი და გამოსცემს შესაბამის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს (ბრძანებას).
3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული სამართლებრივი აქტის საფუძველზე, თანხის გადარიცხვას უზრუნველყოფს მერიის საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახური, უნაღდო ანგარიშსწორებით, ბრძანებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

## **მუხლი 9. პროგრამის შედეგის ინდიკატორი**

პროგრამაში ჩართული სოციალურად დაუცველი მარტოხელა პენსიონერების რაოდენობა.

## **მუხლი 10. პროგრამის შედეგი**

სოციალურად დაუცველი მარტოხელა პენსიონერების მატერიალური უზრუნველყოფა.

დანართი №17

**სოციალურად დაუცველ იძულებით გადაადგილებულ პირთა/დევნილთა ოჯახების დახმარების**

**პროგრამა (ქვეპროგრამის კოდი 06 02 20)**

სოციალურად დაუცველ იძულებით გადაადგილებულ პირთა/დევნილთა ოჯახების დახმარების პროგრამა (შემდეგში „პროგრამა“) განსაზღვრავს გარდაბნის მუნიციპალიტეტის

ბიუჯეტიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა/დევენილთა ოჯახებისთვის სოციალური დახმარების გაცემის პირობებსა და პროცედურებს, მათ მიერ გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიაში (შემდეგში „მერია“) წარსადგენი დოკუმენტაციის ნუსხას და დახმარების სახით გასაცემი თანხის ოდენობებს.

### **მუხლი 1. პროგრამის მიზანი**

სოციალურად დაუცველ იძულებით გადაადგილებულ პირთა/დევენილთა ოჯახების მატერიალური მხარდაჭერა.

### **მუხლი 2. დაფინანსების წყარო**

გარდაბნის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.

### **მუხლი 3. პროგრამის ხანგრძლივობა**

პროგრამა ძალაშია 2025 წლის 1 იანვრიდან 2025 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

### **მუხლი 4. პროგრამით მოსარგებლე**

პროგრამით მოსარგებლები არიან გარდაბნის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული და მცხოვრები სოციალურად დაუცველი იძულებით გადაადგილებულ პირთა/დევენილთა ოჯახები, იძულებით გადაადგილებულ პირთა/დევენილთა „ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამის“ ბენეფიციარები, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100 000-ს.

### **მუხლი 5. პროგრამით მოსარგებლის დაფინანსების ზოგადი წესი**

1. პროგრამის ფარგლებში დახმარების მისაღებად ბენეფიციარი წერილობითი განცხადებით მიმართავს და სრულყოფილ დოკუმენტაციას წარუდგენს გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერს (შემდეგში „მერი“) ან გარდაბნის მუნიციპალიტეტის შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენელს (შემდეგში „მერის წარმომადგენელი“). მიღებული დოკუმენტაცია შესასწავლად იგზავნება მერიის ჯანმრთელობის, სოციალური, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურში (შემდეგში „სამსახური“). „ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამის“ ბენეფიციარის შემთხვევაში, სამსახურს წერილობით მიმართავს გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის, სოციალური, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება (შემდეგში „ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება“).

2. პროგრამა ითვალისწინებს წელიწადში ერთხელ სოციალურად დაუცველ იძულებით გადაადგილებულ პირთა/დევენილთა ოჯახების მატერიალურ დახმარებას:

ა) 1 000 ქულიდან 65 000 ქულის ჩათვლით - 300 (სამასი) ლარის ოდენობით;

ბ) 65 001 ქულიდან 100 000 ქულის ჩათვლით - 250 (ორას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით.

### **მუხლი 6. დახმარების მისაღებად მერიაში წარსადგენი დოკუმენტები**

დახმარების მისაღებად მერიაში წარსადგენი დოკუმენტებია:

- ა) განცხადება;
- ბ) განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი;
- გ) იძულებით გადაადგილებული პირის/დევენილის მოწმობის ასლი;
- დ) ცნობა, სადაც მითითებული იქნება, რომ ისინი არ არიან ამ წესით გათვალისწინებული ანალოგიური დახმარების მიმღები იმ თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან სადაც არიან რეგისტრირებული;
- ე) ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების წერილი „ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამის“ ბენეფიციარის შესახებ;
- ვ) განმცხადებლის საბანკო რეკვიზიტები.

### **მუხლი 7. ჯანმრთელობის, სოციალური, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის უფლებამოსილება**

სამსახური შემოსულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით ამზადებს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (ბრძანების) პროექტს მერთან წარსადგენად, ხოლო განცხადებაში აღმოჩენილი ხარვეზის შემთხვევაში, მიმართავს განმცხადებელს ან/და მერის წარმომადგენელს ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით.

### **მუხლი 8. სოციალური დახმარების გაცემის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების მიღება და დაფინანსება**

1. მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილება უზრუნველყოფს სამსახურის მიერ წარმოდგენილი მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (ბრძანების) პროექტის სამართლებრივ ექსპერტიზას და ვიზირებას.
2. დახმარების გაცემის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს მერი და გამოსცემს შესაბამის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს (ბრძანებას).
3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული სამართლებრივი აქტის საფუძველზე, თანხის გადარიცხვას უზრუნველყოფს მერიის საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახური, უნაღდო ანგარიშსწორებით, ბრძანებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

### **მუხლი 9. პროგრამის შედეგის ინდიკატორი**

პროგრამაში ჩართული სოციალურად დაუცველი იძულებით გადაადგილებულ პირთა/დევენილთა ოჯახების რაოდენობა.

### **მუხლი 10. პროგრამის შედეგი**

სოციალურად დაუცველ იძულებით გადაადგილებულ პირთა/დევენილთა ოჯახების მატერიალური უზრუნველყოფა.

## მარტოხელა მშობლების დახმარების პროგრამა

(ქვეპროგრამის კოდი 06 02 21)

მარტოხელა მშობლების დახმარების პროგრამა (შემდეგში „პროგრამა“) განსაზღვრავს გარდაბნის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან მარტოხელა მშობლების მატერიალური დახმარების გაცემის პირობებსა და პროცედურებს, მათ მიერ გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიაში (შემდეგში „მერია“) წარსადგენი დოკუმენტაციის ნუსხას და დახმარების სახით გასაცემი თანხის ოდენობას.

### მუხლი 1. პროგრამის მიზანი

მარტოხელა მშობლების მატერიალური მხარდაჭერა.

### მუხლი 2. დაფინანსების წყარო

გარდაბნის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.

### მუხლი 3. პროგრამის ხანგრძლივობა

პროგრამა ძალაშია 2025 წლის 1 იანვრიდან 2025 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

### მუხლი 4. პროგრამით მოსარგებლე

პროგრამით მოსარგებლებები არიან გარდაბნის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული და მცხოვრები მარტოხელა მშობლები, „ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამის“ ბენეფიციარები.

### მუხლი 5. პროგრამით მოსარგებლეთა დაფინანსების ზოგადი წესი და პროცედურები

1. პროგრამის ფარგლებში დახმარების მისაღებად ბენეფიციარი წერილობითი განცხადებით მიმართავს და სრულყოფილ დოკუმენტაციას წარუდგენს გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერს (შემდეგში „მერი“) ან გარდაბნის მუნიციპალიტეტის შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენელს (შემდეგში „მერის წარმომადგენელი“). მიღებული დოკუმენტაცია შესასწავლად იგზავნება მერიის ჯანმრთელობის, სოციალური, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურში (შემდეგში „სამსახური“). „ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამის“ ბენეფიციარის შემთხვევაში, სამსახურს წერილობით მიმართავს გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის, სოციალური, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება (შემდეგში „ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება“).

2. პროგრამა ითვალისწინებს წელიწადში ერთხელ მარტოხელა მშობლებზე მატერიალურ დახმარების გაცემას:

ა) სოციალურად დაუცველ მარტოხელა მშობელზე, რომლის სარეიტინგო ქულაა 1000-დან 120 000 ქულის ჩათვლით - 300 (სამასი) ლარის ოდენობით;

ბ) მარტოხელა მშობელზე, რომელიც არ იმყოფება სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში - 150 (ას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით.

## **მუხლი 6. დახმარების მისაღებად მერიაში წარსადგენი დოკუმენტები**

დახმარების მისაღებად მერიაში წარსადგენი დოკუმენტებია:

- ა) განცხადება;
- ბ) განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი;
- გ) მარტოხელა მშობლის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი (სამოქალაქო კოდექსი 1191<sup>1</sup> მუხლის შესაბამისად, სამოქალაქო რეესტრის ცნობის წარმოდგენისას);
- დ) ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების წერილი „ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამის“ ბენეფიციარების შესახებ;
- ე) განცხადების საბანკო რეკვიზიტები.

## **მუხლი 7. ჯანმრთელობის, სოციალური, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის უფლებამოსილება**

სამსახური შემოსულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით ამზადებს ამზადებს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (ბრძანების) პროექტს მერთან წარსადგენად, ხოლო განცხადებაში აღმოჩენილი ხარვეზის შემთხვევაში, მიმართავს განმცხადებელს ან/და მერის წარმომადგენელს ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით.

## **მუხლი 8. სოციალური დახმარების გაცემის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების მიღება და დაფინანსება**

1. მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილება უზრუნველყოფს სამსახურის მიერ წარმოდგენილი მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (ბრძანების) პროექტის სამართლებრივ ექსპერტიზას და ვიზირებას.
2. დახმარების გაცემის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს მერი და გამოსცემს შესაბამის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს (ბრძანებას).
3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული სამართლებრივი აქტის საფუძველზე, თანხის გადარიცხვას უზრუნველყოფს მერიის საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახური, უნაღდო ანგარიშსწორებით, ბრძანებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

## **მუხლი 9. პროგრამის შედეგის ინდიკატორი**

პროგრამაში ჩართული მარტოხელა მშობლების რაოდენობა.

## **მუხლი 10. პროგრამის შედეგი**

მარტოხელა მშობლების მატერიალური უზრუნველყოფა.

**სოციალურად დაუცველ ჩვილ ბავშვთა კვების პროგრამა**  
**(ქვეპროგრამის კოდი 06 02 22)**

სოციალურად დაუცველ ჩვილ ბავშვთა კვების პროგრამა (შემდეგში „პროგრამა“) განსაზღვრავს გარდაბნის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ჩვილ ბავშვთა კვებით უზრუნველსაყოფად დახმარების გაცემის პირობებსა და პროცედურებს, მათ მიერ გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიაში (შემდეგში „მერია“) წარსადგენი დოკუმენტაციის ნუსხას და დახმარების სახით გასაცემი თანხის ოდენობას.

**მუხლი 1. პროგრამის მიზანი**

სოციალურად დაუცველ ჩვილ ბავშვთა კვებით უზრუნველყოფისათვის მატერიალური დახმარება.

**მუხლი 2. დაფინანსების წყარო**

გარდაბნის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.

**მუხლი 3. პროგრამის ხანგრძლივობა**

პროგრამა ძალაშია 2025 წლის 1 იანვრიდან 2025 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

**მუხლი 4. პროგრამით მოსარგებლე**

გარდაბნის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული და მცხოვრები ერთ წლამდე ასაკის ბავშვები, რომლებიც არიან:

- ა) სოციალურად დაუცველები (65 000 ჟულის ჩათვლით);
- ბ) „ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამის“ ბენეფიციარები.

**მუხლი 5. პროგრამით მოსარგებლეთა დაფინანსების ზოგადი წესი და პროცედურები**

1. პროგრამის ფარგლებში დახმარების მისაღებად ბენეფიციარის კანონიერი წარმომადგენელი წერილობითი განცხადებით მიმართავს და სრულყოფილ დოკუმენტაციას წარუდგენს გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერს (შემდეგში „მერი“) ან გარდაბნის მუნიციპალიტეტის შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენელს (შემდეგში „მერი“). მიღებული დოკუმენტაცია შესასწავლად იგზავნება მერიის ჯანმრთელობის, სოციალური, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურში (შემდეგში „სამსახური“). „ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამის“ ბენეფიციარის შემთხვევაში, სამსახურს წერილობით მიმართავს გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის, სოციალური, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის ბავშვის უფლებების დაცვისა და

მხარდაჭერის განყოფილება (შემდეგში „ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება“).

2. პროგრამა ითვალისწინებს ერთ წლამდე ასაკის ბავშვთა ხელოვნური კვების დაფინანსებას თვეში 150 (ას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით.

3. მერიის მიერ გაცემული ადმინისტრაციული დაპირება ძალაშია, თუ მის საფუძველზე მომსახურების გაწევა დაიწყება მისი გაცემიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში. საგარანტიო წერილის ვადის გაგრძელება (გამოუყენებლობის შემთხვევაში) შესაძლებელია ერთჯერადად, 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით.

4. ფარმაცევტული კომპანიის მიერ მიღება-ჩაბარების აქტის მერიაში დაფინანსების მოთხოვნით წარდგენის ვადაა ჩვილ ბავშვთა კვების პროდუქტების გაცემიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღე.

## **მუხლი 6. მერიაში წარსადგენი დოკუმენტები**

დახმარების მისაღებად მერიაში წარსადგენი დოკუმენტებია:

ა) განცხადება;

ბ) განმცხადებლის (მშობლის/მეურვის/მზრუნველის/კანონიერი წარმომადგენლის) პირადობის მოწმობის ასლი;

გ) მშობლის/მეურვეობის/მზრუნველობის/კანონიერი წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

დ) ბავშვის დაბადების მოწმობის ასლი;

ე) ანგარიშ-ფაქტურა (ინვოისი) ან/და სხვა დამადასტურებელი ფინანსური დოკუმენტი;

ვ) ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა №IV-100/ა), სადაც მითითებული იქნება, რომ ბავშვი საჭიროებს ხელოვნურ კვებას (საკვების მითითებით);

ზ) ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების წერილი „ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამის“ ბენეფიციარის შესახებ.

## **მუხლი 7. ჯანმრთელობის, სოციალური, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის უფლებამოსილება**

1. სამსახური ამოწმებს შემოსულ განცხადებებს თანდართულ დოკუმენტებთან ერთად და სრულყოფილი დოკუმენტაციის შემთხვევაში ამზადებს ადმინისტრაციულ დაპირებას, ხოლო შესრულებული სამუშაოს დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის შემდეგ ამზადებს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (ბრძანების) პროექტს მერთან წარსადგენად.

2. განცხადებაში ან დაწესებულებიდან შემოსული შესრულებული სამუშაოს დამადასტურებელ დოკუმენტაციაში აღმოჩენილი ხარვეზის შემთხვევაში, მიმართავს განმცხადებელს ან სამუშაოს შემსრულებელს ხარვეზის აღმომფხვრის მიზნით.

## **მუხლი 8. სოციალური დახმარების გაცემის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების მიღება და დაფინანსება**

1. მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილება უზრუნველყოფს სამსახურის მიერ წარმოდგენილი მერიის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (ბრძანების) პროექტის სამართლებრივ ექსპერტიზას და ვიზირებას.
2. თუ დახმარების მაძიებელი აკმაყოფილებს პროგრამით განსაზღვრულ მოსარგებლის კრიტერიუმებს, მერი იღებს გადაწყვეტილებას დაფინანსების შესახებ და გამოსცემს შესაბამის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს (ბრძანებას).
3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული სამართლებრივი აქტის საფუძველზე, თანხის გადარიცხვას უზრუნველყოფს მერიის საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახური, უნაღდო ანგარიშსწორებით, ბრძანებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

## **მუხლი 9. პროგრამის შედეგის ინდიკატორი**

პროგრამაში ჩართული ჩვილ ბავშვთა რაოდენობა.

## **მუხლი 10. პროგრამის შედეგი**

სოციალურად დაუცველ ჩვილ ბავშვთა კვებით უზრუნველყოფა.

**დანართი №20**

### **ზამთრის სეზონის დადგომასთან დაკავშირებით გათბობის უზრუნველყოფის პროგრამა (ქვეპროგრამის კოდი 06 02 23)**

ზამთრის სეზონის დადგომასთან დაკავშირებით გათბობის უზრუნველყოფის პროგრამა (შემდეგში „პროგრამა“) განსაზღვრავს გარდაბნის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ზამთრის პერიოდში გათბობის უზრუნველსაყოფად ოჯახებისთვის დახმარების გაცემის პირობებსა და პროცედურებს, მათ მიერ გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიაში (შემდეგში „მერია“) წარსადგენი დოკუმენტაციის ნუსხას და დახმარების სახით გასაცემი თანხის ოდენობებს.

## **მუხლი 1. პროგრამის მიზანი**

ზამთრის პერიოდში პროგრამით მოსარგებლეთა საცხოვრისის გათბობის უზრუნველყოფა მატერიალური დახმარების გზით.

## **მუხლი 2. დაფინანსების წყარო**

გარდაბნის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.

## **მუხლი 3. პროგრამის ხანგრძლივობა**

პროგრამა ძალაშია 2025 წლის 1 იანვრიდან 2025 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

#### **მუხლი 4. პროგრამით მოსარგებლე**

პროგრამით მოსარგებლეები არიან:

- ა) გარდაბნის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული და მცხოვრები სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი ოჯახები, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 5 000-ს;
- ბ) დედ-მამით ობოლი ბავშვები (18 წლამდე);
- გ) შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე 18 წლამდე ასაკის ბავშვები (ეტლით მოსარგებლეები, დაუნის სინდრომის, ცერებრალური დამბლის, ან მხედველობის დაქვეითების მქონენი);
- დ) შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ვეტერანები (კოდი - 311, 312, 313);
- ე) სახელმწიფო მზრუნველობიდან ბიოლოგიურ ოჯახებში რეინტეგრირებული ბავშვები;
- ვ) „ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამის“ ბენეფიციარები;
- ზ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები (მხედველობადაქვეითებული - მკვეთრად გამოხატული);
- თ) სოციალურად დაუცველი მარტოხელა პენსიონერები (100 000 ქულის ჩათვლით).

#### **მუხლი 5. მოსარგებლეების დაფინანსების ზოგადი წესი**

1. პროგრამის ფარგლებში დახმარების მისაღებად ბენეფიციარი წერილობითი განცხადებით მიმართავს და სრულყოფილ დოკუმენტაციას წარუდგენს გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერს (შემდეგში „მერი“) ან გარდაბნის მუნიციპალიტეტის შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენელს (შემდეგში „წარმომადგენელი“). მიღებული დოკუმენტაცია შესასწავლად იგზავნება მერიის ჯანმრთელობის, სოციალური, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურში (შემდეგში „სამსახური“). „ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამის“ ბენეფიციარის შემთხვევაში, სამსახურს წერილობით მიმართავს გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის, სოციალური, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება (შემდეგში „ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება“).
2. პროგრამა ითვალისწინებს ზამთრის პერიოდში (იანვარი, თებერვალი, ნოემბერი, დეკემბერი) გათბობის უზრუნველსაყოფად ფინანსურ დახმარებას, თვეში 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით.

#### **მუხლი 6. დახმარების მისაღებად მერიაში წარსადგენი დოკუმენტები**

მერიაში წარსადგენი დოკუმენტებია:

- ა) განცხადება;
- ბ) ბენეფიციარის ან/და მეურვის/მზრუნველის/მხარდამჭერის პირადობის მოწმობის ასლი;
- გ) მეურვეობის/მზრუნველობის/მხარდაჭერის დამადასტურებელი დოკუმენტი (ამ პროგრამის მე-4 მუხლის „ბ“ და „გ“ პუნქტის შემთხვევაში);
- დ) ბავშვის(ების) დაბადების მოწმობის ასლი (ამ პროგრამის მე-4 მუხლის „ბ“, „გ“, „ე“ ქვეპუნქტის შემთხვევაში);

- ე) მშობლების გარდაცვალების მოწმობების ასლები (ამ პროგრამის მე-4 მუხლის „ბ“ პუნქტის შემთხვევაში);
- ვ) სსე აქტის ამონაწერი ან/და ცნობა სოციალური მომსახურების სააგენტოდან შშმ სტატუსის შესახებ (ამ პროგრამის მე-4 მუხლის „გ“ და „ზ“ პუნქტის შემთხვევაში);
- ზ) ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა №IV-100/ა) (ამ პროგრამის მე-4 მუხლის „გ“ პუნქტის შემთხვევაში);
- თ) ვეტერანის მოწმობის ასლი (ამ პროგრამის მე-4 მუხლის „დ“ პუნქტის შემთხვევაში);
- ი) წერილი ან/და ცნობა ბავშვის რენტეგრაციაში ყოფნის შესახებ (ამ პროგრამის მე-4 მუხლის „ე“ პუნქტის შემთხვევაში);
- კ) ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების წერილი „ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამის“ ბენეფიციარების შესახებ (ამ პროგრამის მე-4 მუხლის „ვ“ პუნქტის შემთხვევაში);
- ლ) მერის წარმომადგენლის აქტი, სადაც დასაბუთებული იქნება, რომ განმცხადებელი არის მარტოხელა, არ ჰყავს შვილი და მარჩენალი (ამ პროგრამის მე-4 მუხლის „თ“ პუნქტის შემთხვევაში);
- მ) საბანკო რეკვიზიტები.

## **მუხლი 7. ჯანმრთელობის, სოციალური, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის უფლებამოსილება**

სამსახური შემოსულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით ამზადებს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (ბრძანების) პროექტს მერთან წარსადგენად, ხოლო განცხადებაში აღმოჩენილი ხარვეზის შემთხვევაში, მიმართავს განმცხადებელს ან/და მერის წარმომადგენელს ხარვეზის აღმომგზვრის მიზნით.

## **მუხლი 8. სოციალური დახმარების გაცემის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების მიღება და დაფინანსება**

1. მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილება უზრუნველყოფს სამსახურის მიერ წარმოდგენილი მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (ბრძანების) პროექტის სამართლებრივ ექსპერტიზას და ვიზირებას.
2. დახმარების გაცემის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს მერი და გამოსცემს შესაბამის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს (ბრძანებას).
3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული სამართლებრივი აქტის საფუძველზე თანხის გადარიცხვას უზრუნველყოფს მერიის საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახური, უნაღდო ანგარიშსწორებით, ბრძანებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

## **მუხლი 9. პროგრამის შედეგის ინდიკატორი**

პროგრამაში ჩართული მოსარგებლეთა რაოდენობა.

## **მუხლი 10. პროგრამის შედეგი**

პროგრამით მოსარგებლე ოჯახების ზამთრის სეზონზე გათბობით უზრუნველყოფა.

სოციალურად დაუცველი ოჯახების დახმარების პროგრამა

(ქვეპროგრამის კოდი 06 02 24)

სოციალურად დაუცველი ოჯახების დახმარების პროგრამა (შემდეგში „პროგრამა“) განსაზღვრავს გარდაბნის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის დახმარების გაცემის პირობებსა და პროცედურებს, მათ მიერ გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიაში (შემდეგში „მერია“) წარსადგენი დოკუმენტაციის ნუსხას და გასაცემი თანხის ოდენობებს.

**მუხლი 1. პროგრამის მიზანი**

სოციალურად დაუცველი ოჯახების მატერიალური მხარდაჭერა.

**მუხლი 2. დაფინანსების წყარო**

გარდაბნის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.

**მუხლი 3. პროგრამის ხანგრძლივობა**

პროგრამა ძალაშია 2025 წლის 1 იანვრიდან 2025 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

**მუხლი 4. პროგრამით მოსარგებლე**

პროგრამით მოსარგებლეები არიან გარდაბნის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული და მცხოვრები სოციალურად დაუცველი ოჯახები (100 000 ქულის ჩათვლით), ასევე „ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამის“ ბენეფიციარები (100 000 ქულის ჩათვლით).

**მუხლი 5. მოსარგებლეების დაფინანსების ზოგადი პრინციპები**

1. პროგრამის ფარგლებში დახმარების მისაღებად ბენეფიციარი წერილობითი განცხადებით მიმართავს და სრულყოფილ დოკუმენტაციას წარუდგენს გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერს (შემდეგში „მერი“) ან გარდაბნის მუნიციპალიტეტის შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენელს (შემდეგში „წარმომადგენელი“). მიღებული დოკუმენტაცია შესასწავლად იგზავნება მერიის ჯანმრთელობის, სოციალური, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურში (შემდეგში „სამსახური“). „ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამის“ ბენეფიციარის შემთხვევაში, სამსახურს წერილობით მიმართავს გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის, სოციალური, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება (შემდეგში „ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება“).

2. პროგრამა ითვალისწინებს წელიწადში ერთხელ მატერიალური დახმარების გაცემას სოციალურად დაუცველ ოჯახებზე, რომელთა სარეიტინგო ქულა არის:

- ა) 1 000 ქულიდან 65 000 ქულის ჩათვლით - 300 (სამასი) ლარის ოდენობით;
- ბ) 65 001 ქულიდან 100 000 ქულის ჩათვლით - 250 (ორას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით.

### **მუხლი 6. დახმარების მისაღებად მერიაში წარსადგენი დოკუმენტები**

დახმარების მისაღებად მერიაში წარსადგენი დოკუმენტებია:

- ა) განცხადება;
- ბ) განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი;
- გ) ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების წერილი „ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამის“ ბენეფიციარების შესახებ;
- დ) განმცხადებლის საბანკო რეკვიზიტები.

### **მუხლი 7. ჯანმრთელობის, სოციალური, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის უფლებამოსილება**

სამსახური შემოსულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით ამზადებს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (ბრძანების) პროექტს მერთან წარსადგენად, ხოლო განცხადებაში აღმოჩენილი ხარვეზის შემთხვევაში, მიმართავს განმცხადებელს ან/და მერის წარმომადგენელს ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით.

### **მუხლი 8. სოციალური დახმარების გაცემის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების მიღება და დაფინანსება**

1. მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილება უზრუნველყოფს სამსახურის მიერ წარმოდგენილი მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (ბრძანების) პროექტის სამართლებრივ ექსპერტიზას და ვიზირებას.
2. დახმარების გაცემის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს მერი და გამოსცემს შესაბამის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს (ბრძანებას).
3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული სამართლებრივი აქტის საფუძველზე, თანხის გადარიცხვას უზრუნველყოფს მერიის საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახური, უნაღდო ანგარიშსწორებით, ბრძანებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

### **მუხლი 9. პროგრამის შეფასების ინდიკატორი**

პროგრამაში ჩართულ მოსარგებლეთა რაოდენობა.

### **მუხლი 10. პროგრამის შედეგი**

სოციალურად დაუცველი ოჯახების მატერიალური დახმარებით უზრუნველყოფა.

## ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამა

(ქვეპროგრამის კოდი 06 02 26)

### მუხლი 1. პროგრამის განხორციელება

ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამას (შემდეგში „პროგრამა“) ახორციელებს გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის, სოციალური, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება (შემდეგში „ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება“).

### მუხლი 2. დაფინანსების წყარო

გარდაბნის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.

### მუხლი 3. პროგრამის ხანგრძლივობა

პროგრამა ძალაშია 2025 წლის 1 იანვრიდან 2025 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

### მუხლი 4. პროგრამის მიზანი

სოციალურ მუშაობაზე დაყრდნობით ბავშვებისა და მათი ოჯახების უფლებების დაცვა /მხარდაჭერა. ზიანის რისკების აღმოფხვრა ან აცილება, რომლებიც საფრთხეს უქმნიან ან შეიძლება შეუქმნან ბავშვების სრულფასოვან განვითარებასა და კეთილდღეობას.

### მუხლი 5. პროგრამის ამოცანები

პროგრამის მთავარი ამოცანაა იმ ბავშვებისა და მათი ოჯახების მხარდაჭერა, რომლებიც ცხოვრობენ მძიმე სოციალურ გარემოში და პირობებში, აქვთ ან ემუქრებათ ძალადობის, ქუჩაში დარჩენის/მუშაობის, ადრეული ქორწინების, კანონთან კონფლიქტის, ბულინგის, ოჯახში უგულვებლყოფის, ჯანმრთელობის დაზიანების, განათლების მიღმა დარჩენის, მავნე ზეგავლენისა და სხვა სახის საფრთხე.

პროგრამის ამოცანებია:

1. სოციალური მუშაკის მიერ ბავშვის/ოჯახის შეფასება და შემთხვევის მართვა, შესაბამისი (იურისტი, ფსიქოლოგი, ჯანმრთელობის მართვის სპეციალისტი) სპეციალისტების ჩართულობით ზიანის რისკების იდენტიფიცირება, საჭიროებების განსაზღვრა და ოჯახის გაძლიერება;
2. მაღალი რისკების შემთხვევაში რეფერირების დროული განხორციელება;
3. პრევენციული ღონისძიებების გატარება და საჭიროებების დაკმაყოფილება;

- ა) მატერიალური და არამატერიალური დახმარება;
- ბ) სახელმწიფო, მუნიციპალური და სხვა სერვისების მიღების ხელშეწყობა (სამედიცინო, სამკურნალო, თერაპიული, ზრუნვის, იურიდიული, საყოფაცხოვრებო, დასაქმების, საგანმანათლებლო, ინკლუზიური, სახელოვნებო, სპორტული და სხვ.);
- გ) ბავშვების ავეჯით უზრუნველყოფა;
- დ) ოჯახების საოჯახო ტექნიკით უზრუნველყოფა;
- ე) ფსიქოლოგის და პოზიტიური მშობლობის სერვისით უზრუნველყოფა;
- ვ) ცნობიერების ასამაღლებელი ღონისძიებები.

## **მუხლი 6. მოსარგებლეთა ჯგუფი**

პროგრამით მოსარგებლენი არიან გარდაბნის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები 18 წლამდე ასაკის ბავშვები და მათი ოჯახები (რეგისტრაციის მიუხედავად):

1. სოციალურად დაუცველი ბავშვები და მათი ოჯახები;
2. ძალადობის/ტრეფიკინგის მსხვერპლი ბავშვები და მათი ოჯახები;
3. მიუსაფარი/უსახლკარო ბავშვები და მათი ოჯახები;
4. კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვები და მათი ოჯახები;
5. ქუჩაში მომუშავე ბავშვები და მათი ოჯახები;
6. კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვები და მათი ოჯახები;
7. მავნე ზეგავლენის ქვეშ მყოფი ბავშვები და მათი ოჯახები;
8. ადრეულ ქორწინებაში ან რისკის ქვეშ მყოფი ბავშვები და მათი ოჯახები;
9. არასრულწლოვანი მშობლები და მათი შვილები;
10. კანონთან კონფლიქტში მყოფი მშობლების არასრულწლოვანი შვილები;
11. შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვები და მათი ოჯახები;
12. ბავშვები, რომელთაც ჰყავთ შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე მშობელი(ები);
13. განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვები და მათი ოჯახები;
14. სკოლის გარეთ დარჩენილი ბავშვები და მათი ოჯახები;
15. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების ბავშვები და მათი ოჯახები;
16. მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე მშობლის ბავშვები;
17. მრავალშვილიანი ოჯახის ბავშვები;
18. სპეციალური საკვების საჭიროების მქონე ბავშვები (ფენილკეტონურია/ცელიაკია);
19. იშვიათი დაავადების მქონე ბავშვები;
20. სხვა უწყებიდან რეფერირებული ბავშვები და მათი ოჯახები;
21. სხვა ბავშვები, რომლებიც არ მიეკუთვნებიან ზემოთ ჩამოთვლილ არც ერთ ჯგუფს.

## **მუხლი 7. პროგრამის აქტივობები**

პროგრამის აქტივობებია:

1. მოქალაქის მომართვის, მესამე პირის მხრიდან განხორციელებული შეტყობინების, ანონიმური, სახელმწიფო და სხვა ორგანიზაციის მიერ მოწოდებული

ინფორმაციის/რეფერირებული საკითხის, მუნიციპალიტეტის მიერ გამოვლენილი შემთხვევების ადგილზე შესწავლა სოციალური მუშაკის მიერ;

2. საჭიროებების და ზიანის რისკების ღონის იდენტიფიცირება პირველადი შეფასების (სკრინინგის) ან/და ბავშვისა და ოჯახის შეფასების გზით;

3. შეფასებით გამოკვეთილი სხვა უწყებათა კომპეტენციის ან მაღალი რისკის შემთხვევაში საკითხის რეფერირება უფლებამოსილ ორგანოში;

4. ბიო-ფსიქო-სოციალური ფაქტორების შეფასებაზე დაყრდნობით, ბავშვისა და ოჯახის ფუნქციონირების ანალიზი და საჭირო პრევენციული ღონისძიებების განსაზღვრა;

5. საჭიროებების დასაკმაყოფილებლად სერვისების მოძიება;

6. სოციალური მუშაკის მიერ ბავშვის ინდივიდუალური მხარდაჭერის გეგმის პროექტის შედგენა (ჯანმრთელობის, სოციალური, ფსიქოლოგიური, იურიდიული, განათლების, განვითარების და სხვა სერვისების დაგეგმვა);

7. მულტიდისციპლინური გუნდის სხდომაზე საქმის და ბავშვის ინდივიდუალური მხარდაჭერის გეგმის პროექტის განხილვა და დამტკიცება (მატერიალური და არამატერიალური დახმარებები);

8. მშობელთან/წარმომადგენელთან შეთანხმებული ბავშვის ინდივიდუალური მხარდაჭერის გეგმის შესაბამისი ღონისძიებების გატარება;

9. სხვა მუნიციპალიტეტიდან და უწყებიდან რეფერირებული საკითხის შესწავლა, საჭირო მომსახურების მიწოდება ან/და აღნიშნულ პროგრამაში ჩართვა;

10. მხარდაჭერის გეგმის განხორციელების პროცესის მონიტორინგი და შეფასება;

11. მხარდაჭერის ღონისძიებების შეწყვეტა;

12. შეწყვეტილი საქმეების მონიტორინგი.

## **მუხლი 8. პროგრამის პროცედურები**

1. მაძიებელმა უნდა მიმართოს გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიას (შემდეგში „მერია“), წარმოადგინოს პირადობის მოწმობა/პასპორტის ასლი და შეავსოს განაცხადი. განაცხადზე რეაგირებას ახორციელებს სოციალური მუშაკი და ახორციელებს პირველად შეფასებას.

2. მესამე პირის მხრიდან, ანონიმური, სახელმწიფო/ სხვა ორგანიზაციის მიერ მოწოდებული ინფორმაციას და მუნიციპალიტეტის მიერ გამოვლენილ შემთხვევებს მიწოდებიდან ადგილზე შეისწავლის სოციალური მუშაკი და ახორციელებს პირველად შეფასებას.

3. პირველადი შეფასების შემდეგ სოციალური მუშაკი განსაზღვრავს სრული შეფასების საჭიროებას ან/და სხვა უწყებაში რეფერირების აუცილებლობას.

4. სრული შეფასების განხორციელებამდე მაძიებელი ვალდებულია წარმოადგინოს სოციალური მუშაკის მიერ მოთხოვნილი საბუთები (დანართი 22.1 - დოკუმენტების ჩამონათვალის ფორმა) განცხადების ფორმით და განაცხადოს თანხმობა წარმოდგენილი პერსონალური მონაცემების გამოყენების შესახებ.

5. სოციალური მუშაკი სრული ინტერდისციპლინური შეფასების შემდგომ ადგენს ბავშვის მხარდაჭერის გეგმას საჭირო ღონისძიებებით და წარუდგენს მულტიდისციპლინური გუნდის სხდომას განსახილველად.

6. ბავშვის მხარდაჭერის გეგმა გაიწერება განსაზღვრული ვადით, არაუმეტეს 6 თვისა. საჭიროებიდან გამომდინარე ვადის გაგრძელება შესაძლებელია ახალი გეგმის შედგენისა და მულტიდისციპლინური გუნდის გადაწყვეტილების საფუძველზე.
7. გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერის მიერ დამტკიცებული მულტიდისციპლინური გუნდი ინდივიდუალურად განიხილავს სოციალური მუშაკის მიერ წარმოდგენილ მხარდაჭერის გეგმის პროექტებს, თანხმდება, იღებს გადაწყვეტილებას და ადგენს ოქმს. მიღებულ ოქმს ჯანმრთელობის, სოციალური, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის ხელმძღვანელი ამტკიცებს შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით (ბრძანება).
8. ბავშვის მხარდაჭერის გეგმას ეცნობა მშობელი/წარმომადგენელი და ადასტურებს ხელმოწერით.
9. ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება უზრუნველყოფს დამტკიცებული მხარდაჭერის გეგმის შესრულებასა და მონიტორინგს.
10. ბენეფიციარი, რომელიც ჩართულია აღნიშნულ პროგრამაში, იღებს „ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამის“ მოსარგებლის სტატუსს.
11. მულტიდისციპლინური გუნდის გადაწყვეტილებით მხარდაჭერის ღონისძიებები წყდება და საქმე იხურება: შედეგების მიღწევის, სხვა უწყებაში რეფერირების, კრიტერიუმების ცვლილების (ასაკის შესრულება, მისამართის ცვლილება) შემთხვევაში.
12. დახურული საქმის მონიტორინგი განხორციელდება 6 თვეში ერთხელ.

## **მუხლი 9. პროგრამის ღონისძიებები**

პროგრამის ღონისძიებებია:

1. მატერიალური დახმარება - მულტიდისციპლინური გუნდის გადაწყვეტილებით საქმის ინდივიდუალური საჭიროებებიდან გამომდინარე მატერიალური დახმარება. დახმარების ბიუჯეტი შეადგენს 50 000 (ორმოცდაათი ათასი) ლარს;
2. ფსიქოლოგის და პოზიტიური მშობლობის სერვისით უზრუნველყოფა - აღნიშნული მომსახურება წარმოადგენს ამ პროგრამის შემადგენელ ღონისძიებას, რომლის აუცილებლობაც გამოიკვეთება ბავშვისა და ოჯახის შეფასების შემდგომ. ღონისძიება მოიცავს ფსიქოლოგის დახმარებას ან/და ფსიქოლოგის მიერ მშობლისთვის აღზრდის პოზიტიური მიდგომის შესწავლას, რომელიც თავის მხრივ მოიცავს ბავშვის პატივისცემას, სიყვარულს, სიტბოს გამოხატვას, დახმარებისა და მხარდაჭერის აღმოჩენას, მასზე ზრუნვას, აღზრდისა და სწავლებას ჰუმანური გზებით და გამორიცხავს მკაცრი მეთოდების გამოყენებას, დასჯას, მუქარას, შეშინებას, ზეწოლას, შეურაცხყოფას და ა.შ.

სოციალური მუშაკისა და მულტიდისციპლინური გუნდის გადაწყვეტილებით მოსარგებლე ბავშვი ან/და მისი მშობელი, წერილობითი თანხმობის შემდგომ, ჩაერთვება აღნიშნულ ღონისძიებაში. ფსიქოლოგის და პოზიტიური მშობლობის სერვისს ბენეფიციარს მიაწვდის მისი არჩეული ან/და სოციალური მუშაკის მიერ შეთავაზებული მიმწოდებელი.

შეხვედრების რაოდენობა განისაზღვრება საჭიროებიდან გამომდინარე, თითოეულ ბენეფიციარზე არაუმეტეს 10 შეხვედრისა. თითოეულ ბენეფიციარზე დაფინანსება არ უნდა აღემატებოდეს 1200 ლარს. ღონისძიების მთლიანი ბიუჯეტი შეადგენს - 6000 (ექვსი ათასი) ლარს;

3. ავეჯისა და საყოფაცხოვრებო ტექნიკის შეძენა - აღნიშნული ღონისძიება მოიცავს საჭიროებიდან გამომდინარე:

ა) ბავშვებისათვის საწოლების (მატრასით), საწერი მაგიდების და სხვა ავეჯის შეძენას. ავეჯის შეძენის ბიუჯეტი შეადგენს 11 000 (თერთმეტი ათასი) ლარს;

ბ) ოჯახისთვის აუცილებელი საყოფაცხოვრებო ტექნიკის შეძენას ( მაცივარი, გაზქურა, სარეცხის მანქანა და ა.შ.). საყოფაცხოვრებო ტექნიკის შეძენის ბიუჯეტი შეადგენს 5000 (ხუთი ათასი) ლარს;

გ) პროგრამით მოსარგებლე პირებისთვის ავეჯისა და საყოფაცხოვრებო ტექნიკის შეძენას მერია ახორციელებს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად;

4. ცნობიერების ასამაღლებელი ღონისძიებები - ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების მიერ საინფორმაციო მასალების მომზადება/შეძენა და ცნობიერების ასამაღლებელი შეხვედრების განხორციელება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე. ღონისძიებების მთლიანი ბიუჯეტი შეადგენს 3000 (სამი ათასი) ლარს.

### **მუხლი 10. ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების უფლებამოსილება**

ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება უფლებამოსილია ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერისათვის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე აწარმოოს ბიო-ფსიქო-სოციალურ მიდგომაზე დამყარებული მუშაობა. დაეხმაროს ბავშვებსა და მათ ოჯახებს მუნიციპალური პროგრამებისა და დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში. განახორციელოს კოორდინირებული მუშაობა ბავშვზე მომუშავე სახელმწიფო უწყებებთან, არასამთავრობო იურიდიულ პირებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან.

### **მუხლი 11. სოციალური დახმარების გაცემის საბოლოო გადაწყვეტილების მიღება და დაფინანსება**

1. მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილება უზრუნველყოფს მერიის ჯანმრთელობის, სოციალური, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის მიერ წარმოდგენილი გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (ბრძანების) პროექტის სამართლებრივ ექსპერტიზას და ვიზირებას.

2. დაფინანსების გაცემის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერი და გამოსცემს შესაბამის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს (ბრძანებას).

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული სამართლებრივი აქტის საფუძველზე, თანხის გადარიცხვას უზრუნველყოფს გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახური, უნაღდო ანგარიშსწორებით, ბრძანებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

## მუხლი 12. პროგრამის შეფასების ინდიკატორები

პროგრამის შეფასების ინდიკატორებია:

1. შესწავლილი შემთხვევის/ოჯახის რაოდენობა;
2. პროგრამით მოსარგებლე ოჯახების რაოდენობა;
3. რეფერირებულ (შემოსული/გასული) შემთხვევების რაოდენობა;
4. მატერიალური დახმარების მიმღები ოჯახების რაოდენობა;
5. ფსიქოლოგის და პოზიტიური მშობლობის მოსარგებლეთა რაოდენობა;
6. ავეჯითა და საყოფაცხოვრებო ტექნიკით უზრუნველყოფილი მოსარგებლეთა რაოდენობა;
7. ცნობიერების ასამაღლებელი ღონისძიებების რაოდენობა.

## მუხლი 13. პროგრამის მოსალოდნელი შედეგები

პროგრამის მოსალოდნელი შედეგებია:

1. ჩატარებულია სოციალური მუშაობა ყველა შემთხვევაზე;
2. ინტერდისციპლინური შეფასებით იდენტიფიცირებულია ზიანის რისკები და განსაზღვრულია საჭიროებები;
3. მაღალი რისკების შემთხვევებში განხორციელებულია დროული რეფერირება;
4. განხორციელებულია პრევენციული ღონისძიებები;
5. დაკმაყოფილებულია მხარდაჭერის გეგმით გათვალისწინებული მოსარგებლეთა საჭიროებები;
6. გაუმჯობესებულია ბიო-ფსიქო-სოციალური მდგომარეობა ბენეფიციარებში;
7. ფსიქოლოგის და პოზიტიური მშობლობის სერვისით ბენეფიციარებში მიღებულია სასურველი შედეგი;
8. ბენეფიციარებზე გადაცემულია ავეჯი და აუცილებელი საოჯახო ტექნიკა;
9. გაზრდილია ცნობიერება მოსახლეობაში ბავშვის უფლებებისა და მხარდაჭერის ღონისძიებების შესახებ.

დანართი N22.1

### საბუთების ჩამონათვალის ფორმა

გვარი, სახელი	საბუთების ჩამონათვალი	წარმოდგენის ვადა
1.		
2.		

**ბავშვთა ადრეული და თერაპიული ინტერვენციის პროგრამა  
(ქვეპროგრამის კოდი 06 02 14)**

ბავშვთა ადრეული და თერაპიული ინტერვენციის პროგრამა (შემდეგში „პროგრამა“) განსაზღვრავს გარდაბნის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გარდაბნის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ არასრულწლოვანთა, ასევე „ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამის“ ბენეფიციართა (18 წლამდე) ადრეული და თერაპიული ინტერვენციის მომსახურების დაფინანსების პირობებსა და პროცედურებს, გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიაში (შემდეგში „მერია“) წარსადგენი დოკუმენტაციის ნუსხასა და გასაცემი თანხის ოდენობებს.

**მუხლი 1. პროგრამის მიზანი და ამოცანები**

ბავშვთა შეზღუდული შესაძლებლობების, განვითარების დარღვევის ან ასეთი რისკის მქონე ბავშვების განვითარების სტიმულირება, ფიზიკური და ინტელექტუალური ფუნქციური პოტენციალის ამაღლება, ზოგადი ჯანმრთელობის, ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებისა და ინკლუზიური განვითარების პროცესის მხარდაჭერა, სკოლამდელი და ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებში ინტეგრაციის და სოციალიზაციის ხელშეწყობა.

**მუხლი 2. დაფინანსების წყარო**

გარდაბნის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.

**მუხლი 3. პროგრამის ხანგრძლივობა**

პროგრამა ძალაშია 2025 წლის 1 იანვრიდან 2025 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

**მუხლი 4. პროგრამით მოსარგებლე**

პროგრამით მოსარგებლეები არიან:

1. ადრეული ინტერვენციის საჭიროების მქონე შეზღუდული შესაძლებლობის, განვითარების დარღვევის ან ასეთი რისკის მქონე ბავშვები (7 წლამდე).
2. თერაპიული ინტერვენციის საჭიროების მქონე 0-დან 3 წლამდე ბავშვები და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვები (3 დან 18 წლამდე).
3. არასრულწლოვნები, რომელთაც ვერ დააკმაყოფილეს ბავშვთა ზრუნვის სახელმწიფო პროგრამით განსაზღვრული კრიტერიუმები, მაგრამ საჭიროებენ მსგავსი ტიპის ინტერვენციებს.

**მუხლი 5. მოსარგებლის ჩართვის კრიტერიუმი, დაფინანსება და მისი ორგანიზება**

1. დაფინანსების მისაღებად ბენეფიციარის მშობელი/წარმომადგენელი წერილობითი განცხადებით მიმართავს და სრულყოფილ დოკუმენტაციას წარუდგენს გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერს (შემდეგში „მერია“) ან გარდაბნის მუნიციპალიტეტის შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენელს

(შემდეგში „მერის წარმომადგენელი“). მიღებული დოკუმენტაცია შესასწავლად იგზავნება მერიის ჯანმრთელობის, სოციალური, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურში (შემდეგში „სამსახური“). „ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამის“ ბენეფიციართა შემთხვევაში, სამსახურს წერილობით მიმართავს გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის, სოციალური, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება (შემდეგში „ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება“). მომსახურებაზე განცხადების მიღების ბოლო ვადაა - 31 ოქტომბერი.

2. პროგრამა ითვალისწინებს წელიწადში ერთხელ (ოჯახის მდგომარეობის გათვალისწინებით შესაძლებელია ორჯერ) ინტერვენციული მომსახურების დაფინანსებას:

ა) სოციალურად დაუცველ ბავშვებისთვის (1000 დან - 150 000 ქულის ჩათვლით) – 1500 (ათას ხუთასი) ლარის ფარგლებში;

ბ) სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში არ მყოფი ბავშვებისთვის, რომელთა ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა დასაბუთებული იქნება მერის წარმომადგენლის შუამდგომლობით, ან ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების წერილით - 1200 (ათას ორასი) ლარის ფარგლებში.

3. მერიის მიერ დაფინანსების თაობაზე ადმინისტრაციული დაპირება გაცემა განცხადების წარდგენიდან 10 სამუშაო დღის ვადაში. მერიის მიერ გაცემული ადმინისტრაციული დაპირება ძალაშია, თუ მის საფუძველზე მომსახურების გაწევა დაიწყება მისი გაცემიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში. ადმინისტრაციული დაპირების ვადის გაგრძელება (გამოუყენებლობის შემთხვევაში) შესაძლებელია ერთჯერადად, 30 კალენდარული დღით. ადმინისტრაციული დაპირების გაცემამდე ჩატარებულ მომსახურებაზე მერია არ იღებს ფინანსურ ვალდებულებას.

4. იურიდიული პირის მიერ ადმინისტრაციული დაპირების საფუძველზე გაწეული მომსახურების დამადასტურებელი სრულყოფილი დოკუმენტაციის მერიაში დაფინანსების მოთხოვნით წარდგენის ვადაა მომსახურების დასრულებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღე, არა უგვიანეს 2025 წლის 10 დეკემბრისა.

5. მერიის მხრიდან დაფინანსებას ექვემდებარება 120 (ას ოცი) განცხადება, მომართვის რიგითობის მიხედვით პროგრამით გათვალისწინებული ვადის ამოწურვამდე.

6. მომსახურების დაფინანსება მოიცავს:

ა) „ბავშვთა ადრეული განვითარების ხელშეწყობის ქვეპროგრამის“ მომლოდინეთა რეესტრში მყოფი ბავშვებისათვის - თვეში მაქსიმუმ 12 ვიზიტს;

ბ) ბავშვთა ზრუნვის სახელმწიფო პროგრამის „ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის ქვეპროგრამის“ მომლოდინეთა რეესტრში მყოფი ბავშვებისათვის - თვეში მაქსიმუმ 20 სეანსს (მომსახურებების მთლიანი ჯამი);

გ) არასრულწლოვნებისათვის, რომელთაც უარი ეთქვათ ბავშვთა ზრუნვის სახელმწიფო პროგრამით სარგებლობაზე, მაგრამ საჭიროებენ სხვა სახის ინტერვენციებს - თვეში 16 სეანსს, არაუმეტეს 2 სახის მომსახურებისა.

## **მუხლი 6. გამომრიცხავი კრიტერიუმები**

მომსახურებას ვერ მიიღებს:

1. არასრულწლოვანი, რომელიც არ არის რეგისტრირებული გარდაბნის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, გარდა „ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამის“ ბენეფიციარებისა.
2. არასრულწლოვანი, რომელიც ბავშვთა ზრუნვის სახელმწიფო პროგრამების სერვისის მიმღებია („ბავშვთა ადრეული განვითარების ხელშეწყობის ქვეპროგრამა“, „ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის ქვეპროგრამა“).

## **მუხლი 7. დაფინანსების მისაღებად მერიაში წარსადგენი დოკუმენტები**

მერიაში წარსადგენი დოკუმენტებია:

- ა) განცხადება;
- ბ) მშობლის/წარმომადგენლის პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი;
- გ) კანონიერი წარმომადგენლის შემთხვევაში - წარმომადგენლობის დამადასტურებელი საბუთი;
- დ) ბავშვის დაბადების მოწმობის ასლი;
- ე) იძულებით გადაადგილებული პირის/ დევნილის მოწმობის ასლი (იძულებით გადაადგილებული პირის/ დევნილის მოსარგებლის შემთხვევაში);
- ვ) იძულებით გადაადგილებული პირის/დევნილის სტატუსის მქონე მოსარგებლე ვალდებულია წარმოადგინოს ცნობა, სადაც მითითებული იქნება, რომ ის არ არის ამ პროგრამით გათვალისწინებული ანალოგიური დახმარების მიმღები იმ თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან, სადაც არის რეგისტრირებული;
- ზ) ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა №IV-100/ა), გაცემული არაუმეტეს 3 თვის ვადისა;
- თ) ანგარიშ-ფაქტურა (ინვოისი) ან სხვა დამადასტურებელი ფინანსური დოკუმენტი;
- ი) ცნობა სსიპ „სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოდან“ მომსახურებაში ჩართვის ან უარის შესახებ;
- კ) შშმ ბავშვის სტატუსის დამადასტურებელი საბუთი (მე-4 მუხლის მეორე პუნქტის შემთხვევაში);
- ლ) აქტი, ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ (აქტს ხელს აწერს მერის წარმომადგენელი; ასევე, საკრებულოს მაჟორიტარი წევრი, იმ შემთხვევაში, თუ მერის წარმომადგენელთან ერთად შეისწავლის ოჯახის მდგომარეობას). (მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შემთხვევაში);
- მ) ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების წერილი („ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამის“ ბენეფიციარის შემთხვევაში);

ნ) ცნობა გამოუყენებელი ადმინისტრაციული დაპირების შესახებ (ადმინისტრაციული დაპირების გამოუყენებლობის შემთხვევაში).

### **მუხლი 8. ჯანმრთელობის, სოციალური, ბავშვის უფლებების დაცვის და მხარდაჭერის სამსახურის უფლებამოსილება**

1. სამსახური შემოსული განცხადებების შემოწმების შემდგომ, თუ დოკუმენტაცია სრულყოფილია ამზადებს ადმინისტრაციულ დაპირებას.
2. განცხადებაში ან მომსახურების მიმწოდებელი იურიდიული პირიდან წარმოდგენილ შესრულებულ სამუშაოს დამადასტურებელ საბუთებში აღმოჩენილი ხარვეზის შემთხვევაში, სამსახური მიმართავს განმცხადებელს ან მომსახურების მიმწოდებელს ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით.
3. სამსახური წარმოდგენილი შესრულებული სამუშაოს დამადასტურებელი საბუთების შემოწმების შემდგომ ამზადებს მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (ბრძანების) პროექტს.

### **მუხლი 9. საბოლოო გადაწყვეტილების მიღება და დაფინანსება**

1. მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილება უზრუნველყოფს სამსახურის მიერ წარმოდგენილი მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (ბრძანების) პროექტის სამართლებრივ ექსპერტიზას და ვიზირებას.
2. დაფინანსების გაცემის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს მერი და გამოსცემს შესაბამის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს (ბრძანებას).
3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული სამართლებრივი აქტის საფუძველზე, თანხის გადარიცხვას უზრუნველყოფს მერიის საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახური, უნაღდო ანგარიშსწორებით, ბრძანებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

### **მუხლი 10. პროგრამის შეფასების ინდიკატორი**

პროგრამის შეფასების ინდიკატორებია:

1. მოსარგებლეთა რაოდენობა, რომელზეც გაიცა ადმინისტრაციული დაპირება;
2. დაგეგმილი სეანსების რაოდენობის ინდიკატორი;
3. დაგეგმილი სეანსების შესრულების ინდიკატორი;
4. გაცემული ადმინისტრაციული დაპირების შესრულების ფინანსური ინდიკატორი.

### **მუხლი 11. პროგრამის შედეგი**

ბავშვთა შეზღუდული შესაძლებლობების, განვითარების დარღვევის ან ასეთი რისკის მქონე ბავშვების განვითარება. ამალღებული ფიზიკური და ინტელექტუალური პოტენციალი. სკოლამდელი და ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებში ჩართვა. გაუმჯობესებული ცხოვრების ხარისხი და სოციალური ინტეგრაცია.

ზავშეთა ადრეული და თერაპიული ინტერვენციის პროგრამის ადმინისტრაციული დაპირება

იურიდიული პირის სახელწოდება  
იურიდიული პირის მისამართი

გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერია იძლევა ადმინისტრაციულ დაპირებას, რომ -----  
-----მიერ  
(იურიდიული პირი)  
წარმოდგენილი ----- N----- ინვოისის საფუძველზე,  
(თარიღი)  
-----მიერ წარმოდგენილი -----  
-----

(მშობლის/წარმომადგენლის სახელი, გვარი, პირადი ნომერი) ( ბენეფიციარის სახელი, გვარი, პირადი ნომერი)  
ადრეული/თერაპიული ინტერვენციის მომსახურებისათვის გადმორიცხული იქნება -----  
- ლარი, თვეში ----- ვიზიტის/სეანსის ლიმიტის გათვალისწინებით. ლიმიტის გადაჭარბება ჩაითვლება პროგრამის პირობების დარღვევად და არ ანაზღაურდება.

მერის მიერ გაცემული ადმინისტრაციული დაპირება ძალაშია, თუ მის საფუძველზე მომსახურების გაწევა დაიწყება მისი გაცემიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში. იურიდიული პირის მიერ ადმინისტრაციული დაპირების საფუძველზე გაწეული მომსახურების დამადასტურებელი სრულყოფილი დოკუმენტაციის მერიაში დაფინანსების მოთხოვნით წარდგენის ვადაა მომსახურების დასრულებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღე, არა უგვიანეს 2025 წლის 10 დეკემბრისა. ადმინისტრაციული დაპირების ვადის გაგრძელება (გამოუყენებლობის შემთხვევაში) შესაძლებელია ერთჯერადად, 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით. ადმინისტრაციული დაპირების გაცემამდე ჩატარებულ მომსახურებაზე მერია არ იღებს ფინანსურ ვალდებულებას.

უფროსი თაობის სოციალიზაციის ხელშეწყობის პროგრამა  
(ქვეპროგრამის კოდი 06 02 19)

მუხლი 1. პროგრამის დასახელება

უფროსი თაობის სოციალიზაციის ხელშეწყობის პროგრამა.

## **მუხლი 2. დაფინანსების წყარო**

გარდაბნის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.

## **მუხლი 3. პროგრამის განხორციელება**

უფროსი თაობის სოციალიზაციის ხელშეწყობის პროგრამა (შემდეგში „პროგრამა“) ხორციელდება გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიისა (შემდეგში „მერია“) და მომსახურების მიმწოდებელი ორგანიზაციის მიერ.

## **მუხლი 4. მოსარგებლეთა ჯგუფი**

გარდაბნის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული და მცხოვრები სოციალიზაციის ხელშეწყობის საჭიროების მქონე უფროსი თაობის (60+) ადამიანები (არაუმეტეს 30 პირისა).

## **მუხლი 5. პროგრამის მიზანი**

უფროსი თაობის ადამიანების სოციალური უფლებების რეალიზების ხელშეწყობა.

## **მუხლი 6. პროგრამის ამოცანები**

1. უფროსი თაობის ადამიანების ბაზისური საჭიროებების დაკმაყოფილებისათვის მომსახურების ხელმისაწვდომობის ხელშეწყობა (ჯანმრთელობა, საცხოვრისი, ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, ჰიგიენა).
2. უფროსი თაობის ადამიანების ფსიქოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება.
3. უფროსი თაობის ადამიანების სოციალური ინტეგრაცია.
4. უფროსი თაობის ადამიანების სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში ჩართვის ხელშეწყობა.

## **მუხლი 7. პროგრამის აქტივობები**

1. პროგრამაში ჩართვის მსურველთა მოძიება სხვადასხვა მხარის ჩართულობის და ინფორმაციის გავრცელების გზით;
2. შეფასება და ბაზისური საჭიროებების დაკმაყოფილება:
  - ა) ძლიერი მხარეების, საჭიროებების და ინტერესების პირველადი შეფასება შემდგომი ნაბიჯების (ინდივიდუალური, ჯგუფური) დაგეგმვის მიზნით;
  - ბ) პირველადი შეფასებიდან გამომდინარე, სრული შეფასების განხორციელება და შემთხვევის მართვა გამოკვეთილ ინდივიდუალურ ბაზისური საჭიროებების დასაკმაყოფილებლად, არსებულ სხვადასხვა მომსახურებაში გადამისამართება/სოციალური თანხლება და ჩართვის ხელშეწყობა;
  - გ) მოსარგებლეთა პირველადი შეფასებიდან გამოვლენილი ძლიერი მხარეების, საჭიროებების და ინტერესების გათვალისწინებით ჯგუფურ აქტივობებში ჩართვა.
3. ფსიქო-სოციალური მხარდაჭერა:

- ა) პროგრამის ბენეფიციარებთან ჯგუფური შეხვედრების უზრუნველყოფა სხვადასხვა ფსიქო-სოციალურ საკითხებზე, მოსარგებლეთა საჭიროებებზე, ძლიერ მხარეებსა და სურვილებზე დაყრდნობით;
- ბ) ინდივიდუალური ფსიქოლოგიური მომსახურებით უზრუნველყოფა, სრული შეფასებისა და მუშაობის პროცესში გამოკვეთილი საჭიროებიდან გამომდინარე ფსიქო-ემოციური მდგომარეობის ფუნქციონირების გაუმჯობესება-შენარჩუნებისთვის;
- გ) თვითდახმარების ჯგუფების ორგანიზება სხვადასხვა საკითხზე (სულ ცოტა თვეში ერთხელ).

#### 4. თვითრეალიზაციის და სხვა უნარების გაძლიერება:

- ა) სასწავლო ჯგუფების ორგანიზება ციფრული უნარების განვითარებისთვის, რათა შეძლონ დისტანციურად კომუნიკაციის დამყარება სოციალურ გარემოსთან;
- ბ) მოსარგებლეთა გამოკვეთილი ინტერესების საფუძველზე სასწავლო ჯგუფების ორგანიზება;
- გ) უფროსი თაობის ადამიანების ინდივიდუალური შესაძლებლობების გამოვლენა და სურვილისამებრ ახალგაზრდებისათვის ამ უნარების სწავლება/გაზიარება;
- დ) მოსარგებლეთა სხვადასხვა საზოგადოებრივ-მოხალისეობრივ საქმიანობებში ჩართვა (მათი ინტერესის გათვალისწინებით);
- ე) საკუთარი უფლებების და მათი დაცვის გზების შესახებ საინფორმაციო ჯგუფური შეხვედრების ორგანიზება იურისტთან;
- ვ) კონსულტაციის გაწევა თვითდასაქმებასა და მცირე ბიზნესის რეგისტრაციის პროცედურების შესახებ.

#### 5. სოციალურ-კულტურული აქტივობები:

- ა) მოსარგებლეთა საინტერესო ყოველდღიური აქტივობები და საჭირო სოციალურ-კულტურული აქტივობების ერთობლივი დაგეგმვა (წინასწარ შედგენილი გრაფიკის მიხედვით);
- ბ) დღესასწაულების აღნიშვნა მულტიკულტურული ფაქტორების გათვალისწინებით და პროგრამის მოსარგებლეთა აქტიური ჩართულობით;
- გ) ხანდაზმულთა დღის აღნიშვნა ოჯახის წევრების ან/და სხვადასხვა უწყების, მათ შორის ბიზნესის ჩართულობით;
- დ) მოსარგებლეთა საქმიანობიდან შემოსავლის მიღების ხელშეწყობა (მაგ. ნამუშევრების გამოფენებზე გატანა, ონლაინ გაყიდვებში მხარდაჭერა, გამოფენა-გაყიდვების ორგანიზება).

### **მუხლი 8. პროგრამის მოსალოდნელი შედეგები**

1. გაზრდილია ხელმისაწვდომობა ბაზისური საჭიროებების დაკმაყოფილებისკენ მიმართულ ცენტრალურ და ადგილობრივ პროგრამებზე.
2. პროგრამით ბენეფიციარებში გაუმჯობესებულია ფსიქო-ემოციური მდგომარეობა.
3. გაზრდილია საზოგადოების და თავად უფროსი თაობის ადამიანების მიერ საკუთარი როლისა და მნიშვნელოვნების განცდა, აქვთ საკუთარი უფლებების დაცვისთვის საჭირო ცოდნა და უნარები (ძალადობა, სოციალიზაცია, ქონების და პენსიის განკარგვა, მონაწილეობა/ჩართულობა და ა.შ.).

4. უფროსი თაობის ადამიანები ჩართულები არიან მათთვის საინტერესო სასწავლო, სოციალურ- კულტურულ და შემოსავლის მომტან აქტივობებში (მაგ: ნამუშევრების გაყიდვა და სხვა აქტივობები);

### **მუხლი 9. მომსახურებაში ჩართვის კრიტერიუმები**

პროგრამაში ჩართვისათვის აუცილებელია მოსარგებლე (60 წლის და მეტი ასაკის) აკმაყოფილებდეს ჩამოთვლილთაგან სულ მცირე ერთ კრიტერიუმს:

- ა) აქვს სოციალიზაციის აქტივობებში ჩართვის დაბალი ხელმისაწვდომობა;
- ბ) აქვს სოციალურად დაუცველის სტატუსი (150 000 ქულამდე);
- გ) ცხოვრობს მარტო.

### **მუხლი 10. მომსახურებიდან გამომრიცხველი კრიტერიუმი**

პროგრამით ვერ ისარგებლებს მოქალაქე, თუ არ არის რეგისტრირებული და მცხოვრები გარდაბნის მუნიციპალიტეტში, ასევე თუ არ შეესაბამება მუხლი 9-ში ჩამოთვლილთაგან სულ მცირე ერთ კრიტერიუმს.

### **მუხლი 11. პროგრამის ვადები**

1. პროგრამის მოქმედების ვადაა 2025 წლის 1 იანვრიდან 2025 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.
2. მოსარგებლეთა პროგრამის აქტივობაში ჩართვა განხორციელდება წლის განმავლობაში.
3. მერიის პირის პროგრამაში ჩართვის გადაწყვეტილებას იღებს არაუმეტეს 10 სამუშაო დღეში.
4. პროგრამაში ჩართვიდან არაუმეტეს ერთი თვის განმავლობაში განხორციელდება პირველადი და საჭიროების შემთხვევაში სრული შეფასება. შეფასებაზე დაყრდნობით პროგრამის მოსარგებლესთან ერთად განისაზღვრება საჭირო ინდივიდუალური და ჯგუფური აქტივობები.
5. ინდივიდუალური მომსახურებისათვის შემთხვევის მართვის სპეციალისტი შეადგენს დროში განსაზღვრულ გეგმას.
6. ყოველდღიურ და სოციალურ-კულტურულ ჯგუფურ აქტივობებში ჩართვა დაიწყება შეფასების დასრულებისთანავე.
7. ფსიქოლოგის, იურისტის და მუნიციპალიტეტის მერიის თემის სოციალური მუშაკის მიერ კონსულტირება განხორციელდება წლის განმავლობაში, ინდივიდუალურ და ჯგუფების საჭიროებებზე დაყრდნობით.
8. ცენტრი ფუნქციონირებს სამუშაო დღეებში (3 დღე კვირაში) 11:00 საათიდან 16 საათამდე.
9. ჯგუფური შეხვედრები განხორციელდება წლის განმავლობაში, თვეში ოთხჯერ.

### **მუხლი 12. პროგრამის პროცედურები**

1. პროგრამაში ჩართვის მსურველმა უნდა მიმართოს მერიას, წარმოადგინოს პირადობის მოწმობის/პასპორტის ასლი და შეავსოს განაცხადი.

2. გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი (შემდეგში „მერის წარმომადგენელი“) ადგენს აქტს მოსარგებლის სოციალურ-ეკონომიკური (ფაქტობრივი) მდგომარეობის შესახებ.
3. მერია პირის პროგრამაში ჩართვის გადაწყვეტილებას იღებს მომართვის რიგითობის მიხედვით ადგილების შევსებამდე (30 ადგილი) და აცნობებს მომსახურების მიმწოდებელ ორგანიზაციას.
4. პროგრამაში ჩართვა დასტურდება ხელშეკრულებით, რომელსაც ხელს აწერს მომსახურების მიმწოდებელი ორგანიზაციის უფლებამოსილი პირი და პროგრამით მოსარგებლე.
5. პირის პროგრამაში ჩართვის შემდეგ ხორციელდება მოსარგებლის ძლიერი მხარეების, ინტერესების და საჭიროებების პირველადი შეფასება, რის მიხედვითაც განისაზღვრება სრული შეფასება ესაჭიროება პირს თუ მხოლოდ დაინტერესებულთა ჯგუფური აქტივობებით.
6. სრული შეფასების საჭიროების გამოვლენისას შემთხვევის მართვის სპეციალისტი გაწერს ინდივიდუალურ გეგმას და ახორციელებს მას.
7. სხვა საჭიროებებით დაინტერესებული ბენეფიციარები ერთვებიან დღიურ და ჯგუფურ აქტივობებში.
8. პროგრამიდან ბენეფიციარის ამორიცხვა განხორციელდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების მიხედვით.
9. პროგრამაში ჩართვის მსურველთა ჭარბი რაოდენობის შემთხვევაში იფუნქციონირებს მომლოდინეთა რეესტრი.

### **მუხლი 13. პროგრამის მიმწოდებლის მოთხოვნები**

მომსახურების მიმწოდებელი შეიძლება გახდეს იურიდიული პირი, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ კრიტერიუმებს (დანართი N 24.1-ის შესაბამისად):

1. ფლობს მსგავსი სოციალური მომსახურების გაწევის მინიმუმ ერთწლიან გამოცდილებას;
2. აქვს შესაბამისი ფართი და გამართული ინფრასტრუქტურა;
3. ჰყავს გამოცდილი კვალიფიციური სპეციალისტები;
4. შემუშავებული აქვს საორგანიზაციო პროცედურები და სამუშაო ინსტრუმენტები.

### **მუხლი 14. პროგრამის მონიტორინგი და ანალიზი**

პროგრამის მონიტორინგი ხორციელდება მერიის ჯანმრთელობის, სოციალური, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის (შემდგომში „სამსახური“) მიერ, დანართი N24.2-ის შესაბამისად. მონიტორინგი მოიცავს სამ დონეს:

1. პროგრამის მიმდინარეობის/პროცესის შეფასება - გეგმით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელების მონიტორინგი;
2. პროგრამის შედეგების შეფასება - გეგმით გათვალისწინებული საქმიანობების მიღწეული შედეგების (შუალედური, საბოლოო) მონიტორინგი;
3. მოსარგებლეთა კმაყოფილების შეფასება - მონაწილეთა კმაყოფილების მონიტორინგი (გამოკითხვა).

მერიის ჯანმრთელობის, სოციალური, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის მიერ სამივე დონის მონიტორინგის ანალიზის (ინდიკატორებზე დაყრდნობით) საფუძველზე წლის ბოლოს მუნიციპალიტეტის მერს წარედგინება პროგრამის ანგარიში.

### **მუხლი 15. პროგრამის შეფასების ინდიკატორები**

1. მოსარგებლეთა რაოდენობა, რომლებიც ჩაერთნენ ჯგუფურ აქტივობებში;
2. მოსარგებლეთა რაოდენობა, რომლებმაც მიიღეს ინდივიდუალური მომსახურება;
3. მოსარგებლეთა რაოდენობა, რომლებიც გადამისამართდნენ სხვადასხვა პროგრამაში (პროგრამების მიხედვით);
4. ჯგუფური აქტივობების ინდიკატორი (ჯგუფური აქტივობების რაოდენობა ამოცანების მიხედვით);
5. შედეგის ინდიკატორი (მოსარგებლეთა რაოდენობა, რომელიც ამბობს რომ მინიმუმ 1 სფეროში აქვს გაუმჯობესება);
6. კმაყოფილების ინდიკატორი (კმაყოფილი მოსარგებლეთა რაოდენობა).

### **მუხლი 16. მომსახურების დაფინანსების შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების მიღება**

1. მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილება უზრუნველყოფს სამსახურის მიერ წარმოდგენილი მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (ბრძანების) პროექტის სამართლებრივ ექსპერტიზას და ვიზირებას.
2. დაფინანსების გაცემის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს მერი და გამოსცემს შესაბამის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს (ბრძანებას).
3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული სამართლებრივი აქტის საფუძველზე, თანხის გადარიცხვას უზრუნველყოფს მერიის საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახური, უნაღდო ანგარიშსწორებით, მერიასა და მომსახურების მომწოდებელ პირს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

**დანართი N24.1**

### **მომსახურების მომწოდებლის სავალდებულო კრიტერიუმები:**

**კრიტერიუმი 1.** მსგავსი სოციალური მომსახურების გაწევის მინიმუმ ერთწლიანი გამოცდილება;

**კრიტერიუმი 2.** შესაბამისი ფართი და გამართული ინფრასტრუქტურა. შესაბამისი ფართი ქალაქი გარდაბანში (სულ მცირე 50კვ.მ) საკუთრებაში/ სარგებლობაში (იჯარა, თხოვება,

ქირავნობა). იჯარის/თხოვების/ქირავნობის ვადა უნდა აღემატებოდეს პროგრამის დასრულების ვადას; გამართული ინფრასტრუქტურა - ერთი ოთახი ჯგუფებთან და ერთი ოთახი ინდივიდუალური მუშაობისათვის, სველი წერტილები (სასადილო კუთხე, საპირფარეშო);

**კრიტერიუმი 3. ჰყავს გამოცდილი კვალიფიციური სპეციალისტები:**

- **პასუხისმგებელი პირი** (მენეჯერულ პოზიციაზე), რომელსაც აქვს მსგავს სოციალურ მომსახურებაში მინიმუმ 1 წლიანი გამოცდილება;
- **შემთხვევის მართვის სპეციალისტი** - ინდივიდუალური მომსახურების გაწევის გამოცდილების მქონე;
- **ჯგუფის მმართველი**, რომელსაც აქვს მსგავს ჯგუფურ მუშაობაში მინიმუმ 1 წლიანი გამოცდილება;
- **ფსიქოლოგი**, რომელსაც აქვს შესაბამისი აკადემიური განათლების დამადასტურებელი დიპლომი.

**კრიტერიუმი 4.** უნდა ახორციელებდეს საქმის წარმოებისთვის მინიმალური პროცედურებს/ინსტრუმენტებს, როგორცაა:

1. ძლიერი მხარეების, საჭიროებების და ინტერესების პირველადი შეფასების ფორმა;
2. საჭიროებისა და ინტერესების სრული შეფასების ფორმა;
3. ინდივიდუალური მომსახურების გეგმის ფორმა;
4. შემთხვევის მართვის სპეციალისტის მომსახურების ფორმა;
5. ინდივიდუალური და ჯგუფური მომსახურებების გეგმა-გრაფიკისა და აღწერის ფორმა;
6. შედეგისა და კმაყოფილების შეფასების ფორმა (ქულებით 1-დან 5-ის ჩათვლით);
7. დასწრების ფორმა;
8. მოსარგებლესთან ხელშეკრულების შაბლონი.

**კრიტერიუმი 5.** უზრუნველყოფს სამაგიდო თამაშების, აქტივობებში გამოსაყენებელი მასალისა და საშუალებების შეძენას.

**დანართი 24. 2**

**მონიტორინგის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირის განსახორციელებელი აქტივობები:**

**1. დოკუმენტების გამოთხოვა და ანალიზი:** მომსახურების ამსახველი დოკუმენტების მიღება მომსახურების მიმწოდებლისგან უნდა მოხდეს სულ მცირე თვეში ერთხელ. დოკუმენტაცია უნდა მოიცავდეს:

- ა) თვის განმავლობაში განხორციელებული ჯგუფური აქტივობების და მათში ჩართული მოსარგებლეთა რაოდენობას;
- ბ) თვის განმავლობაში განხორციელებული ინდივიდუალური აქტივობების და ინდივიდუალური მომსახურების მიმღებ მოსარგებლეთა რაოდენობას;

- გ) სხვა პროგრამებში გადამისამართებულ მოსარგებლეთა რაოდენობას;
- დ) მომდევნო თვის აქტივობების გეგმას;
- ე) ფინანსური ვალდებულების ამსახველ დოკუმენტს.

ჯგუფური და ინდივიდუალური აქტივობებით მიღწეული შედეგების შემოწმება და წარმოდგენა ხორციელდება (წელიწადში ორჯერ) „შედეგისა და კმაყოფილების შეფასების ფორმებზე“ დაყრდნობით.

მონიტორინგზე პასუხისმგებელ პირს უფლება აქვს მოითხოვოს დაზუსტებისთვის ნებისმიერი სხვა დოკუმენტაცია მომსახურების მიმწოდებლისგან.

**2. ადგილზე ვიზიტები და დაკვირვება:** მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი აღწერს მომსახურებაში არსებულ მდგომარეობას, ადგილზე მყოფ მოსარგებლეთა რაოდენობას და აქტივობას, რომელიც ხორციელდება მომსახურებაში მონიტორინგის დროს. ყურადღება ექცევა პროცესის დინამიკას და მოსარგებლეთა ჩართულობას პროცესში. დაკვირვება ხორციელდება მოსარგებლეთა უფლებების დაცვით. ვიზიტის დროს მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი მოითხოვს და გაეცნობა შემთხვევითი შერჩევით არჩეული ბენეფიციარების სულ მცირე 10%- ის დოკუმენტაციას და ყურადღებას აქცევს დოკუმენტების სისრულეს, რომელიც უნდა მოიცავდეს:

- ა) პირველადი შეფასების შედეგებს;
- ბ) სრული შეფასების შედეგებს და ინდივიდუალურ გეგმას (მოსარგებლის ხელმოწერით);
- გ) ჯგუფური აქტივობების ჩამონათვალს სადაც ერთვება მოსარგებლე;
- დ) ხელშეკრულებას მოსარგებლესა და მიმწოდებელს შორის;
- ე) მოსარგებლის გეგმის განხორციელების შეფასებას, სადაც ასახული იქნება გეგმით გათვალისწინებული მიღწევის შედეგები (სულ მცირე წელიწადში ორჯერ).

მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი თითოეული ვიზიტისას ესაუბრება ყველა სპეციალისტს ინდივიდუალურად და აგროვებს ინფორმაციას სპეციალისტების მუშაობის მიღწევების და გამოწვევების შესახებ. ასევე, ხვდება მოსარგებლეთა ჯგუფს, აცნობს მონიტორინგის მიზნებს და ავასებს მათ ზოგად კმაყოფილებას.

**3. ინდივიდუალური გამოკითხვა:** წლის განმავლობაში უნდა მოხდეს მოსარგებლის თანხმობით მისი გამოკითხვა „შედეგისა და კმაყოფილების შეფასების ფორმის“ გამოყენებით. გამოკითხვისას ხდება შედეგების და კმაყოფილების შეფასება.

დანართი №25

**პერსონალური ასისტენტის მომსახურებით უზრუნველყოფის პროგრამა  
(ქვეპროგრამის კოდი 06 02 13)**

პერსონალური ასისტენტის მომსახურებით უზრუნველყოფის პროგრამა (შემდგომი „პროგრამა“) წარმოადგენს სოციალური რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამის კომპონენტს

(დანართი N1.6) და დელეგირებულ უფლებამოსილებას. იგი განსაზღვრავს გარდაბნის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული და მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბენეფიციარების ასისტირების ამოცანებს, განსახორციელებელ პროცედურებს, წარსადგენი დოკუმენტაციის ნუსხას და ასანაზღაურებელი თანხის ოდენობებს.

### **მუხლი 1. პროგრამის მიზანი**

პროგრამის მიზანია პერსონალური ასისტირების საშუალებით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დამოუკიდებელი ცხოვრების და საზოგადოებაში ინტეგრირების ხელშეწყობა.

### **მუხლი 2. პროგრამის განხორციელება**

პროგრამა ხორციელდება გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიისა (შემდეგში „მერია“) და პერსონალურ ასისტირების მომსახურების მიმწოდებლად რეგისტრირებული ორგანიზაციის მიერ, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 18 თებერვლის №01-13/ნ ბრძანებით დამტკიცებული „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა პერსონალური ასისტენტის სერვისის მართვის სტანდარტისა“ (შემდეგში „სტანდარტი“) და ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

### **მუხლი 3. მოსარგებლეთა ჯგუფი**

გარდაბნის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული და მცხოვრები 18 წლის და მეტი ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები (5 პირი), რომელთაც, სამედიცინო დაწესებულების შეფასებით, დაუდგინდათ პერსონალური ასისტენტის მომსახურების საჭიროება და ასისტირების ტიპი.

### **მუხლი 4. პროგრამაში ჩართვის კრიტერიუმები**

პროგრამაში ჩართვისათვის აუცილებელია მაძიებელს (18 წლის და მეტი ასაკის) ჰქონდეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსი და აკმაყოფილებდეს ჩამოთვლილთაგან სულ მცირე ერთ კრიტერიუმს:

- ა) მართო მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი;
- ბ) მზრუნველობამოკლებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი;
- გ) სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე (150 000 ჟულის ჩათვლით) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი.

### **მუხლი 5. მომსახურებიდან გამომრიცხველი კრიტერიუმი**

პროგრამით ვერ ისარგებლებს მოქალაქე, თუ:

- ა) არ არის რეგისტრირებული და მცხოვრები გარდაბნის მუნიციპალიტეტში, ასევე თუ არ შეესაბამება მუხლი 4- ში ჩამოთვლილთაგან სულ მცირე ერთ კრიტერიუმს;
- ბ) წარმოადგენს სახელმწიფო ინსტიტუციის, 24 საათიან სათემო ან/და მცირე საოჯახო მომსახურების ბენეფიციარს;
- გ) არის ამ პროგრამის ღონისძიებების მსგავსი სხვა უწყების/ორგანიზაციის შინმოვლისა და ასისტენტის პროგრამის მოსარგებლე.

## **მუხლი 6. პროგრამაში ჩართვის პრიორიტეტები**

პროგრამაში ჩართვის თანმიმდევრული პრიორიტეტებია:

1. წინა წლის პერსონალური ასისტენტის მომსახურების პროგრამის ბენეფიციარი;
2. მომლოდინეთა ბაზაში რეგისტრირებული მაძიებელი;
3. ერთდროულად ორი და მეტი კრიტერიუმის მქონე პირი;
4. მკვეთრად გამოხატული ხარისხის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი;
5. მნიშვნელოვნად გამოხატული ხარისხის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი;
6. მომართვის თარიღი;
7. სოციალურად დაუცველობის დაბალი ქულა.

## **მუხლი 7. პერსონალური ასისტირების ტიპები**

პერსონალური ასისტირების ტიპებია:

1. რეგულარული ასისტირება, რომელიც ითვალისწინებს ფიზიკური, სენსორული, მსუბუქი და საშუალო გონებრივი შეზღუდვის, ასევე ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მომსახურებას (თვეში ერთ მოსარგებლეზე არაუმეტეს 60 საათი);
2. სპეციალიზებული ასისტირება, რომელიც ითვალისწინებს მძიმე და ღრმა გონებრივი შეზღუდვის, მძიმე ფიზიკური, ასევე მრავლობითი შეზღუდვის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მომსახურებას (თვეში ერთ მოსარგებლეზე არაუმეტეს 120 საათი).

## **მუხლი 8. პროგრამის ამოცანები**

1. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების სურვილის გათვალისწინებით, ინდივიდუალური საჭიროებების დაკმაყოფილება პერსონალური ასისტენტის მომსახურებით (კვებაში დახმარება, საკუთარი თავის მოვლასა და ჩაცმაში ხელშეწყობა, სახლის საქმე, საყიდლებზე სიარული, მობილობა და კომუნიკაცია, ჯანმრთელობის დაცვის, რეაბილიტაციისა და საჯარო სერვისების მიღების ხელშეწყობა, სხვა ყოველდღიური საქმიანობა);
2. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის ფუნქციური შესაძლებლობებიდან და მოთხოვნებიდან გამომდინარე, საკუთარ ცხოვრებაზე კონტროლის განხორციელების, დამოუკიდებელი ცხოვრების ხარისხის ზრდის და სოციალურ აქტივობის ხელშეწყობა/თანხლება პერსონალური ასისტირების საშუალებით (მუშაობა, დასვენება, სწავლა, უნარების განვითარება, დღის დაგეგმვა ან/და სხვა აქტივობები).

## **მუხლი 9. მერიაში წარსადგენი დოკუმენტები**

წარსადგენი დოკუმენტებია:

- ა) პირადობის მოწმობის/პასპორტის ასლი;

ბ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის დამადასტურებელი დოკუმენტი (ფორმა №IV-50/4 ან ცნობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტატუსისა და შეზღუდვის ხარისხის შესახებ);

გ) კანონიერი წარმომადგენლის/მხარდამჭერის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი და შესაბამისი დოკუმენტაცია, რომელიც ადასტურებს, რომ პირს ჰყავს კანონიერი წარმომადგენელი/მხარდამჭერი;

დ) აქტი, სადაც დასაბუთებული იქნება ბენეფიციარის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა (აქტს ხელს აწერს მერის წარმომადგენელი; ასევე, საკრებულოს მაჟორიტარი წევრი იმ შემთხვევაში, თუ მერის წარმომადგენელთან ერთად შეისწავლის ოჯახის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას);

ე) აქტი/დასკვნა (ფორმა №IV-50/2) ასისტირების საჭიროებისა და მისი ტიპის (რეგულარული ან სპეციალიზებული) შესახებ.

## **მუხლი 10. პროგრამის პროცედურები**

1. პროგრამაში ჩართვის მსურველმა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირმა (მხარდამჭერმა/კანონიერმა წარმომადგენელმა) განცხადებით უნდა მიმართოს მერიას და წარადგინოს საჭირო დოკუმენტები.

2. მერია მიზნობრივი ტრანსფერის მოცულობის ფარგლებში, კრიტერიუმებისა და პრიორიტეტების გათვალისწინებით, მაძიებელს გადაამისამართებს მომსახურების მიმწოდებელ ორგანიზაციაში შესაფასებლად და სამმაგი ხელშეკრულების გასაფორმებლად (ფორმა №IV-50/2-ის წარმოდგენის შემთხვევაში).

3. ასისტირებით მომსახურებას ახორციელებს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მომსახურების მიმწოდებლად რეგისტრირებული იურიდიულ პირი.

4. იმ შემთხვევაში, თუ მაძიებელს არ აქვს ფორმა №IV-50/2, მერია მიზნობრივი ტრანსფერის მოცულობის ფარგლებში, კრიტერიუმებისა და პრიორიტეტების გათვალისწინებით გადაამისამართებს (გაუგზავნის შეტყობინებას) მაძიებელს სამედიცინო დაწესებულებაში, რომელსაც მინიჭებული აქვს უფლებამოსილება შეაფასოს და გასცეს აქტი/დასკვნა (ფორმა №IV-50/2) ასისტირების საჭიროებისა და მისი ტიპის (რეგულარული ან სპეციალიზებული) შესახებ.

5. მერია სამედიცინო დაწესებულებიდან, ასისტირების საჭიროების დადებითი პასუხის მიღების შემთხვევაში, მაძიებელს გადაამისამართებს მომსახურების მიმწოდებელთან შესაფასებლად და სამმაგი ხელშეკრულების გასაფორმებლად.

6. მომსახურების მიმწოდებელი ორგანიზაცია უზრუნველყოფს:

ა) მაძიებელთან საცხოვრებელ ადგილზე ვიზიტს, მისი ცხოვრების სტილისა და ასისტირების საჭიროებების დეტალურ შეფასებას თავად მოსარგებლის/მისი კანონიერი წარმომადგენლის/მხარდამჭერის აქტიური მონაწილეობით;

ბ) მოსარგებლის ან/და კანონიერი წარმომადგენლის/მხარდამჭერის თანხმობით ინდივიდუალური მომსახურების გეგმის შემუშავებას, მომსახურების გაწევის პირობებისა

(როდის, სად, როგორ და რომელი აქტივობებისა და ამოცანების შესრულებაში ექნება მხარდაჭერა) და გრაფიკის შედგენას.

გ) მომსახურების მიმღები პირის ან/და კანონიერი წარმომადგენლის/მხარდამჭერის მიერ პერსონალური ასისტენტის შერჩევას (პერსონალურ ასისტენტ(ებ)ად არ შეიძლება შეირჩეს მომსახურების მიმღები პირის შვილები, მშობლები, მეუღლე, და-ძმები ან/და მომსახურების მიმღებ პირთან ერთად მუდმივად მცხოვრები პირები, ასევე სასამართლოს მიერ დანიშნული მხარდამჭერი);

დ) მომსახურების მიმღებ პირზე ან/და კანონიერი წარმომადგენელზე/მხარდამჭერზე ბენეფიციარის და ასისტენტის უფლება/მოვალეობების, პროგრამის პირობების, სტანდარტისა და ქვევის წესების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას;

ე) თავად მიმწოდებელს, მომსახურების მიმღებ პირს (შესაბამის შემთხვევაში მხარდამჭერის/მის კანონიერ წარმომადგენელს) და პერსონალურ ასისტენტს შორის სამმხრივი ხელშეკრულების გაფორმებას, რომელიც მოიცავს ასისტენტის მიერ გასაწევი საქმიანობების/მომსახურების სფეროებს, ვალდებულებებს, ვადებს, განრიგს, კონფიდენციალურობის დაცვის და უსაფრთხოების საკითხებს, ურთიერთობის წესებს და მომსახურებასთან დაკავშირებულ სხვა სპეციფიკურ ასპექტებს;

ვ) თავად მიმწოდებელს, მომსახურების მიმღებ პირს (შესაბამის შემთხვევაში მხარდამჭერის/მის კანონიერ წარმომადგენელს) და პერსონალურ ასისტენტს შორის შეთანხმების მიუღწევლობის არსებობის შემთხვევის მერიის შეტყობინებას, რაც გამოიწვევს მაძიებლის პროგრამაში ჩართვაზე უარის თქმის საფუძველს;

ზ) სამმაგი ხელშეკრულების დროულ წარმოდგენას მერიაში.

7. სამმხრივი ხელშეკრულების საფუძველზე მერია იღებს მოსარგებლის პროგრამაში ჩართვის გადაწყვეტილებას და მომსახურების დასაფინანსებლად გასცემს ადმინისტრაციულ დაპირებას (ან ვაუჩერს).

8. ადმინისტრაციულ დაპირების (ან ვაუჩერის) მიღების შემდგომ მიმწოდებელი ორგანიზაცია უზრუნველყოფს პერსონალურ ასისტენტსა და მომსახურების მიმღებ პირს შორის პროფესიულ ურთიერთობის დაწყებას.

9. მოსარგებლის ასისტირების ტიპის შეცვლა შესაძლებელია მისი მდგომარეობის ცვლილებისა და ახალი აქტის/დასკვნის (ფორმა №IV-50/2) საფუძველზე;

10. პროგრამაში ჩართვის მსურველთა ჭარბი რაოდენობის შემთხვევაში იფუნქციონირებს მომლოდინეთა ბაზა. მომლოდინეთა ბაზა გარდამავალია და არ უქმდება მომდევნო წელს.

## **მუხლი 11. მომსახურების შეწყვეტა/შეჩერება**

1. მომსახურების შეწყვეტის საფუძველია:

ა) ზედიზედ 60 დღის მანძილზე მომსახურების მიუღებლობა;

ბ) საცხოვრებელი ადგილის ცვლილება;

გ) მსგავს მომსახურებაში ჩართვა;

დ) ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევა;

ე) ახალი საჭიროებების გამოკვეთა, რომელიც სცილდება პროგრამით გათვალისწინებულ საქმიანობას;

ვ) პირადი განცხადება;

ზ) მომსახურების მიმწოდებელი ორგანიზაციის ფუნქციონირების შეწყვეტა.

2. მომსახურების შეჩერების საფუძველი:

- ა) მომსახურების მიმწოდებელი ორგანიზაციის ფუნქციონირების შეჩერება;
- ბ) ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეფერხება/დარღვევა;
- გ) მოსარგებლის გარემოების ცვლილება, რომელიც საჭიროებს ასისტენტის ტიპის ცვლილებას;
- დ) ჯანმრთელობის მდგომარეობა;
- ე) სხვა გარემოებები.

3. ამორიცხულის პროგრამაში ჩართვა მოხდება დადგენილი პროცედურების თავიდან გავლით.

## **მუხლი 12. პროგრამის ვადები**

1. პროგრამის მოქმედების ვადა განისაზღვრება 2025 წლის 1 იანვრიდან 2025 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით. მაძიებლის პროგრამაში ჩართვა განხორციელდება წლის განმავლობაში თავისუფალი ადგილის ამოწურვამდე.

2. მაძიებელი ვალდებულია მერიის შეტყობინებიდან არაუმეტეს 14 დღის ვადაში სამედიცინო დაწესებულებაში გაიაროს შეფასება და აქტი/დასკვნა წარმოადგინოს მერიაში.

3. მომსახურების მიმწოდებელი 14 დღის ვადაში ახორციელებს მაძიებლის დეტალურ შეფასებას და ინდივიდუალური გეგმის შედგენას, ასისტენტის არჩევას, სამმაგი ხელშეკრულების გაფორმებას და მერიაში წარდგენას.

4. ადმინისტრაციული დაპირების (ან ვაუჩერის) მოქმედების ვადა განისაზღვრება მერიის ჩართვის გადაწყვეტილებიდან წლის ბოლომდე ან საჭიროებისამებრ.

5. მომსახურების მიმწოდებელი ვალდებულია თვის ანგარიში წარმოადგინოს მომდევნო თვის 5 რიცხვის ჩათვლით (იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული ვადა ემთხვევა არასამუშაო დღეს, არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა).

## **მუხლი 13. პროგრამის შეფასების ინდიკატორები**

პროგრამის შეფასების ინდიკატორებია:

- 1. რეგულარულ ასისტირებაში დაფინანსებული საათების რაოდენობა;
- 2. სპეციალიზებულ ასისტირებაში დაფინანსებული საათების რაოდენობა;
- 3. კმაყოფილების ინდიკატორი (კმაყოფილ მოსარგებლეთა რაოდენობა).

## **მუხლი 14. პროგრამის მოსალოდნელი შედეგები**

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ფუნქციური შესაძლებლობებიდან გამომდინარე მათი საკუთარ თავზე კონტროლის და ცხოვრების დამოუკიდებლობის ხარისხის გაზრდა. მათთვის საინტერესო სოციალურ, სასწავლო, უნარების განვითარების, შემოსავლის მომტან ან/და სხვა აქტივობებში ჩართვა.

## **მუხლი 15. პროგრამის ბიუჯეტი და დაფინანსება**

1. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრება სოციალური რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამის კომპონენტის-„პერსონალური ასისტენტის მომსახურებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის“ ფარგლებში მიზნობრივი ტრანსფერის მოცულობით.
2. მომსახურება დაფინანსდება გარდაზნის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტიდან (პროგრამული კოდი 06 02 13), მიზნობრივად ამ პროგრამისთვის დელეგირებული თანხით.
3. მომსახურების ღირებულებაში შედის მიმწოდებელი ორგანიზაციის მიერ მოსარგებლის შეფასების, ასისტენტის ხელფასის, მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ადმინისტრირებისა და საზედამხედველო ხარჯები.
4. ანაზღაურების (ანგარიშსწორების) ერთეულია - ფაქტობრივად ნამუშევარი საათი.
5. საათის ღირებულება რეგულარული ასისტირების შემთხვევაში შეადგენს 12 ლარს (თითოეულ ბენეფიციარზე თვეში არაუმეტეს 720 ლარისა), ხოლო სპეციალიზებული ასისტირების შემთხვევაში - 13 ლარს (თითოეულ ბენეფიციარზე თვეში არაუმეტეს 1560 ლარისა). ერთი ასისტენტი შეიძლება ემსახუროდეს რამდენიმე მოსარგებლეს, თუმცა სამუშაო დატვირთვა არ უნდა აღემატებოდეს კვირაში 40 საათს.

#### **მუხლი 16. მომსახურების დაფინანსების შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების მიღება**

1. მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილება უზრუნველყოფს სამსახურის მიერ წარმოდგენილი მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (ბრძანების) პროექტის სამართლებრივ ექსპერტიზას და ვიზირებას.
2. დაფინანსების გაცემის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს მერი და გამოსცემს შესაბამის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს (ბრძანებას).
3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული სამართლებრივი აქტის საფუძველზე, თანხის გადარიცხვას უზრუნველყოფს მერიის საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახური, უნაღდო ანგარიშსწორებით, ბრძანებაში მითითებულ მომსახურების მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.

#### **მუხლი 17. პროგრამის მონიტორინგი**

1. პროგრამას ზედამხედველობას უწევს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.
2. მომსახურების მონიტორინგი ხორციელდება გარდაზნის მუნიციპალიტეტის ჯანმრთელობის, სოციალური, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის მიერ. საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს მიღებულ ინფორმაციაზე და მონიტორინგის შედეგებზე რეაგირებას, რეკომენდაციების გაცემასა და მათი შესრულების კონტროლს.
3. მონიტორინგი მოიცავს სამ დონეს:
  - ა) მიმწოდებლის მიერ ინდივიდუალური გეგმით გათვალისწინებული მომსახურების განხორციელების მონიტორინგი;
  - ბ) პროგრამის შედეგების შეფასება - მოსარგებლეთა ინდივიდუალური გეგმით გათვალისწინებული საქმიანობების მიღწეული შედეგების მონიტორინგი.

გ) მოსარგებლეთა კმაყოფილების შეფასება - მომსახურების (წლის) ბოლოს მონაწილეთა/მისი კანონიერი წარმომადგენლის/მხარდამჭერის კმაყოფილების მონიტორინგი (გამოკითხვა).

4. დოკუმენტების წარდგენა:

ა) მომსახურების ამსახველი დოკუმენტების (შესრულება) მიღება მომსახურების მიმწოდებლისგან უნდა მოხდეს მომდევნო თვის 5 რიცხვის ჩათვლით (იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული ვადა ემთხვევა არასამუშაო დღეს, არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა).

დოკუმენტაცია უნდა მოიცავდეს:

ბ) ინფორმაცია თვის განმავლობაში მაძიებელთან დადებული სამმაგი ხელშეკრულებისა და ინდივიდუალური გეგმის შესახებ;

გ) ინფორმაციას თვის განმავლობაში ადმინისტრაციული დაპირების (ან ვაუჩერის) ფაქტობრივად შესრულებული საათების შესახებ;

დ) ინფორმაცია ასისტენტებისა და მათ მიერ ფაქტობრივად ნამუშევარი საათების შესახებ;

ე) მომსახურების გაწევის აღრიცხვის ფორმები, რომელიც დადასტურებული იქნება მოსარგებლეთა (შესაბამის შემთხვევაში მხარდამჭერის/კანონიერი წარმომადგენლის) ხელმოწერებით;

ვ) ფინანსური ვალდებულების ამსახველ დოკუმენტი (ინვოისი/ანგარიშფაქტურა და სხვა).

5. სამსახურის მონიტორინგზე პასუხისმგებელ პირს უფლება აქვს მომსახურების მიმწოდებლისგან მოითხოვოს დამატებითი ინფორმაცია.

6. სამსახური უფლებამოსილია დასვას მერიასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულების შეწყვეტის საკითხი.